პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 6—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

კვირა, 12 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 158 (1313)

დღიური

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ [illegible] კრედიტები მაროკოს ომისათვის.
— 27 ივლისს გაიხსნება ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია.
— ავსტრალიამ სამხედრო გემები გაიყვანა ჩინეთის წყლებიდან.
— ჩენ-ძინში (ჩინეთი) საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.
— რეველში ჩავიდა ჰოლანდიის ესკადრა.

ცაკის მეორე სესიის მუშაობისათვის

ამა ივლისის 14-ს გაიხსნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე მოწვევის მეორე სესსია.

დღის წესრიგში დასმულია ფრიად საყურადღებო საკითხები, რომლებიც წამოყენებულია საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობის პროცესში და რომელთა სწორ და გულდასმით გადაჭრას ექნება უდიდესი მნიშვნელობა ამ მუშაობის წარმატებისა და ნაყოფიერებისათვის—ცაკის წევრებთან ერთად ამ სესსიაზე მოწვეული არიან კიდევ ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებიდან და მაზრებიდან 50-მდე თემაღმასკომის თავმჯდომარეები [illegible] ხმით სესსიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ უკანასკნელ დროს საბჭოთა ხელისუფლება საკმარისად ახლო მიუდგა სოფელს, გლეხკაცობას. მაგრამ ამ მხრით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, აქ კიდევ ბევრ შეცდომებს და ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ამიტომ საჭიროა შეუწყვეტელი და სისტემატიური მუშაობა ყველა ამის თავიდან ასაშორებლად. და აი სწორედ ამ მუშაობის ხელის შესაწყობად და მისთვის საფუძველის ჩასაყრელად მოწვეულია დღევანდელი სესსია.

სოფლად მუშაობის გაცხოველების და გამოცოცხლების ერთ-ერთ მთავარ პირობად უნდა ჩაითვალოს უპარტიო გლეხობის ფართოდ ჩაბმა სოფლის საბჭოს და თემაღმასკომის მუშაობაში. მაგრამ როგორ, რა გზით ან საშუალებით უნდა მივაღწიოთ ამას? საშუალება ერთად-ერთია: ამისთვის უნდა შეიქმნას საქმიანი ნიადაგი. ამ მხრით ერთი მთავარი საშუალებაა თემის აღმასკომისათვის ხარჯთ-აღრიცხვის უფლების მინიჭება და ამ უფლების განხორციელება სინამდვილეში. ჩვენ დღეს ვამზადებთ ამ საკითხს და ვიწყებთ მის განხორციელებას ცხოვრებაში. ეს უდიდესი საქმეა, რასაც ჩვენს წარსულ ცხოვრებაში მაგალითი არ ჰქონებია. რა თქმა უნდა ეს დიდ სიძნელეს წარმოადგენს, და პირველ ხანებში სავსებით შეცდომების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ ამ სფეროშიაც შევსძლებთ ყველა სიძნელეთა დაძლევას. ამ შემთხვევაში სესსიის მუშაობას უნდა ექნეს ფრიად დიდი მნიშვნელობა. სათემო ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი), რომელიც სესსიის დღის წესრიგში დგას, აქ უნდა იქნეს ყოველმხრივ გაშუქებული და აწონილ-დაწონილი, თუ რაგვარ მუშაობას და ენერგიის დახარჯვას თხოულობს სათემო ხარჯთაღრიცხვის განხორციელება ერთი მხრით სამაზრო და ცენტრალური ორგანოებისგან და მეორე მხრით თვით თემის ორგანოებისაგან. ამასთან ერთად სესსიის წესრიგში დგას საკითხი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ 1925—26 წელს საქართველოს ფარგლებში. როგორც ვიცით, შარშან ეს გადასახადი ცუდად ჩატარდა, გლეხკაცობაში მან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, ბევრ შემთხვევაში სამართლიანიც, იმიტომ რომ მისი განაწილება გლეხებზე ვერ იყო სამართლიანი ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა ღარიბებს უზომოთ ჰქონდათ შეწერილი და მდიდრებს კი ნაკლებად ან სრულებით არა. მართალია, წრევანდელი გადასახადი რაოდენობის მხრით ძალზე შემცირებულია შარშანდელთან შედარებით და გარდა ამისა მისი საგრძნობი ნაწილი სოფელშივე რჩება და სოფლის საჭიროებებს უნდა მოხმარდეს, მაგრამ ამ გადასახადის წესიერად და კანონის მიხედვით განაწილება გლეხებზე ჩვენთვის დიდ ამოცანას შეადგენს, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენთვის გადასაჭრელია. ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებმა სესსიაზე უნდა მოიტანონ თავისი გამოცდილება, დაკვირვებები და მოსაზრებები ამ გადასახადის აკრეფის უმტკივნეულოდ ჩასატარებლად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა აღმშენებლობისათვის. ერთი მაზრის ან რესპუბლიკის გამოცდილება უნდა შეუფარდდეს მეორე მაზრის ან რესპუბლიკის გამოცდილებას. მთელი ეს გამოცდილება უნდა იქნეს ჯეროვანად შეფასებული სესიაზე და შემდეგ გამოყენებული.

ხარჯთაღრიცხვის და გადასახადის საკითხებს მოსდევს მიწის საკითხები. სოფლად მომუშავე ამხანაგები ამ უკანასკნელ დროს იძულებული ხდებიან მიწის საკითხებს დიდი ყურადღება მიაქციონ. ამ ნიადაგზე სინამდვილეში ადგილი აქვს როგორც დიდ გაუგებრობებს ისე, მრავალ ბოროტმოქმედებათაც. გამოწვეულია ეს იმით, რომ ერთი მხრით მიწის მოწყობა მეტად ნელი ნაბიჯით მიდის წინ და მეორე მხრით მიწის ნიადაგზე აღმოცენებული დავა-საჩივრების გადაჭრა და მოწესრიგება ჯეროვნად ვერაა მოგვარებული, რადგან ნაწილი ამ საჩივრებისა ირჩევა სახალხო სასამართლოში, ნაწილი მიწათმოქმედების კომისარიატის ორგანოებში, ნაწილი კიდევ მიწის კომიტეტებში, რომლებიც კანონით გაუქმებული არიან, მაგრამ ზოგ ალაგას მაინც განაგრძობენ არსებობას. ამავე დროს ზოგან დღესაც აქვს [illegible] სრულიად უკანონოდ [illegible], და ყოველივე ეს ჰქმნის გლეხკაცობაში ერთნაირ ნერვიულობას, უიმედობას, რაც იწვევს არასასურველ შედეგებს გლეხკაცობის სასოფლო მეურნეობის წარმატების და აღორძინების საქმეში. გარდა ამისა სრული გაუგებრობა არსებობს მიწის იჯარით გაცემის და სასოფლო-მეურნეობაში დაქირავებულ შრომის გამოყენების საქმეში. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა ეს საკითხები სესიაზე იქნებიან [illegible] გაშუქებული და ხელისუფლების ორგანოებს მიეცემათ სახელმძღვანელოდ მტკიცე და ცხადი დებულებები, რომლებიც ბოლოს მოუღებენ ყოველგვარ გაუგებრობას და შეცდომებს ამ ნიადაგზე.

არა ნაკლები, და შეიძლება უფრო მეტიც, მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებს, რომლებიც ასე ფართოდ მხოლოდ ეხლა ისმება ჩვენში. საბჭოთა ორგანოების მუშაობა ბრკოლდება ხშირად არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ნაკლებად გვყავს ჯეროვანად მომზადებული და იმავე დროს პატიოსანი მუშაკები, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენმა ორგანოებმა ხშირად არც კი იციან, თუ რა უფლებებით და ფუნქციებით არიან ისინი აღჭურვილი; არ იციან, რა უნდა აკეთონ ან როგორ უნდა აკეთონ; არ იციან რა დამოკიდებულება აქვთ ხელისუფლების უმდაბლეს და უმაღლეს ორგანოებთან და სხვადასხვა. და ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ დღემდის არა გვაქვს დებულებები საბჭოებზე და აღმასრულებელ კომიტეტებზე. ჩვენ გვაქვს თემის საბჭო და აღმასკომი, სამაზრო აღმასკომი და სამაზრო ქალაქის საბჭო, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს დებულებები, რომლებიც საზღვრავდენ იმათ უფლებებს, ურთიერთ დამოკიდებულებას და მოქმედებას. ერთად ერთი, რაც ჩვენ გვაქვს, ეს არის საერთო კონსტიტუცია, მაგრამ ის სრულებით არაა საკმარისი ჩვენს დღევანდელ გართულებულ ცხოვრებაში. ამ მიზნით სესსიას წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლათ ამ დებულებების პროექტები, რომლებიც ამ 1 ნახ.—2 თვის წინედ იქნენ გამომუშავებული ცაკთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობის თათბირის მიერ და შემდეგ დაგზავნილი ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში, რათა პასუხისმგებელი მომუშავენი მათ დროზე გასცნობოდენ და თავისი დასკვნები გამოეგზავნათ. აშკარაა, რომ ეს პროექტები დიდი ყურადღებით და სიფრთხილით უნდა იქნან განხილული და დამტკიცებული. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ დებულებებით ჩვენ მოგვიხდება სარგებლობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე, და აგრეთვე უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ წარამარა ჩვენ იმათ ვერ შევსცვლით. ამიტომ ისინი გულდასმით უნდა იქნან აწონ-დაწონილი და მიღებული. უთუოდ ეს იქნება დიდი ნაბიჯი წინ გადადგმული, რაც დიდათ შეუწყობს ხელს საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობის განვითარებას. ეს აგრეთვე მოგვცემს საშუალებას რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებისათვის ცხოვრებაში. დღეს ყველამ ჩვენგანმა კარგად იცის, რომ ეს რევოლიუციონური კანონიერება ძალზე მოიკოჭლებს და ის ხშირად ირღვევა. სამხედრო კომუნიზმის ნაშთებს ჯერ კიდევ საკმაო ადგილი უჭირავთ ჩვენ სინამდვილეში. საჭიროა გადაჭრილი ზომები მიღებული მათ აღმოსაფხვრელად.

რევოლიუციონური კანონიერება ცალკე დგას სესსიის დღის წესრიგში და იმაზე ცალკე მოხსენება იქნება გაკეთებული. გარდა ამისა იუსტიციის სახალხო კომისარიატი აყენებს სესიაზე საკითხებს სისხლის სამართლის და სამოქალაქო კოდექსების შესახებ, რომელთაც, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ გარდა ამისა თვითონ სესიასაც უფლება აქვს წამოაყენოს განსახილველად კიდევ სხვა საჭირბოროტო საკითხებიც.

ამგვარად, მეორე სესსიაზე დასმულია მეტად საყურადღებო საკითხები. საბჭოთა აღმშენებლობა უდიდესი ამოცანაა, საბჭოთა ყველა ორგანოებს და მათ ხელმძღვანელებს მართებთ უდიდესი სიფრთხილე და შორსმხედველობა. ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ლენინის ანდერძი: **უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთად გაკეთებულიო.**

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ცაკის მეორე სესსია ყოველ ღონეს იხმარს, რომ მისი მუშაობა რაც შეიძლება ნაყოფიერი შეიქნეს მშრომელი ხალხისთვის. სესსიის მუშაობას ჩვენ ვუყურებთ როგორც ახალ ეტაპს სოციალიზმის აღმშენებლობაში. იგი სდებს ახალ აგურებს სოციალიზმის შენობისათვის.

ფ. მახარაძე.

ინგლისის მთავრობა უკან იხევს

ინგლისის მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკას მხარი არ დაუჭირეს საფრანგეთმა, იტალიამ და გერმანიამ

ინგლისის მუშათა კლასი კონსერვატორების პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ

10 ივლისს საბჭ. კავშირში გამოემგზავრა გერმანიის მუშათა პირველი დელეგაცია

კონსერვატორები უკან იხევენ

„დეილი ჰერალდ“-ის ცნობა

ლონდონი, 10 ივლისი. „დეილი ჰერალდ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობა სხვადასხვა მიზეზების გამო ხელს იღებს საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის მკაცრი ნოტის გაგზავნაზე.

ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა იმ მოსაზრებამ, რომ საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ გამოსვლაში ინგლისი გარიყული დარჩება.

შემდეგ გაზეთი ეხება გარეშე საქმეთა სამინისტროს მხრივ საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის ცდას და დასძენს, რომ ვინაიდან საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ გამოსვლისათვის სათანადო ნიადაგი ვერ იქნა მომზადებული, ჩემბერლენი იძულებული შეიქნა არ აჰყოლოდა მეტად „თავშეუკავებელი“ ბირკენხედის ნაბიჯებს. გეგმა კოლექტიური ნოტის გაგზავნის შესახებ მოსკოვიდან კომინტერნის გაძევების მოთხოვნით ჩაიშალა, რადგან იტალიამ უარი სთქვა ამ გამოსვლაში მონაწილეობის მიღებაზე გარდა ამისა, გერმანიას არ სურს მიემხროს გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ, სანამ მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ არ მოიტანს სასურველ შედეგებს.

ასეთი მარცხის შემდეგ ჩემბერლენმა ამ უკანასკნელ კვირაში მიმართა პარიზს, მაგრამ საფრანგეთის მთავრობის წევრები არ შეხვდენ მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანებით ახალი დიპლომატიური ავანტიურების პერსპექტივას ევროპაში და შორეულ აღმოსავლეთში, რადგან, საფრანგეთის მდგომარეობა მაროკოში რიფების აჯანყების წყალობით, შეირყა. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს: „ინგლისის კაბინეტმა, რომელიც გარიყული აღმოჩნდა თავის პოლიტიკაში ჩინეთის მიმართ სულელური ნაბიჯების წყალობით, გაითვალისწინა რომ ის ახლანდელ მდგომარეობაში ჩავარდე[illegible] საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ.

ამ გარემოებამ, რომელსაც კიდევ ზედ დაერთო ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს ენერგიული განცხადება, რომელმაც პირდაპირ დაგმო პროვოკაციული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, აიძულა მთავრობა დროებით ხელი აეღო თავის გეგმაზე.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობამ შესცვალა თავისი პოზიცია ტაქტიკური მოსაზრებებით და არა იმის გამო, რომ რაიმე გარდატეხა მომხდარიყოს პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიმართ. „მთავრობა,—ნათქვამია დასასრულ—პირდაპირ ხედავს, რომ მას არ შეუძლია იმოქმედოს განცალკევებულად. მაგრამ ის გააორკეცებს თავის ძალ-ღონეს, რომ მიაღწიოს სხვა სახელმწიფოების თანამშრომლობას“.

ლიბერალური გაზეთის „მანჩესტერ გარდიენ“-ის პარიზელი კორესპონდენტი ამბობს: „რამდენად გამოირკვა საფრანგეთის პოზიცია, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის ცდილობს გამოიყენოს ინგლისის შიში წითელი საფრთხის წინაშე ევროპაში თავისი გეგმების განსახორციელებლად“.

კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებს არ სურთ აწყენინონ ინგლისის მთავრობას მისი წინადადებისათვის აშკარა წინაალმდეგობის გაწევით, მაგრამ პარიზში გაოცვიფრებით კითხულობენ, ბოლოს და ბოლოს რა მიზანი ისახავს ინგლისის მთავრობა თავისი გამოსვლებით საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ, მით უფრო რომ ეს გამოსვლები მღელვარებას იწვევს საფრანგეთში.

ფაქტი, რომელიც განმარტებას არ საჭიროებს

უმუშევრობის შენელების ერთი საშუალება

ლონდონი, 10 ივლისი. ზოგიერთი გაზეთი ბეჭდავენ ლონდონში დაბრუნებულ რაკოვსკის განცხადებას, რომ საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს შეუკვეთოს ინგლისს 15 მილ. გირვ. სტერლინგის საქონელი. გაზეთები ამ განცხადებას არ უკეთებენ განმარტებას.

გერმანია ანტისაბჭოთა ბლოკის წინაალმდეგ

ბერლინი, 10 ივლისი. მძიმე ინდუსტრიის ორგანო „რეინიშე ვესტფელიშე ცაიტუნგ“ სწერს, რომ საჭიროა თავშეკავებულად და უნდობლად მოეპყრობა ანტანტის ცდისადმი ჩაითრიოს გერმანია ანტისაბჭოთა ბლოკში. გაზეთს სხვათაშორის მოჰყავს პარიზის გაზეთ „ეკო-დე პარის“ ბერლინელ კორესპონდენტის ტენდენციოზური ცნობა, ვითომ მოსალოდნელია გერმანიის ელჩის ბროკდორფ რანტცაუს გაწვევა საბჭოთა კავშირიდან „მისი აღმოსავლეთის ორიენტაციისათვის“. ამ ცნობაში გაზეთი ხედავს დამამტკიცებელ საბუთს იმისას, რომ საფრანგეთის პრესა სცდილობს ნიადაგი მოუპოვოს ინგლისის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ.

ანტისაბჭოთა ბლოკში მონაწილეობის წინაალმდეგ ილაშქრებს ვაჭარ-მრეწველთა წრეების ორგანო „კენიგსბერგერ ალგემაინე ცაიტუნგ“, რომელიც წერილში „საგარანტიო [illegible] და დიდი სახელმწიფოები [illegible]“ სწერს, რომ [illegible] ევროპის [illegible] საფრანგეთის ჰეგემონიის [illegible]. ამასთანავე, სწერს გაზეთი, [illegible] მდგომარეობა [illegible] ინგლისს და მას სურს [illegible] საფრანგეთი [illegible] სცდილობენ აგრეთვე გერმანია [illegible] მონაწილეობა ამ კოალიციაში. გაზეთის სიტყვით, ეს მსოფლიო კავშირი, მიმართული აზიის და რუსეთის წინაალმდეგ, იქნება ერთგვარი კომპენსაცია დათმობისათვის, რომელსაც ინგლისი იჩენს საფრანგეთის მიმართ სხვა საკითხებში. „მაგრამ გერმანიამ, ამბობს გაზეთი—არ უნდა დაივიწყოს ეს ელჩთა კონფერენციის სამარცხვინო მოთხოვნილებათა განხილვის დროს“.

ეკონომიური კავშირი იტალიასთან

რომი, 10 ივლისი. ბეჭდავენ რა ცნობებს საბჭოთა კავშირის უკანასკნელ შეკვეთების შესახებ იტალიაში, იტალიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს შეკვეთები სჭარბობენ ომის წინადროინდელ ექსპორტს იტალიიდან საბჭოთა კავშირში.

გერმანიის მუშათა დელეგაციის გამომგზავრება საბჭოთა კავშირში

ბერლინი, 10 ივლისი. 9 ივლისს, საბჭოთა კავშირში გერმანიის პირველ მუშათა დელეგაციის გამგზავრების წინადღით, ბერლინში შესდგა მასიური მიტინგი 10.000 მუშის მონაწილეობით. სიტყვები წარმოსთქვეს სოციალ-დემოკრატმა ფრიმ—მიტინგის თავმჯდომარემ, მიუნხენის ქარხნების კომიტეტის წარმომადგენელმა და სხვა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა. კომპარტიის სახელით გამოვიდა რუტ ფიშერი, რომელმაც ხაზი გაუსვა დელეგაციის გამგზავრების ისტორიულ მნიშვნელობას.

მიტინგის მონაწილეები „ზიხლი“-ს ძახილით შეხვდენ სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფების განცხადებას და მუქარას, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამორიცხული იქნებიან ის წევრები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ დელეგაციაში.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ესალმება დელეგაციის გამგზავრებას, როგორც პირველ ნაბიჯს მჭიდრო კავშირის დასამყარებლად საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ მუშათა კლასსა და გერმანიის მუშებს შორის.

დელეგაცია 10 ივლისს მოემგზავრება საბჭოთა კავშირში.

საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირის შესახებ

მოსკოვი, 10 ივნისი. მოსკოვში დაბრუნდა საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია, რომელმაც მოიარა უკრაინა და კავკასია.

დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომას, რომელზედაც წაიკითხა თავისი დეკლარაცია პროფმოძრაობის მთლიანობისადმი დამოკიდებულების შესახებ. დელეგაცია ჯამს უკეთებს მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს, აღნიშნავს სოციალისტური აღმშენებლობის ზრდას საბჭოთა კავშირში და პირობას იძლევა, რომ ყოველივე ძალღონით იბრძოლებს მუშათა კლასის ნამდვილი მთლიანობისათვის მთელს მსოფლიოში.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე ტომსკი, რომელმაც გააშუქა პროფმოძრაობის მთლიანობის ბრძოლის ისტორია და დასახა შემდეგი გზები მთლიანობისათვის საბრძოლველად. 11 ივლისს დელეგაციის ნაწილი სტოვებს საბჭოთა კავშირს. დანარჩენები მიემგზავრებიან ლენინგრადში, საიდანაც მომავალ კვირაში გაემგზავრებიან საფ. და ბელგიაში.

ჩემბერლენის განცხადება

ინგლისს არა აქვს განზრახვა შესწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან

ლონდონი. 8 ივლისი. 10 ივლისს მუშათა პარტიის დეპუტატი პონსონბი შეეკითხა მთავრობას პარლამენტში, იხილავს თუ არა ინგლისის მთავრობა საკითხს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობას არა აქვს განზრახული შესწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან.

„მიჰბაძეთ საბჭოთა კავშირის მაგალითს“

ლონდონი, 10 ივლისი. თემთა პალატაში ინდოეთის საკითხის შესახებ კამათის დროს კომუნისტმა საკლატვალამ სთქვა, რომ მას საეჭვოთ მიაჩნია, ევროპაში არსებობდეს ისეთი ჩამორჩენილი ქვეყანა, სადაც განათლებული ხალხი იტანდეს ისეთ დესპოტიურ მართვა-გამგეობას, როგორსაც მოითხოვს სამეფო მთავრობა ინდოეთისთვისო.

შემდეგ მან დაუმატა: „ინდოეთის ხალხს უფლება აქვს აგიტაცია გასწიოს და იბრძოლოს იმ უსამართლო პრივილეგიების წინაალმდეგ, რომელსაც მოითხოვენ მისგან. მე პირადათ ხელი მომიწერია ბევრ კომუნისტურ მანიფესტზე, რომელიც გამოუშვია ინგლისის კომპარტიას. აქნობამდის ვერას გზით ვერ მოხერხდა ინდოეთის სოფლის მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება, იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირმა ეს საკითხი საუცხოვოდ გადასწყვიტა.

ჩვენი სამხედრო ძლიერებისათვის

(ავიაქიმიის სამდღეულის გამო)

ვერც მტერი და ვერც, მით უფრო, მოყვარე ვერ უარჰყოფს იმ ფაქტს, რომ არც ერთ თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არ გააჩნია თავის მიზნების ისეთი შეგნები, მხნე და შინაგან ლტოლვით აღტყინებული სამხედრო ძალა, როგორც საბჭოთა კავშირს. ეს თვისება, რა თქმა უნდა, ჩვენ რესპუბლიკათა თანდაყოლილ და განუყოფელ საკუთრებას არ წარმოადგენს.

რევოლიუცია წარმოუდგენელია თავგანწირულ და დაუნდობელ შეტევის გარეშე. ის ყოველთვის და ყოველგან ხასიათდება მასის იშვიათი თავდადებით და შეუპოვარ ბრძოლით. ამიტომ წითელი ჯარი, როგორც ერთად-ერთი სახელმწიფოს მიერ დაკანონებული რევოლიუციური ორგანიზაცია, ბუნებრივად ბევრათ უფრო მაღლა სდგას თავის მორალური სიძლიერით სხვა ქვეყნების სამხედრო ძალაზე.

მაგრამ ამავე დროს ისიც ვიცით, რომ ომის ბედს ჩვენს პირობებში მარტო თავდადება და ჯარის სულიერი სიმტკიცე არ სწყვეტს. ამასთან ერთად საჭიროა კიდევ იარაღზე ფიქრი, რომლითაც იბრძვის მეომარი, საჭიროა სამხედრო ტეხნიკაზე ზრუნვა.

ამ მხრივ კი საბჭოთა კავშირი პირველობას ვერ დაიჩემებს. ბურჟუაზიული სახელმწიფოები დღით და ღამით იარაღდებიან.

გულუბრყვილობა იქნებოდა, თუ სისულელე არა, გვეფიქრა, რომ ახალი ჯავშნები, პროპელერები, ქიმიური ნივთიერებანი და ტყვია-ყუმბარები, რომელიც განუწყვეტლივ მზადდება კაპიტალისტურ სახელმწიფოების ფაბრიკა-ქარხნებში, მშვიდობიანობის და კაცთა შორის სიყვარულის ანგელოზის ზვარაკათ იყვეს გამზადილი.

ადრე თუ გვიან კვლავ ამეტყველდება ზარბაზნის პირები, ადრე თუ გვიან კვლავ აფრინდება ჰაერში საწამლავით და ყუმბარებით დატვირთული ლითონის ფრინველები და სიკვდილის ცელი ჯერ არნახული ულმობელობით ამოძრავდება.

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამ შესაძლებლობისათვის. ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროთ. სხვა ენა არ ესმის ძალმომრეობაზე დამყარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებას.

ამიტომ საჭიროა დროსა და გარემოებას ალღო აუღოთ და მზათ ვიყოთ მტრის შესახვედრათ. უკვე საერთო ჭეშმარიტებათაა ცნობილი, რომ მომავალი ომი ჰაერის და ქიმიის ომი იქნება.

თუ ხორასნის ხმალთან, შაშხანა თოფთან და იორღა ცხენთან წითელ მეომარს არ ეყოლა ფრთოსანი ცხენი, რომლითაც ის ცის თაღებიდან თავს დაუვლის ბურჟუაზიის ციხესიმაგრეს და ცეცხლის ალში გახვევს მას, თუ მოწინააღმდეგის მომწამვლელ და გამანადგურებელ ქიმიას მან არ დაუპირდაპირა საკუთარ ქიმიის გესლი და შხამი, მისი რევოლიუციური თავგანწირვა და თავდადება ფუჭი და უნაყოფო მსხვერპლი იქნება.

ამიტომაა, რომ საბჭოთა კავშირში ასე დიდი ყურადღება ექცევა ავიაქიმიის განვითარებას. ამიტომაა, რომ ავიაქიმიის საზოგადოება მშრომელ მასების ფართე თვითმოქმედების და პოლიტიკურ აქტივობის თვალსაჩინო ორგანიზაციას წარმოადგენს.

— ჩვენი ლითონის ფრთოსნები და საწამლავიანი ბალონები ორ მიზანს ემსახურებიან: მშვიდობიანობის დროს ისინი ებრძვიან ბუნების კონტრ-რევოლიუციას. მათი გესლი მიმართულია სოფლის მეურნეობის მავნეების და მიწის სიმწირის წინაალმდეგ; ომის დროს საბჭოთა ავიაქიმია თავის მახვილს მიაბრუნებს გარეშე კონტრ-რევოლიუციის შესამუსრავათ.

ავიაქიმია ჩვენი შინაურ და გარეშე სიმტკიცის თავდებია; ავიაქიმია სოციალისტურ რესპუბლიკების ერთგული და საიმედო გუშაგია შინ და გარეთ. საბჭოთა მშრომელი ხალხი არ დაიშურებს შრომას და ენერგიას მის გაძლიერება-აყვავებისათვის.

ა.

შეთქმულება გადადებულია და არა უარყოფილი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 11 ივლისი. „პრავდა“ ამ სათაურით სწერს: „ინგლისის კონსერვატიული კამარილია სამარცხვინოდ ჩაფლავდა ჩინეთში დოსერის საქმის გამო. ინგლისის კონსერვატორებს ამჟამად ჩაეფუშათ თავისი გააფთრებული კამპანია საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ, მაგრამ ისინი მით უფრო გაბოროტებით დაიწყებენ სერიოზულ იერიშების მზადებას ჩვენს წინაალმდეგ, რომ უფრო მეტი მოკავშირეები შეიძინონ, უფრო მოხერხებულად შეადგინონ ყალბი დოკუმენტები, უფრო კარგად მოისყიდონ ჩვენი მტრები, კიდევ უფრო ფართოდ მიაწოდონ ფინანსები და ინსტრუქტორები თავისი ვასალების შეიარაღებულ ძალებს. ინგლისის დიპლომატიის ზეგავლენა მთელრიგ სახელმწიფოებზე არ შესუსტდება, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩვენ საერთოდ დიდი სიფრთხილით უნდა შევხვდეთ ყოველგვარ ცნობას ისეთი მოღვაწეების მშვიდობიანობის მოყვარეობისაკენ გადახრის შესახებ, როგორიც არიან ბ-ნი ბალდვინი და ჩემბერლენი. მათ ალბად მოხერხებულად შეუძლიათ უკან დახევა, რათა დააჩლუნგონ პროლეტარიატის სიფხიზლე, მის თავზე სათუთად გადაუსვან ხელი, გაულიმონ და დაუყოვნებლივ იმის შემდეგ დაიწყონ მახვილის ლესვა.

და ამიტომ ყველა მუშებმა, ყველა მშრომელებმა, მთელმა გლეხობამ—ყველამ, ვინც დაიტანჯა მსოფლიო ომით, ყველამ, ვისაც ატყუებდა ბურჟუაზია 1914 წელს უკანასკნელი ომის შესახებ და ვისი მოტყუებაც ეხლაც სურს ამ ბურჟუაზიას,—ერთი სიტყვით, მშვიდობიანობის ყველა დამცველებმა წინანდებურად უნდა განავითარონ ენერგიული კამპანია, მილიტარისტების წინაალმდეგ. რადგან შეთქმულება გადადებულია და არა უარყოფილი“.

უკანასკნელი ცნობები

ნორვეგიის ახალგ. კომკავშირის მოწოდება

სტოკჰოლმი, 10 ივლისი. ოსლოდან იტყობინებიან, რომ ნორვეგიაში ინგლისის ესკადრის ჩასვლის გამო, ნორვეგიის კომპარტიის ორგანომ „ნორგეს კომუნისტბლადმა“ გამოაქვეყნა ნორვეგიის ახალგ. კომკავშირის მოწოდება ინგლისელ მეზღვაურებისადმი ინგლისურ და ნორვეგიულ ენაზე. ახალგ. კომკავშირი მოუწოდებს ინგლისელ მეზღვაურებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩინეთში იქნებიან გაგზავნილი, არ ესროლონ თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინელებს და ინგლისის მთავრობას წარუდგინონ მოთხოვნილება: „ხელები შორს ჩინეთისაგან“.

„იმპერიალისტურ სახელმწიფოების [illegible] და კერძოთ ინგლისის [illegible] საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადების გამო, მოწოდებაში ნათქვამია: „უმჯობესია აჯანყება, ვიდრე რუსეთის [illegible]ლობა“.

ბოლოს, ახალგ. კომკავშირი მოუწოდებს ინგლისელ მეზღვაურებს უარი სთქვან მუშათა კლასის წინაალმდეგ ჯალათის როლში გამოსვლაზე, რომელ ერის წინააღმდეგაც არ უნდა გაგზავნოს ისინი ინგლისის მთავრობამ.

რეაქციონული გაზეთი „აფტენპოსტენი“ აღნიშნავს, რომ ახალგ. კომკავშირის მოწოდებას შეუძლია გამოიწვიოს გართულება და აცხადებს, რომ პოლიცია შეუდგა კვლევა-ძიებას ამ საქმის გამო.

უმუშევართა დიდი დემონსტრაცია

ვარშავა, 10 ივლისი, პეტრაკოვის უმუშევრებმა, დახმარების შეწყვეტის გამო, გამართეს დიდი საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის თვით[illegible]ლობას და გამორეკეს იქიდან ყველა მოხელეები. ქალაქის თავთან მოლაპარაკების შემდეგ უმუშევრებმა გაგზავნეს დელეგაცია ვარშავაში და ლოძში.

ბაძავენ საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მაგალითს.

ლონდონი, 10 ივლისი. ინგლისის რკინისგზელების პროფკავშირის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გამოსთქვამს მწუხარებას პროფკავშირთა მოძრაობის სისუსტის გამო. ამის მიზეზია ადგილობრივ პროფკავშირთა ორგანიზაციების სიმრავლე და პარალელიზმი მათ მუშაობაში. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ დროა შეთანხმოს პროფკავშირთა მოძრაობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ერთიანი ფრონტის შექმნა.

დელეგატმა კენტერბერიმ განაცხადა, რომ სამწუხაროა, როდესაც ინგლისის პროფკავშირთა ხელმძღვანელები ქადაგობენ მსოფლიო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობას მაშინ, როდესაც მათ გვერდით ერთმანეთს ებრძვიან ინგლისის პროფკავშირები.

რკინისგზელთა კავშირის გენერალურმა მდივანმა კრემპმა განაცხადა, რომ ყველანი დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ის ადამიანები, რომლებიც ქადაგობდენ სოლიდარობას საბჭოთა პროფკავშირებთან, ხელს უწყობენ პროფკავშირთა მოძრაობის დაქსაქსვას თავიანთ ქვეყანაში. შემდეგ კრემპმა დასძინა, რომ ვისაც სურს ყველაფერში წაბაძოს საბჭოთა პროფკავშირებს, არა სიტყვით, არამედ საქმით, რკინისგზელთა ერთიანი კავშირის შექმნით უნდა დაამტკიცონ ეს.

ჩინეთის შესახებ მიღწეულ შეთანხმების რატიფიკაცია.

პარიზი. 10 ივლისი. საფრანგეთის სენატმა უკამათოდ დაამტკიცა ვაშინგტონის კონვენცია ჩინეთის შესახებ.

მაროკოში.

პარიზი, 10 ივლისი. „ჰავასის“ სააგენტო აქვეყნებს ოფიციალურ ცნობას მაროკოში ფრანგების ოპერაციების შესახებ.

ფრანგების რაზმებმა, რომელნიც მოქმედებდენ ფეზელმახის სამხრეთით, წაიწიეს ჩრდილოეთით და უკან დაახევინეს რიფების რაზმების უდიდეს ნაწილს. უკანასკნელი შეტევა იყო უერგის ჩრდილოეთით. ქედმსენის ღამის იერიშები მოგერიებული იქნა სენეგალების რაზმების მიერ. არის საბუთი ვიფიქროთ, რომ აბდ-ელ-ქერიმი აწყობს საავიაციო კორპუსს და მართავს ჰაეროდრომს შეშუანში. საფრანგეთის რაზმის დაზვერვაზე წასვლის გამო, ესპანელების ორ რაზმს ნაბრძანები აქვს გაამაგრონ სუმბატის სექტორი გუტამიდე.

ჩინეთის ამბები

საყოველთაო გაფიცვა ჩენ-ძინში.

პეკინი, 10 ივლისი. 2 ივლისს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა ჩინეთის ქალაქ ჩენ-ძინში. უცხოელების პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლული იქნა ერთი ჩინელი. დაჭრილები ბევრია. მდგომარეობა იმდენად სერიოზული გახდა, რომ ინგლისელმა კონსულმა წინადადება მისცა ყველა ინგლისელებს ჩამსხდარიყვნენ გემში და დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ჩენ-ძინი.

ავსტრალიას სამხედრო გემები გაჰყავს ჩინეთიდან

ლონდონი, 10 ივლისი. როგორც მელბურნიდან იუწყებიან, ავსტრალიის პრემიერმა ბრიუსმა განაცხადა, რომ ავსტრალიის და ინგლისის მთავრობანი შეთანხმდენ კრეისერების გაწვევის შესახებ და ამასთანავე რა დანიშნულება უნდა ემსახურებოდენ ისინი.

იმ შემთხვევაში, როცა საკითხი დგება ინგლისელებისა და მათი ქონების დაცვაზე, გემის უფროსს უფლება აქვს იმოქმედოს ავსტრალიის მთავრობის შეუკითხავად. სხვა შემთხვევებში, როცა საჭიროა მოქმედების დაწყებამდის ინსტრუქციები გამოსთხოვოს საამირალოს, გემის უფროსი მოვალეა წინასწარათ შეეკითხოს ავსტრალიის მთავრობას.

კრეისერი „ბრისბენი“ ჩინეთის წყლებიდან ბრუნდება ავსტრალიაში.

კონფერენციის საკითხი

ვაშინგტონი, 10 ივლისი, სააგენტო „ასოშიეიტედ პრეს“ იტყობინება, რომ თუმცა არც ერთი დაინტერესებული სახელმწიფო პირდაპირ არ ეწინააღმდეგება მონაწილეობის მიღებას კონფერენციაზე, რომლის მოწვევას მოითხოვს ამერიკა ჩინეთში უცხოელების ექსტერიტორიალობის საკითხის განსახილველად, მაგრამ ზოგიერთი სახელმწიფოები ილაშქრებდენ კონფერენციის მოწვევის დროის და მისი პროგრამის წინაალმდეგ. ამერიკის მთავრობას თავის მხრივ სურს, რომ კონფერენცია რაც შეიძლება ჩქარა შესდგეს, რათა შესრულოს ჩინეთისათვის ვაშინგტონის კონფერენციაზე მიცემული დაპირება. ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ დათმობა ექსტერიტორიალობის საკითხში საგრძნობლად შეასუსტებს ჩინელების სიძულვილს უცხოელებისადმი.

საეჭვო მეგობრობა

ლონდონი, 10 ივლისი. ინგლისში იაპონიის ტახტის მემკვიდრე პრინც ჩიჩიბუს ჩასვლის გამო, „დეილი ტელეგრაფ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი ეხება ამჟამად ინგლისსა და იაპონიას შორის არსებულ გულწრფელ მეგობრულ დამოკიდებულებას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამჟამად გაჩაღებული აგიტაცია უცხოელების წინაალმდეგ ჩინეთში უმეტესად მიმართულია ინგლისელების და იაპონელების წინაალმდეგ. სწორედ ამ ორ სახელმწიფოს განზრახ გამოყოფამ სხვა სახელმწიფოებისაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს, ჰპოვა გამოძახილი დიპლომატიურ წრეებშიაც. როცა „რამოდენიმე დღის წინ“, როგორც კორესპონდენტი სწერს, გამოირკვა [illegible] ეს, ლონდონიდან ტოკიოში გაგზავნილ იქნა მნიშვნელოვანი დეპეშა, რომელზედაც დაუყოვნებლივ მიღებული იქნა გულწრფელი პასუხი. პასუხში გამოთქმული იყო კმაყოფილება ასე ძვირფასი მეგობრობის და თანამშრომლობის აღორძინების გამო.

შემდეგ კორესპონდენტი ლაპარაკობს, რომ მის ხელთ არსებულ ცნობების თანახმად, ამერიკის მთავრობამ დაიმედა ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები, რომ კონფერენციები, რომლებიც გათვალისწინებულია ვაშინგტონის ხელშეკრულებაში, შესდგება, როგორც კი შეწყდება მღელვარება ჩინეთში. კორესპონდენტი დასძენს, რომ ამ ჟამად ლაპარაკიც არ არის ასეთი კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, როგორც ამას შემცდარათ ამტკიცებდენ წინად.

ბელორუსიის გასაბჭოების 5 წ. თავი

ბელორუსიის გასაბჭოების ხუთი წლის თავის გამო საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ შემდეგი მისალმების დეპეშა გაუგზავნა მინსკში ბელორუსიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს

ბელორუსიის მშრომელ მასების მონობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლების ხუთი წლის თავზე საქართველოს მუშები და გლეხები უძღვნიან თავის ძმებს, სოციალისტურ საბჭოთა ბელორუსიის მუშებს და გლეხებს თავის მხურვალე და გულწრფელ სალამს. საქართველოს მშრომელებიც მთელი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდენ ჩაგვრას და რომლებიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების საშუალებით ეზიარენ ნამდვილ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ჰპყრიათ რა ბელორუსიის მუშებსა და გლეხებისათვის მოწინავე საგუშაგოები დიდ საბჭოთა კავშირში,—ამ საზეიმო დღეს ფიცს სდებენ მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ საბჭოთა ხელისუფლებას [illegible] დაიცავენ ყოველგვარ თავდასხმისაგან მუშათა კლასის მტრების მხრივ. ჩვენს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ხალხებს ერთი და იგივე ინტერესები აქვთ. ჩვენ მჭიდროთ ვართ შეკავშირებული მთლიანობით, სოლიდარობით და თანასწორობით. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენი კავშირი, რომელსაც უჭირავს ქვეყნიერების ერთი მეექვსედი ნაწილი, დაუძლეველია; ის იზრდება და მტკიცდება მიუხედავად ჩვენი მტრების ხრიკებისა და ვერაგობისა.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა ბელორუსიას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს სოციალიზმს!“

ფ. მახარაძე.

ომი მაროკოში

კრედიტები მაროკოს ავანტიურისათვის.

პარიზი, 10 ივლისი. დეპუტატთა პალატის ღამის სხდომაზე მაროკოს ომისთვის დამატებითი კრედიტების შესახებ კამათში მონაწილეობა მიიღეს რენოდელმა, პანლევემ [illegible] და რენო ჟანმა:

[illegible] რენოდელმა განაცხადა, რომ სამხედრო უწყისების მიერ ჩადენილი შეცდომები [illegible] ამათ გამოცვლას. რენოდელი ამასთანავე აღნიშნავს, რომ მთავრობისაგან ჩადენილი პოლიტიკური შეცდომებიც ერთობ მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა ის მაინც მზად არის აპატიოს მთავრობას შეცდომები, თუ ის დასთანხმდება [illegible] რობებით, [illegible]ელიც მისაღები იქნება აბდ-ელ-ქერი[illegible]. რენოდელმა დაუმატა, რომ სოციალისტები მთავრობის მხარეს დადგებიან იმ შემთხვევაში, თუ აბდ-ელ-ქერიმი არ მიიღებს ამ საზავო პირობებს.

კომუნისტმა რენო ჟანმა დეტალურად დაასაბუთა კომუნისტების დამოკიდებულება „სულელურ და საშინელ ავანტიურისადმი, რომელსაც აწარმოებს საფრანგეთის მთავრობა. რენო ჟანმა სთქვა, რომ საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა აუტანელია. ომი მაროკოში მას უჯდება მილიარდები და ათასობით სიცოცხლეს იწირავსო“.

შემდეგ [illegible] კამათისა კრედიტები მიღებულ იქნა 411 ხმით, კომუნისტებმა (29 კაცი) წინააღმდეგ მისცეს ხმა, 115 სოციალისტმა თავი შეიკავა.

საფრანგეთ-ესპანეთის თანამშრომლობა მაროკოში.

პარიზი, 10 ივლისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება მადრიდიდან, რომ საფრანგეთის და ესპანეთის დელეგატებმა საბოლოო რედაქცია გაუკეთეს შეთანხმების ორივე ქვეყნის პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ მაროკოში.

საუბარი საფრანგეთის ძალების ახალ მთავარსარდალთან მაროკოში

პარიზი, 10 ივლისი. გაზეთ „ჟურნალ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს საფრანგეთის ჯარების ახალმა მთავარსარდალმა მაროკოში, გენერალმა ნოლენმა განაცხადა, რომ მოწინააღმდეგეს ახასიათებს უდიდესი სისწრაფე და მოქნილობა. მაგრამ საკმარისი არ არის რიფების იერიშების მოგერიება. საჭიროა მათ წინააღმდეგ გამანადგურებელი იერიშების მიტანა. გენერალის სიტყვით, ამ მხრივ მთავრობამ [illegible] მოქმედების სრულ თავისუფლებას და უზრუნველჰყოფს საამისო საშუალებას.

ფიმენის სურვილი.

პარიზი, 10 ივლისი. თავის მიმართვაში პარიზის ოლქის პროლეტარული მოქმედების კომიტეტისადმი, ტრანსპორტის მუშათა ინტერნაციონალის გენერალურმა მდივანმა ედო ფიმენმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ვერ დაესწრო მუშათა კონგრესს. ფიმენმა სურვილი გამოსთქვა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატს მოეხერხებინოს მაროკოს ავანტიურის ბოლოს მოღება.

ინგლისის ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამორკვევა

ლონდონი, 10 ივლისი. ინგლისის სამთო-მადნო მუშების ფედერაციის აღმასკომსა და მთავრობის წარმომადგენელს—ბრიჯმენს შორის გამართულ მოლაპარაკების დროს, ბრიჯმენმა, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს მაღაროების მეპატრონეებსა და მუშებს შორის, აღნიშნა, რომ მთავრობას განზრახული აქვს დანიშნოს კომისია ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამოსარკვევად.

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

ლონდონი. 10 ივლისი. იუწყებიან რომ ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია გაიხსნება 27 ივლისს და გაგრძელდება 31 ივლისამდე. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები; შინასაიმპერიო ემიგრაცია; ჟენევის ოქმი; საერთაშორისო მუშათა კანონმდებლობა, სავაჭრო დამოკიდებულება ინგლისსა და ახალშენებს შორის; შრომის პირობები ინდოეთსა და ბრიტანეთის სხვა კოლონიებში; სავაჭრო კანონმდებლობა მანდატ ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე და მათში ბრიტანეთის ინტერესების დაცვა.

მუშათა კლასის მოღალატე

ლონდონი, 10 ივლისი. რკინისგზელთა ფედერაციის კრებაზე წარმოთქმულ ტომასის სიტყვის შესახებ ინგლისის კომპარტიამ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა:

„თუ ტომასს სურს გაიგოს, თუ ვის შეუძლიან გაიღოს ცხოვრებისათვის საკმაო სამუშაო ხელფასი, მაშინ ჩვენ ვურჩევდით—მიემართა რკინისგზის კომპანიების დირექტორებისთვის—ამ თავის გულითად მეგობრებისთვის. ტომასი ტრედიუნიონების პასუხისმგებელი პირია. ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ იმას უფლება აქვს, საბოტაჟი გაუწიოს ინგლისელ მუშების მიერ საბჭოთა მუშების დახმარებას, ან გენერალურ საბჭოს კამპანიას უმუშევართა სასარგებლოთ და ამასთანავე ებრძოლოს სხვა კავშირების მაღაროელებს, რომლებიც იბრძვიან კაპიტალის საერთო იერიშის წინააღმდეგ.

მუშათა კონგრესის გარშემო

პარიზი, 10 ივლისი. ჩრდილოეთ რაიონის მუშა სოციალისტების მთელმა რიგმა სურვილი განაცხადა მიიღოს მონაწილეობა იმ რაიონის მუშათა კონგრესზე, რომელიც შესდგება 12 ივლისს.

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ ბეჭდავს ქ. ლილის სოციალისტური გაზეთის თანამშრომლის წერილს, რომელიც ლილელ სოციალისტების ერთი ჯგუფის სახელით ჰკიცხავს სოციალისტების ლიდერების გამყიდველობას და აცხადებს, რომ ის მიიღებს მონაწილეობას ლილში მომავალ მუშათა კონგრესზე, რათა მოუწოდოს პროლეტარიატს გააფთრებული ბრძოლისაკენ ომის წინააღმდეგ და მოითხოვოს დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება რიფებთან.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საფრანგეთი

საპროტესტო გაფიცვა.

პარიზი, 9 ივლისი. რადგან სენატმა არ დაამტკიცა კრედიტები სადგურ „სენ-ლაზორ“-ის ღამის ფოსტის დამტარებელთათვის ჯამაგირების მოსამატებლად, ფოსტის დამტარებლებმა პროტესტის ნიშნად გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა 4 საათს.

ამავე მიზეზით ორი საათით გაფიცული იყვნენ პარიზის ცენტრალური ტელეგრაფის ღამის მოსამსახურეები.

ბელგია

მელითონეთა გაფიცვა

პარიზი, 9 ივლისი. გრძელდება მელითონეების გაფიცვა ბელგიაში.

თუ მწარმოებლები უარს არ იტყვიან ხელფასის შემცირებაზე, 16 ივლისს გამოცხადებული იქნება მელითონეების საყოველთაო გაფიცვა.

საკავშირო ბიუჯეტი

1925 26 წლისათვის

მოსკოვი. 11 ივლისი. ამხ. სოკოლნიკოვის თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. ამხ. პიატაკოვი ეხება რა ფინსახკომის არა სწორ მიდგომას მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისათვის თანხების გაღებისადმი, აღნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეობის ზრდისათვის საჭიროა მრეწველობის განვითარება და რომ ეს უკანასკნელი ხელს ვერ აიღებს განაპირა რესპუბლიკებში ფაბრიკების აგებაზე.

ამხ. ჩუბარი ეწინააღმდეგება სოკოლნიკოვის წინადადებას, სათემო ბიუჯეტის სასარგებლოთ საგუბერნიო და სათემო ბიუჯეტებიდან სამრეწველო გადასახადების ანარიცხების შესახებ.

დასკვნას უკეთებს რა კამათს, ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი წინასწარი საბიუჯეტო გეგმა წარმოადგენს მხოლოთ სქემას მტკიცე გეგმის შესადგენათ. სწორად სცნობს რა საერთო სქემას, ამხ. რიკოვს საჭიროთ მიაჩნია მრეწველობისათვის გაღებულ თანხების და აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტების გადიდება.

სახკომისართა საბჭოს გადაწყვეტილება

რიკოვის წინადადებით სახკომისართა საბჭოს გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილება:

ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ბალანსი ცნობილ იქნას მიზანშეწონილათ კავშირის რესურსებსა და სახალხო მეურნეობის ტემპთან შეფარდებით. წინადადება მიეცეს ყველა საერთო საკავშირო უწყებათ და დაწესებულებათ, და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს, გაითვალისწინონ 1925 -26 წ. სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის წარმოდგენილი გეგმა, ხარჯთ-აღრიცხვის საბოლოოთ გამომუშავების დროს, ბალანსის ფარგლებში მაქსიმალური შეფარდებულობის დაცვით. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიეცეს წინადადება 2—3 კვირის ვადაში დაასრულოს ფინსახკომის პროექტის განხილვა მეურნეობის აღსადგენათ სესხის გამოშვების შესახებ. უაღრესათ საჭიროა რა უზრუნველყოფა მრეწველობის შემდეგი აღდგენისა და განვითარების, დაევალოს ფინსახკომს, ს. მ. უ. ს. და სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარმოადგინონ ხარჯების გეგმა მრეწველობის განსავითარებლად და მისი ძირითადი კაპიტალის აღსადგენათ როგორც სესხის გამოყენების, აგრეთვე ყოველგვარ სხვა საშუალებებით. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკებს, საჭიროა მიაღწიოთ მათი ბიუჯეტის უდეფიციტობას, რ. ს. ფ. ს. რ. და უ. ს. ს. რ. მაინც. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და ფინსახკომს სახკომისართა საბჭოში ბიუჯეტის წარმოდგენის დროს გამოდიოდნენ საბჭოთა აპარატის შესანახ ხარჯების შემცირების საჭიროებიდან.

საკავშირო დეპეშათა სააგენტო

მოსკოვი. 11 ივლისი. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შეტანილი საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დებულების პროექტი.

თანახმად დებულებისა, საკავშირო დეპეშათა სააგენტო არის საკავშირო ცენტრალური საინფორმაციო ორგანო. დეპეშათა სააგენტოს ევალება საკავშირო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებში და უცხოეთშიაც პოლიტიკური, ეკონომიური, სავაჭრო და სხვა საზოგადო მნიშვნელობის ცნობების გავრცელება როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, ისე უცხოეთის სახელმწიფოების შესახებ.

საკავშირო დეპეშათა სააგენტო სარგებლობს კავშირის გარეთ ინფორმაციის შეკრების განსაკუთრებული უფლებით და აგრეთვე აქვს უფლება უცხოეთის და საკავშირო ინფორმაციის გავრცელებისა კავშირის ფარგლებში. საკავშირო დეპეშათა სააგენტო ხელმძღვანელობს რესპუბლიკანური დეპეშათა სააგენტოების მუშაობას უცხოეთის და საკავშირო ინფორმაციის გავრცელების საქმეში სათანადო რესპუბლიკების ფარგლებში საკავშირო დეპეშათა სააგენტო სარგებლობისაგან განსაკუთრებული უფლებით დასდოს შეთანხმება სხვა ქვეყნების დეპეშათა სააგენტოებთან.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სათავეში სდგას საბჭო, 9 კაცისაგან შედგარი, რომელნიც ინიშნებიან კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

პურის დამზადების კამპანია

მოსკოვი, 10 ივლისი. საკავშირო თათბირზე პურის დამზადების შესახებ გამოტანილ იქნა მთელი რიგი დადგენილებათა, რომელთა შინაარსიც დაახლოებით შემდეგია:

პურის ფასის ადმინისტრატიულად განსაზღვრის მაგიერ უნდა შემოღებულ იქნეს უფრო სხვა გონივრი და მოქნილი საშუალებანი. პურის საშუალო ფასი გამომუშავებულ უნდა იქნეს ადგილისა, პირობებისა და დროის ცვალებადობის მიხედულობით. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლიან რაიონებში საწარმოვო საქონლისა და ფაბრიკატების შეტანას, რაც უნდა ხდებოდეს უმთავრესად კოოპერატივების შემწეობით. ღარიბ გლეხობას უნდა მიეცეს სესხი მეურნეობის მოსაწყობად. აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბაზარზე გამოსატან პურის გამშრობას და დახარისხებას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

სკოლა აჭარელ ქალიშვილებისათვის

ბათომი, 11 ივლისი. ხულოს მაზრაში ქალთა განყოფილებამ გახსნა პრო-კურსის სკოლა აჭარელ ქალიშვილებისთვის, განზრახულია, ასეთივე სკოლები გაიხსნას სხვა მაზრებშიც.

მეფუტკრეობის კურსები

ბათომი, 11 ივლისი. ახალ მეფუტკრე-ინსტრუქტორების მოსამზადებლად მიწ. მოქ. კომისარიატის მიერ ახლო მომავალში მოწყობილ იქნება ბათომში მეფუტკრეობის კურსები.

წყალსადენის მილი.

ბათომი, 11 ივლისი. კომმეურნეობის მიერ შემუშავებულია გეგმა ახალი წყალსადენი მილების გასაყვანად ქალაქის სანაპიროებში, აგრეთვე განზრახულია მაგისტრალის შეკეთება. ამ საჭიროებისათვის საამშენებლო განყოფილება ამ რამდენიმე დღეში მიიღებს წყლის მილების დიდ პარტიას.

საბჭოთა აჭარისტანში

აღორძინების გზით

ბათომიდან დილით გავედით ავტომობილით. ორკესტრი უკვე დიდი ხნიდან იყო გაგზავნილი.

12 საათზე ჩავედით მარუნცეთში (აჭარისწყლის მაზრა), სადაც აჭარისწყლის ჰიდრო ელექტრო-სადგური შენდება. აქ მდ. მახუნცეთის პაწია წყალვარდნილზე მოწყობილია დრ. ელსადგური, რომლის ენერგიით უნდა მოხდეს მთავარ სადგურის მუშაობის მექანიზაცია. დღეისათვის, 7 ივლისისათვის, დანიშნული იყო მახუნცეთის დრ. სადგურის გახსნა.

სწორედ 12 საათზე დაჰკრა მახუნცეთის მუშათა ზარმა. ყველამ თავი მოვიყარეთ სადგურის შენობასთან. სადგურის პირდაპირ არაჩვეულებრივი სილამაზით მოჩხრიალებს პაწია წყალვარდნილი.

შეუშვეს წყალი ახსნეს ტურბინები და ამუშავდა პატარა ელსადგური.

მახუნცეთიდან ქედაში გავემგზავრეთ.

ჩვენ თვალწინ საუცხოვო სურათი გადაიშალა. გიჟმაჟ მდინარეს, რომელიც ყოველნაირათ იწირავდა რამდენიმე ათეულ მსხვერპლს, ზედ გადაკვრია მშვენიერი ხიდი, რომლის მაგვარი მთელ დასავლეთ საქართველოში არ მოიპოვება. ეს ხიდი მუშათა და გლეხთა კავშირის საუკეთესო მაჩვენებელია.

ორი წლის წინეთ ბათომის მუშებმა ქალაქის საბჭოს დაავალეს ქედის ხიდის აგება. ეს არის მუშების საჩუქარი გლეხებისადმი მჭიდრო შეკავშირების მიზნით.

ხულოელმა გლეხმა იუნუს ბერიძემ სთქვა ქედის ხიდის გახსნის გამო გამართულ მიტინგზე:

— ბევრი მთავრობა გვინახავს აჭარლებს, თითქმის ყველა მთავრობა გვაგროვებინებდა ხე-ტყის მასალას ხიდის ასაგებათ, ყოველ წელს მოგვქონდა ბეგების ბრძანებით საუკეთესო ხეები და ფიცრები, მაგრამ ამ მასალიდან ბეგები და ნიკოლოზის მთავრობის აგენტები სახლებს აშენებდნენ, ჰყიდდნენ მასალას ბათომში, ხოლო აჭარისწყალი ჩვეულებრივ ღრჩობდა მგზავრებს, ართმევდა ხარებს, ურმებს, საქონელს.

ამასვე იმეორებდნენ გლეხები კერძო ლაპარაკში. ამხ. ს. ლორთქიფანიძემ აცნობა ხალხს. რომ თბილისიდან ვერ ჩამოვიდნენ ამხანაგები, ძლიერ ნანობდნენ და დეპეშით გვესალმებიან. მიტინგი „ვაშათი“ შეხვდა ამხ. ორჯონიკიძეს, ელიავას, ქართველიშვილის, კახიანის, კორკას, ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას და სხვათა დეპეშებს.

მიტინგის შემდეგ გაიმართა სახალხო ბაირამობა (დღესასწაული)—მუსიკა, ცეკვა, სიმღერა და სხვა ათასი გასართობი. უკვე დაიძრა ჩვენი ავტომობილები, უკვე გვშორდებოდით ქედას და კიდევ დიდხანს გვესმოდა ხალხის მხიარულება.

ასეთი ზეიმით მიიღო აჭარისტანის მშრომელმა ხალხმა ბათომის მუშების საჩუქარი ქედის ხიდი, რომელსაც ნიშნად ღრმა პატივისცემისა უწოდა „ამხ. თ. ხიმშიაშვილის სახელობის მუშათა ხიდი.

გრ. ხ—ძე.

ავიაციისა და ქიმიის დღესასწაული

საქართველოს ყველა მშრომელებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ძლიერი წითელი საჰაერო ფლოტის შექმნა, ძლიერი ქიმიური მრეწველობის განვითარება სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკების კავშირში უნდა წარმოადგენდეს ყოველი მშრომელის ყოველდღიურ ვალდებულებას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს თვითეული მშრომელის ბრძოლას კულტურულ ფრონტზე, ავიაციის და ქიმიის უცოდინარობის სალიკვიდაციო ფრონტზე.

აი ორი უმთავრესი ამოცანა, რომელიც უნდა გვახსოვდეს და შეძლებისდაგვარათ ვასრულებდეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ავიაცია და ქიმია—საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი შრომის ორი საიმედო დამცველია.

ვერც ომი და ვერც მშვიდობიანი ცხოვრება გვერდს ვერ აუხვევენ ამ ჟამად კაცობრიობის ამ მიღწევებს.

მომავალი ომი—არის ომი ჰაერში, ომი გაზებით.

ჩვენს დროში ავიაციისა და ქიმიისათვის, როგორც ომის საშუალებისათვის, არაფერი არ არის მიუღწეველი. არც ერთ მშრომელს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მომავალ ომის დროს არ იქნება ფრონტი და ზურგი. ყოველ დასახლებულ პუნქტს მოელის განადგურება ჰაერიდან—გაზების საშუალებით. ამავე დროს ჩვენ სასოფლო მეურნეობას, მრეწველობას ესაჭიროება ისეთი დიდი მიღწევები, როგორც ავიაცია და ქიმია.

საჰაერო ტრანსპორტი, ბრძოლა ტყის ხანძარის წინააღმდეგ, ბრძოლა მინდვრების მავნეებთან, ნიადაგის გაპოხიერება, და სხვა საშუალებანი საჭიროა ჩვენი სახალხო მეურნეობის აღსადგენად და ამით მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად—ყველაფერი ეს გვაძლევს საშუალებას ფართოთ ვისარგებლოთ წითელი ავიაციით და ქიმიით.

ბოლოს ავიაცია და ქიმია უნდა იქნას გამოყენებული მშრომელთა კულტურულ დონეს ასამაღლებლად.

ყველა ეს ამოცანები იკისრა თავის თავად „ავიაქიმის“ საზოგადოებამ, რომელიც 14 ივლისს აღნიშნავს თავის მიღწევებს.

თვითეულმა მშრომელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ავიაციის განმტკიცებაში. ვინც ჯერ კიდევ არ არის ამ საზოგადოების წევრი, ამ დღეს უნდა დადგეს ჩვენს რიგებში და ამით შეიტანოს თავისი წვლილ ქვეყნის დასაცავად და ავიაციის და ქიმიურ მრეწველობის განსავითარებლად.

ჩვენი ლოზუნგია: ჩაეწერეთ „ავიაქიმის“ წევრებად. ებრძოლეთ ავიაციის და ქიმიის უცოდინარობას.

მშრომელო, შეიტანე შენი წვლილი საბჭოთა კავშირის ავიაციის და ქიმიურ მრეწველობის განსავითარებლად.

გაუმარჯოს „ავიაქიმს“!

„ავიაქიმის“ პრეზიდიუმი.

საქართველოს „ავიაქიმის“ ამოცანები მომავალ წლისათვის

ავიაქიმი არის ორგანიზაცია, რომელიც თავის ირგვლივ თავს უყრის ყველა მშრომელებს მათ შორის ავიაციის და ქიმიის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით. ლიტერატურის გამოცემა, კურსების, წრეების, კლუბების, ბიბლიოთეკების, ლაბორატორიების მოწყობა, კინო-ფილმების დიაპოზიტივების, პლაკატების და სხვა სააგიტაციო და საპროპაგანდო საშუალებათა გამოყენება—ყველაფერი ეს ემსახურება სწორედ ამ ამოცანას.

მომავალ წელს ავიაქიმის მუშაობაში ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას მშრომელთა შორის ავიაციის და ქიმიის უცოდინარობის მოსასპობად. წარსულში, განსაკუთრებით საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებას, აქვს ამ მხრივ უდიდესი გამოცდილება. ეს გამოცდილება უნდა იქნას გამოყენებული მუშაობის გაფართოების მიზნით უმთავრესად გლეხთა ახალგაზრდობას შორის. გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ სოფელი ამ საქმეში საკმარისად არ არის ჩაბმული. მომავალ წელს ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს, საბჭოთა რუსეთის ყველა სასწავლებლებში შემოღებულია ავიაგაკვეთილი, ჩვენში, საქართველოში ამას ჯერ ადგილი არა აქვს. საჭირო იქნებოდა ამ ღონისძიების გატარება საბჭოთა საქართველოში 1925-1926 წ. სასწავლო წლიდან.

ქალაქებში: თბილისში, ბათომში და ქუთაისში საკმაოდ გავრცელდა ავიასპორტი.* სხვა ქალაქებში, თუ არაფერს ვიტყვით სოფელზე, ამას ჯერ კიდევ ადგილი არა აქვს. ამავე დროს ამის საშუალება ჩვენ გვაქვს. ახალგაზრდობა სიამოვნებით ჰკიდებს ხელს ამ საგანს. საჭიროა ახალგაზრდობის ეს სურვილი გამოყენებული იქნას.

ჩვენ საშუალება გვაქვს საქართველოში ვისარგებლოთ მტკვრით და რიონით და მათზე ავაშენოთ ჰიდრო გლისერი (ტივი პროპელერით).

მტკვარი და რიონი მაშინ საშუალებას მოგვცემენ გადავზიდოთ ტვირთები უფრო ჩქარა, ვიდრე ტივებით ან და რკინის გზით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობაც, პარტიაც და ავიაქიმიც მომავალ წელს შეუდგებიან ამ საკითხის მოგვარებას.

ავიაციის და ქიმიის აგიტაცია და პროპაგანდა გავრცელებულია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ცენტრებში და არ შეიძლება ითქვას, რომ მას ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი. ამ მხრივ ავიაქიმის ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ დაიკვეხნის. საჭიროა ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ მისცეს ადგილებს განსაზღვრული პროგრამა და მუშაობის გეგმა მომავალი წლისათვის, რათა მშრომელთა ფართო მასებში თანდათან გავრცელდეს საავიაციო და ქიმიურ მრეწველობის განმტკიცების იდეა.

ავიაციის და ქიმიის პროპაგანდის საქმეში ჩვენში საკმარისად არ არის გამოყენებული მუშათა კლუბები, ბიბლიოთეკები ქოხ სამკითხველოები, სკოლები. ყველგან უნდა არსებობდეს ავიაქიმის კუთხე და საავიაციო-ქიმიური ლიტერატურა.

საჭიროა მომავალ წელს ამ მუშაობას მიექცეს უდიდესი ყურადღება. აგიტ-სასამართლოები, ინსცენიროვკები, წარმოდგენები უნდა იმართებოდეს მუშათა და სხვა კლუბებში სხვა წარმოდგენებთან ერთად. საკმარისია ამ მუშაობას დაეთმოს თუნდაც კვირაში ერთი დღე. იქვე საჭიროა წამოყენებული იქნას ავიაქიმის წრეების მოწყობის ამოცანა.

საქართველოს ბევრი საუკეთესო ძალების გამოყენება შეიძლებოდა და ეს უნდა შეადგენდეს მომავალი წლის ამოცანას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არავინ უარს არ იტყვის ამ კეთილ და მშრომელთათვის საჭირო მუშაობაზე.

საავიაციო-ქიმიურ ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე აგრეთვე უნდა ჩაითვალოს ავიაქიმის უპირველეს ამოცანას. გარდა 3 საავიაციო ბროშურისა, რომელიც საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებამ გამოსცა, ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი წიგნაკი ავიაცია ა და ქიმიაში. ამასთანავე არც ერთი წიგნი არ არის მისაწვდომი ფასით მასებისათვის. ავიაქიმმა ეს მუშაობა უნდა დაისახოს დამკვრელ ამოცანად, მით უმეტეს, რომ პროფკავშირთა საბჭო, სახელგამი და პარტიის ცეკა ამ მხრივ აღმოუჩენენ მას საჭირო დახმარებას.

აგიტ-ფრენას საქართველოში თითქმის არ ჰქონია ადგილი. მომავალ წელს სასურველი იქნება გამოვიყენოთ წითელი არმიის საჰაერო ძალები. ამ ამოცანასთან ერთად უნდა იქნას წამოყენებული მეორე ამოცანა—ჰაეროდრომების და გასაფრენ მოედნების მოწყობა. ეს საკითხი საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებამ წამოაყენა ერთი წლის წინად, მაგრამ ამას არავითარი შედეგები არ მოჰყოლია. არის შემთხვევაი, როდესაც კარგი გასაფრენი მოედნები სრულიად მოუწყობელია. ავიაქიმმა მთავრობის წინაშე უნდა დააყენოს კითხვა ჰაეროდრომების და გასაფრენ მოედნების დაცვის შესახებ. ამასთანავე თვითეულ ქალაქს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გასაფრენი მოედანი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოეწყოს საგიტაციო გაფრენა.

ნ. დვორიანოვი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისელ მოდელისტების ერთი ჯგუფი

საავიაციო სპორტი

საავიაციო - სასპორტო მუშაობა საქ-ში დაიწყო 1924 წლის მაისში მფრინავ ხეჩინაშვილის ხელმძღვანელობით. ამავე თვის 5-ს მოწყობილი იქნა პირველი შეჯიბრება ჰაეროპლანების მოდელებისა საბჭოთა კავშირში, რომელიც გაიმართა თბილისში. ამ შეჯიბრებაზე პირველობა წილათ ხვდა საქართველოს.

თბილისის მაგალითის მიხედვით საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიაც გაიმართა ასეთივე შეჯიბრება, მაგრამ პირველობა შეინარჩუნა საქართველომ.

შეჯიბრებები განმეორებულ იქნა რამოდენიმეჯერ და შედეგები მათი ასეთი იყო:

— 5 მაისს მომხდარ შეჯიბრებაზე მოდელი გაფრინდა 16 მეტრის მანძილზე, 1 დეკემბერს—58 მეტრზე, 14 დეკემბერს—69; 25 წლის 1 მარტს—160 მეტრზე და 2 მაისს 228 მეტრზე. ეხლა უკვე მიღწეულია მოდელის გაფრენის მანძილი 320—430 მეტრამდე.

საავიაციო - სასპორტო მუშაობა წარმატებით ვითარდება. 13 ივლისს გაიმართება მოდელების ახალი შეჯიბრება.

საპლანერო სპორტი *)

საპლანერო სპორტის განვითარება საქართველოში დაიწყო 1924 წ. მაგრამ საქმეს აბრკოლებდა ფინანსიური საკითხი. საქმე იმაშია, რომ
თითოეული პლანერის აშენ
ბა 500 მანეთი და გარდა
მოითხოვება საკმაო რაოდენო
ციალური საავიაციო მასა
ხედავათ ამისა საქართველ
ერო ფლოტის მეგობართა
დოებამ 1924 წელს ააშენა
ხეჩინაშვილის კონსტრუქცი
ნერი—„საბჭოთა საქართველ
მელიც გაგზავნილ იქნა
მოდელისტებთან ერთად
სრ. საკავშირო შეჯიბრებაზ
ამჟამად შენდება 3 პლა
ციალური სასწავლო ტიპი
ნავების მოსამზადებლად.
ტეის მეცადინეობა გაიმა
კეში, სადაც სპეციალურად
საპლანერო სადგური.
საქართველოში ითვლება
40 მოდელისა და საპლანერ
სასპორტო მუშაობა სწარმ
ტონომიურ რესპუბლიკებში
რებშიაც. განსაკუთრებით
ნავია აჭარისტანის საპორ
რომელმაც თავისი არსებობ
მოკლე ხნის განმავლობაში
ლოვან შედეგებს მიაღწია.
რამდენიმე ხნის წინათ
საავიაციო წრე ქუთაისში
ვათ ამისა, ამ წრემ თავის
შემოიკრიბა მოსწავლეთა
ოდენობა.
რაც შეეხება სოფლად
ს. ფ. მ. ს. სასპორტო სექ
ამზადა 25 მოდელი, რომ
ფელს ეგზავნება.

---

*) პლანერი—უმოტორო ჰაეროპლანი.

ავიაციის და ქიმიის დღესასწაუ ჩატარების გეგმა

12 ივლისი

კვირას დღისით „ავიოქიმის“ კარნავალი ჰაეროპლანების მონაწილეობით (რუსთაველის პროსპ. პლეხანოვის, ნაძალადევის და კახეთის მოედნის რაიონში).

დღის 11 საათზე, ქალაქის ოთხ ადგილას, სახელდობრ: ნაძალადევში, რუსთაველის პროსპექტზე, პლეხანოვის პრ. და კახეთის მოედანზე მოხდება ფუჭი ვაზნებით სროლა ჰაეროპლანებზე, რომლებიც იერიშს მიიტანენ ქალაქზე.

საღამოს მიტინგები რაიონებში დიდ წარმოებებსა და სოფლებში.

მიტინგების შემდეგ „ავიოქიმის“ საღამოები.

ამ დღისათვის რაიონებში ეწყობა „ავიოქიმის“ ლიტერატურის, ჟურნალების და ყველა გამოცემათა და ავიაციის და ქიმიის ექსპონატების გამოფენა.

მუშათა ცენტრალურ კლუბში საღამოს ავიო-კუთხის საზეიმო გახსნა.

გამოყენებული იქნება „ზარია ვოსტოკას“ და „რაბოჩაია პრავდას“ სარეკლამოები.

ამ დღიდან მუშათა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში და მიტინგებზე იწყება საზოგადოების წევრებად ჩაწერა და „ავიოქიმის“ ნიშნების, ლიტერატურის, ჟურნალების და სხვა გამოცემათა და ნაწარმოებების გავრცელება.

თვითმფრინავები „იუნკერსი“ იგზავნება პროვინციაში ფურცლების და ლოზუნგების მასიურად გავრცელების მიზნით და, აგრეთვე, თუ მო-
ხერხდა, ლექციების და მო
წასაკითხავად და გლეხებ
ნათა მოსაწყობად.

13 ივლისს

ორშაბათს—დღისით 11
მოდელების შეჯიბრება
და ბათომში, რაიონებში.
ამავე დროს გაზით „
მუშებისა, მოსამსახურეებისა
ლიდან ჩამოსულ გლეხებისა
საღამოს მუშათა კლუბებ
ციები ავიაციაში და ქიმ
პოზიტივებისა და ქიმიურ
გამოყენებით.
პროვინციაში მუშაობის
ლი ტარდება შეძლებისდაგ

14 ივლისს

საჰაერო ფლოტის ნაწილ
ლუმი აეროდრომზე.
იქვე ვ. ი. ლენინის ძეგლ
ლის გახსნა.
მუშების და გლეხების
ჰაეროპლანით.
გაფრენის შემდეგ ავიაცი
ის და თვითმფრინავების გ
დათვალიერება.
საღამოს „ავიოქიმის“ წ
მათი ოჯახებისათვის უფა
მო-კონცერტი წითელი ა
ფლოტის ბაღში (პლეხანო
72) და კინო-საღამო პი
ხალხო კინოში (ცირკის და
ძმ. ტანტის ცირკი).
ქალაქის სარაიონო საბჭო
ვევენ დღესასწაულზე შემო
მყოფ სოფლების გლეხებს.
დღესასწაულის ჩამტარებე
კომ

მეტეხის რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია

მესამე დღე

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

მესამე დღის სხდომაზე საბჭოთა კავშირის შინაურსა და საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მამია ორახელაშვილმა, რომელმაც ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა მთელი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და შემდეგ ვრცლად შეჩერდა საბჭოთა კავშირის და კერძოდ საქართველოს მეურნეობის მიმოხილვაზე.

ს. მ. უ. ს. მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ჟუჟიკაშვილი).

მომხსენებელი ეხება რა ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობას, აღნიშნავს 1924—25 წლის მიღწევებს.

თუ გასაბჭოების პირველ წლებში—ამბობს მომხსენებელი—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბიუჯეტი რამოდენიმე ათას მანეთს არ აღემატებოდა, მიმდინარე სამეურნეო წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრის 20 მილიონ მანეთს, ხოლო საგასავლო 19 მილიონ მანეთს.

ბიუჯეტის გადიდება არის შედეგი ჩვენი ნაწარმოებების ნაყოფიერების ზრდისა, რომელიც [illegible] ომის წინანდელი დონის 100 პროც. აღწევს.

მომავალი წლის ამოცანაა მიყვანილ იქნეს ყველა წარმოებებში ნაყოფიერება 100 პროცენტამდე. შემდეგ მომხსენებელი გადადის ცალკე წარმოებათა განხილვაზე.

თამბაქოს მრეწველობამ კრიზისს თავი დააღწია. გასულ წელს დამზადებულ იქნა 500 მილიონი ცალი საწევი ერთეული, მიმდინარე წელს კი მზადდება 900 მილიონი. ნედლ მასალით თამბაქოს წარმოება უზრუნველყოფილია ორი წლით მაინც. იმ მიზნით, რომ მომავალ წლიდან გავადიდოთ ნედლეულის ადგილობრივი დამუშავება, ს. მ. უ. საბჭო რემონტს უკეთებს და აშენებს ახალ ფაბრიკა-ქარხნებს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება გრეხილ ავეჯეულობის ქარხანას, რომლის აგება მისი გადმოცემით მოკლე ხანში დამთავრდება სოფელ მარელისში. გარდა მარელისის ქარხნისა ბორჯომში ეწყობა კიდევ კასრების ქარხანა, რომლისთვისაც ს. მ. უ. ს. იძენს ახალ მანქანებს.

საფეიქრო მრეწველობის განსავითარებლად განზრახულია თბილისში ძაფის ქარხნის აგება და აბრეშუმის სართავი და საქსოვი ფაბრიკების მოწყობა.

ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება შრომის ხელფასი, რომელმაც გასულ წელთან შედარებით 20-25 პროცენტით მოიმატა.

კრემატორიუმის (გვამების საწვ სადგური) მოწყობა თბილისშ

საბჭოთა კავშირის ქალაქებს შორის მხოლოდ მარტო ლენინგრადში არსებობს გვამების საწვავი დაწესებულება, რომელიც მოწყობილი იქნა 1920 წელს. კრემაციის (გვამების დაწვის) შემოღება თბილისში დროულია, რადგან სასაფლაოზე უკვე ადგილების სივიწროვეა, ხოლო ქალაქის ახლო მიდამოებში არ მოიპოვება სათანადო ადგილი ახალი სასაფლაოს მოსაწყობად. მეორე მხრივ კრემაციის შემოღება საჭიროა სანიტარულ ჰიგიენურ მოსაზრებებით, რადგან ხშირად მიცვალებულების ღრმად დამარხვა არ გამოდგება იმის გარანტიათ, რომ გადამდები ავადმყოფობით გარდაცვლილი ადამიანის გვამის საშუალებით არ გავრცელდება სნეულება, რომლის ბაქტერიები შეიძლება მიწის სიღრმიდან გამოტანილ იქნეს წყაროს წყლის მიერ.

ევროპაში, ამჟამად შემოღებულია კრემატორიუმი (საწვავი მანქანის) ორი ტიპი, რომელთა საშუალებით 1000—1200-გრადუსამდე გავარვარებულ ატმოსფერაში სწარმოებს გვამების დაწვა. ერთი მათგანი მუდმივ მოქმედი მოითხოვს ნაკლებ ხარჯს. ამიტომ იყო უფრო მეტად გავრცელებული; კრემატორიუმი საჭიროებს ყოველი გვამის დასაწვავად 5 ფუთს კოქსან 2 ფუთს ნავთს.

თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება მეუდგა გვამის
საწვავი მანქანის მოწყობას.
ხის გამოკვლევა მინდობილი
ინჟ. ქურდიანს, რომელიც ა
გაგზავნილი იყო გერმანიაში
დასხვა საქმეების გამო.
ინჟ. ქურდიანის მოხსენებ
ნახმად აღმასკომი გერმანი
ვეთს კრემატორიუმის მოწ
ბას.
პროექტით კრემატორიუმ
უნდა იქნეს: დღე-ღამე
და დასწვას 20 გვამი.
ჩაშვება და შეწვევა ლუმე
ნიკურად უნდა სწარმოებდ
ყობილი. ყოველ გვამზე უნ
ჯებოდეს არა უმეტეს 1—2
სათბობი მასალისა. გვამის
უნდა ხდებოდეს სავსებით
ლეებიდან გასული გაზები ა
შეიცავდენ ჰაერტლს, რომ
არ გავრცელდეს სიმყრალის
კრემატორიუმთან მოწყობ
ნება სამლოცველო ყველა
ნოების მოქალაქეებისათვის
ბული შენობა გვამების,
მასალის, დამწვარი გვამის ნ
შესანახად. კრემატორიუმის
მო გაშენებული იქნება ბ
დესეტინის სივრცეზე:
კომუნალური განყოფილებ
ზემოხსენებული სისტემის კ
რიუმისა, უკვეთს სიმენსის
კრემატორიუმს, ელექტრონ
ბილობით.

14 ივლისს დილის 10 საათზე სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნება

საქართ. ცაკის მეორე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ.
2. სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესახებ.
3. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ.
4. სასამართლოს წყობილების დებულების შესახებ.

მომხ. ამხ. ვარძიელი.

5. მიწის საკითხები-მომხ. ამხ. ვარძიელი, ვაშაძე.
6. თემ-საბჭოს, თემ-ალმასკომის და მოქალაქეთა საზოგადო კრების დებულების შესახებ.
7. სოფლის საბჭოს დებულების შესახებ.
8. სამაზრო ქალაქის საბჭოს დებულების შესახებ.
9. კავშირის და ურთიერთობის შესახებ მაღალ-დაბალ საბჭოთა ორგანოებ შორის.

მომხ. ამხ. შ. მათიკაშვილი.

10. რევოლიუციონურ კანონების შესახებ მომხ. მ. ოკუჯავა.
11. სსსრ 1925 | 26 წლის ბიუჯეტის შესახებ.
12. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

მომხ. თ. ლოლონტი

13. მიმდინარე საკითხი.

ცაკის მდივანი ს. თოდრია.

ქალ. თფილისის ალმასკომი იუწყება, რომ ტრაგიკულად დაღუპულ რევოლიუციის ვეტერანის

ამხ. კამოს

(სიმონ პეტროსოვის)

ძეგლის გახსნა

მისი სიკვდილის სამი წლის თავზე, მოხდება ა | წ. 15 ივლისს, დღის 5 საათზე პუშკინის ბაღში (სკვერში).

ძეგლის გახსნაზე ალმასკომი იწვევს: პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სამხედრო ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენლებს. აგრეთვე თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს და ალმასკომის ყველა წევრებს. ორგანიზაციების წარმომადგენელნი და ყველა ის პირნი, რომელნიც ისურვებენ სიტყვის წარმოთქმას ძეგლის გახსნის დღეს, წინასწარ იწერებიან ალმასკომში აღნიშნულ დღის 4 საათზე.

2—1 ნ. 4617

ორშაბათს, 13-ივლისს, დილის 12-საათზე, ქ. თბილისის ალმასკომის დარბაზში დანიშნულია

თბილისის ალმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) თბილისის საბჭოთა ყრილობის და მის ორგანოთა დებულების პროექტის განხილვა.
2) სამგორის არხის მოწყობის შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე

1470—2—2 პრეზიდიუმი.

ორშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში დანიშნულია თბილისის საბჭოს

სხდომა

დღის წესრიგი

1. კოჯორის რკინის გზის გაყვანის შესახებ.
2. სამგორის არხის მოწყობის შესახებ.
3. საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა აღნიშნულ დროზე სავალდებულოა.

ნ. № 1469—2—2 პრეზიდიუმი

პარტიული ცხოვრება

ჩვენი პარტკორები

ჩვენში პარტიული ცხოვრების გაშუქების საქმე პრესაში საგრძნობლად მოისუსტებს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პარტმუშაობა მოდუნებულია და წერის მასალაც არ მოიპოვებოდეს. რასაკვირველია, ეს ძირშივე ყალბი შეხედულებაა. ნამდვილად კი მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვყავს ისეთი პარტკორები, რომლებიც უნდა იდგნენ თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე.

უმთავრესად რის შესახებ სწერს დღეს ჩვენი პარტკორი?

მხოლოდ იმის შესახებ, რომ ამა და ამ ორგანიზაციაში შესდგა უჯრედის სხდომა, ეს და ეს ამხანაგი თავმჯდომარედ იქნა არჩეული, კამათში მონაწილეობა მიიღეს ამა და ამ პირებმა და სხვა უმნიშვნელო დეტალებზე. ეჭვს გარეშეა, რომ ეს არანორმალური მოვლენაა. არა შემთხვევაში არ შეიძლება ითქვა იმისი, რომ პარტიული ცხოვრება და მუშაობა ამით ამოიწურებოდეს. მართალია, პარტკორების ასეთი ხასიათის ცნობების ერთ-ერთი მხარე, ელემენტია პარტიული ცხოვრებიდან, მაგრამ არამც და არამც ერთად-ერთი. რაც მთავარია პარტიული ცხოვრებიდან, ის პარტკორების მიერ თითქმის სრულიად უყურადღებოდ რჩება. არაფერი იწერება იმ მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლების სასურველად გადაჭრისაკენ მიმართულია პარტიის მთელი ძალ-ღონე.

მაგრამ, კონკრეტიულად როგორი უნდა იყვეს პარტკორის როლი და რის შესახებ უნდა სწერდეს საერთოდ ის?

პარტკორი თვალყურს უნდა ადევნებდეს ჩვენი კომუჯრედების მუშაობას. პარტკორი იმდენად ნიჭიერი უნდა იყვეს, რომ მან თავისი კალამი აამოძრაოს პარტმუშაობის სადღეისო საკითხების გასაშუქებლად. პარტკორი, როგორც გამჭრიახი თვალი და მოვლენათა სწრაფი ამთვისებელი, პრესაში უნდა სწერდეს პარტმუშაობის როგორც ნაკლულოვანებებზე, ისე მის მიღწევებზე. პარტკორი უნდა ცდილობდეს, რომ მის კორესპონდენციაში ადგილი არ ჰქონდეს „კაზიონშჩინას".

მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი: როგორც ვიცით, დღეს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადმოსროლილია ლოზუნგი „პირით სოფლისაკენ", დაკვრით ამოცანადაა გამოცხადებული შრომის ნაყოფიერების გადიდების და წარმოების გაუმჯობესების საკითხი. აი ამას პარტკორმა უნდა მიაპყროს მეტად სერიოზული ყურადღება. პარტკორი უნდა მეთვალყურეობდეს ჩვენი უჯრედების სხდომებზე იმას, რომ ისმება თუ არა ეს საკითხები, როგორი ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით, როგორ შედეგებთან გვაქვს საქმე ამ მხრივ და სხვ.

პარტკორი უნდა სწერდეს აგრეთვე პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობის შესახებ. მას უნდა მოჰყავდეს ფაქტები, მასალები სად, რომელ ორგანიზაციაში და როგორ მუშაობას აწარმოებენ ისინი, პარტიაში ახლად მიღებულები იჩენენ თუ არა აქტივობას, მათი პარტიაში მიღების შემდეგ როგორ ცვლილებებს აქვს ადგილი და სხვა.

დღეს პარტკორი ძალიან ცოტას სწერს პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებაც.

უჯრედებთან არსებობენ მრავალი წრეები: კულტურული, პოლიტიკური ეკონომიური, ამასთანავე ერთად შექმნილი და ჩამოყალიბებული არის სხვადასხვა კომისიები—და აი მათ მუშაობის შესახებაც პრესაში თითქმის არაფერი იწერება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი პარტკორები კოველივე ზემოთქმულს გაუწევენ სათანადო ანგარიშს და პრესაში სისტემატიური თანამშრომლობით, თავიანთი მოვალეობების შეგნებით სავსებით გაამართლებენ თავიანთ არსებობას.

ანი.

პარტუჯრედების სხდომები და მომხსენებლები

საჭიროა თვალი გადავავლოთ ზოგიერთ ჩვენი უჯრედების სხდომების მიმდინარეობას და დავრწმუნდეთ იმაში, რომ ხანდახან ჩვენს პარტუჯრედების სხდომებს ეკარგებათ ერთგვარი ინტერესი, სიცხოველე და არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ტყვილა-უბრალოთ, სრულიად უსარგებლოდ გიხდება ასეთ სხდომებზე ყოფნა.

რით შეგვიძლია ავხსნათ ეს გარემოება?

ხშირად უჯრედების სხდომები მეტად ჭიანურდება, გრძელდება. უჯრედების სხდომების დღის წესრიგში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გამონაკლისებს, თითქმის ყოველთვის დასმულია ორი, სამი, ოთხი მოხსენებაც კი. ამას თუ დაუმატებთ მიმდინარე საკითხსაც, რომელიც ჩვეულებრივად არა ნაკლებ ერთი საათისა და ზოგჯერ კი მეტს დროსაც მოითხოვს, ადვილი გასაგებია, თუ სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი.

რასაკვირველია, მოხსენებები, რომლებიც კეთდება უჯრედების სხდომებზე, თუ დამუშავებული იქნენ ისე, როგორადაც ეს საჭიროა და მომხსენებლებმაც თავიანთი მხრივ შესძლეს უჯრედისათვის აღლოს აღება ის რიგად, რომ უჯრედის წევრთა და უპარტიო ამხანაგებს შორის გამოიწვიოს სათანადო ინტერესი, რომ ისინი ფიზიკურად და გონებრივად არ მოიქანცონ და ყოველივე საქმელიც მათ მეხსიერებაში აღიბეჭდოს—მაშინ მოხსენებათა რაოდენობას არ მივაქცევდით ყურადღებას და ის არც უარყოფით როლსაც ითამაშებდა. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ სინამდვილე სრულიად სხვას ლაპარაკობს.

ზოგი ჩვენი მომხსენებლები ვერ სდგანან დანიშნულების სიმაღლეზე.

როდესაც მომხსენებელი იწყებს თავის მოხსენებას, ის პირველად თავისი მოვალეობად სთვლის „შესავალის" სახით, წინასწარ გააფრთხილოს დამსწრე ამხანაგები, რომ ის მოხსენებისათვის სათანადოთ ვერ მოემზადა, რომ მან მხოლოდ წინა დღით გაიგო, რომ მოხსენება უნდა გაეკეთებია და დასასრულ ბოლოში ითხოვს, რომ შეიძლება მის მოხსენებაში რაიმე გამორჩეს, ან ვერ განმარტოს ისე, როგორც ეს საჭიროა და სხვა. შემდეგ იწყება მოხსენება, რომელიც დიდხანს გრძელდება, მაგრამ თვით მოხსენება იმდენად დაუმუშავებელი არის, რომ ის ვერ აკმაყოფილებს უჯრედის წევრთა მოთხოვნილებას. შემდეგ პირველ მოხსენებას მისდევს მეორე, მეორეს მესამე, შეიძლება მეოთხეც და სხვ.

ამნაირად უჯრედების სხდომები საგრძნობლად ჭიანურდება, ამხანაგები სასტიკად იქანცებიან, მათ ეკარგებათ ხალისი და ყოველივე ეს კი იწვევს ერთგვარ პასივობას. რომც ძალიან დიდი სურვილი ჰქონდეს მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობის მიღებისა, ასეთ პირობებში იძულებული ხდება თავი შეიკავოს, რომ სხდომა კიდევ უფრო მეტად არ გაჭიანურდეს.

საჭიროა ამ გარემოებას ეხლავე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ეს მით უმეტეს, რომ სხდომებს ესწრებიან უპარტიო ამხანაგებიც, რომლებიც ჩაბმული უნდა იქნენ უჯრედის საერთო მუშაობაში. კარგად უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ პარტუჯრედები მუშების და გლეხების აღმზრდელი ორგანოებია.

მაგრამ რა არის საჭირო იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ არანორმალურ მოვლენას?

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია, რომ ჩვენს უჯრედების სხდომებზე ისმებოდეს მხოლოდ ერთი და, გამონაკლისს შემთხვევაში მხოლოდ, ორი მოხსენება. მოხსენებები უნდა იქნენ ყოველმხრივ დამუშავებული და არ გრძელდებოდეს დიდხანს. ამ შემთხვევაში კი საჭიროა, რომ თვით უჯრედების ბიუროებმა იკისრონ ინიციატივა ამ საქმის მოსაგვარებლად. ბიუროებმა თავის დროზე უნდა შეატყობინონ მომხსენებლებს, რომ ისინი მომზადებული წარსდგენ უჯრედის წინაშე.

ასეთი ღონისძიებების გატარებით ჩვენ უეჭველად გამოვაცხოველებთ უჯრედების პარტმუშაობას, ავაომრავებთ უჯრედების ყველა წევრებს და საგრძნობ შედეგებსაც მივაღწევთ.

ცოცხალი.

რამდენი ადგილი დაეთმო საქ. კომკავშირს საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში

(1925—26 სასწავლო წლისათვის)

მოსკოვი—უმაღლეს სამხატვრო ინსტიტუტში—1 ადგილი; მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტში, პედაგოგიურ ფაკულტეტზე—2 ადგილი; ქ. ლიბკნეხტის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მეორე მოსამზადებელი—1 ადგილი; პლეხანოვის სახელობის მუშფაკში—1 ადგილი; კალინინის სახელობის მუშფაკზე—1 ადგილი.

ლენინგრადი—კალინინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში—1 ადგილი; სამთო ინსტიტუტში—1 ადგილი; ეთნოლოგიურ ფაკულტეტზე 1 ადგილი, პოლიტიკურ მუშფაკზე—1 ადგილი.

როსტოვი—დონის სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო ინსტიტუტი, ტროხომული ფაკულტეტი—1 ადგილი და სასოფლო-სამეურნეო ტომზე და სამელიორაციო ფაკულტეტზე—1 ადგილი; დონის საექიმო ფაკულტეტზე—2 ადგილი.

კრასნოდარი—ყუბანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი—1 ადგილი; პედაგოგიური ინსტიტუტი—2; ყუბანის საექიმო ფაკულტეტზე—1 ადგილი.

კავკავი—ქალაქის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი—1 ადგილი.

ამხანაგებმა, რომელთაც სურთ შესვლა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ან მუშფაკში, აღნიშნულ განაწილების მიხედვით, უნდა შეიტანონ სათანადო განცხადება საქ. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას სააგიტაციო განყოფილებაში ამხ. ონანოვთან ამა წლის 1 აგვისტომდე.

საქართველოს ცაკის მეორე სესიის გარშემო

14 ივლისს მუშაობას დაიწყებს საქართველოს ცაკის მორიგი სესია.—საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები სესიაზე.—სათემო ბიუჯეტი და სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.—საკანონმდებლო საკითხები.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა მნიშვნელობა ექნება საქართველოს ცაკის მეორე სესიას, შემდეგნაირათ უპასუხებს შინაგან საქმეთა სახ. კომისარი,

ამხ. მათიკაშვილი

საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების დასამუშავებლათ არსებულ თათბირის პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები, რომლებიც დასმულია საქართველოს ცაკის მეორე სესიის დღის წესრიგში, წინასწარ განხილული და დამუშავებული უნდა ყოფილიყო თათბირის პლენუმზე.

ცაკის სესიის 14 ივლისისათვის დანიშვნის შემდეგ გამოირკვა, რომ სესიის სხდომები შესდგება თათბირის პლენუმის დამთავრებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ.

იმის გამო, რომ თათბირის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე დროს ცაკის წევრებიცაა და ამიტომ საჭირო იქნება ადგილობრივ მუშაკების საკმაო ხანგრძლივი დროით მოწყვეტა მაზრებიდან, გადაწყვეტილი იქნა საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების განხილვა გადატანილი ყოფილიყო სესიაზე.

სესიაზე წევრების გარდა დაესწრებიან ორი სათემო ალმასკომის თავმჯდომარე თვითეული მაზრიდან.

სესიის ასეთი გაფართოვებული შემადგენლობა და სესიაზე საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების დასმა და დამუშავება კიდევ უფრო გააცხოველებს სესიის მუშაობას.

ამხ. ლოლონტი

(ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში)

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც დასმულია საქართველოს ცაკის მორიგი სესიის წინაშე, არის საკითხი ადგილობრივ, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, სათემო ბიუჯეტის შესახებ.

სათემო ბიუჯეტი საქართველოს სინამდვილეში ისტორიული აქტია, რომელსაც უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლისათვის.

სესიამ უნდა მიიღოს დადგენილება სათემო ბიუჯეტის შემოღების წესისა და საფუძვლების შესახებ, და აგრეთვე უნდა შეიმუშავოს იმ თემების სია, რომლებშიაც გატარებული უნდა იქნეს ეს ბიუჯეტი.

ამას გარდა სესიამ უნდა დააწესოს სავალდებულო ხარჯები სათემო ბიუჯეტის მიხედვით და შემოსავლის წყაროები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თემების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს შესამჩნევათ გაადიდებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. შეიძლება ითქვას, რომ ეს დახმარება გამოიხატება 800,000 მანეთში.

სესიაზე მოსმენილი იქნება მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. ამ მოხსენებას საინფორმაციო ხასიათი ექნება. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სესიამ უნდა მიიღოს დადგენილება სათემო საგადასახადო კომისიების შექმნის შესახებ.

ეს კომისიები, რომლებშიაც შევლენ ალმასკომის თავმჯდომარე, პრეზიდიუმის ორი წევრი, თემში შემავალი სოფლების წარმომადგენლები და [illegible] [illegible] დება იმ მიზნით, რომ გადასახადის სისტემა დაუახლოვდეს გლეხობის საჭიროებებს.

ამხ. გრძელიძე

(იუსტიციის სახალხო კომისარი)

იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს ცაკის მეორე სესიის დღის წესრიგში დასმულ საკითხებიდან უნდა აღინიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის ახალი პროექტი, რომელიც იმით განსხვავდება მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსისაგან, რომ ის დამუშავებულია საკავშირო ცაკის მიერ შემუშავებულ საერთო საფუძვლებზე. ეს კოდექსი სავსებით შეთანხმებულია მთელი კავშირისათვის დაწესებულ საერთო საფუძვლებთან. ამისდამიხედვით შეცვლილია სათანადო მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ ბოროტმოქმედების ცალკე სახეებს და სასჯელს; ამასთანავე დაცული და გაფართოვებულია ის მუხლები, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრების პირობებიდან.

შემდეგ საკითხებათ დასმულია სამოქალაქო მატერიალური და სამოქალაქო პროცესუალური კოდექსების ცვლილებათა და დამატებათა პროექტები; ეს ცვლილებები და დამატებები შემუშავებულია ჩვენი სამოსამართლო დაწესებულებების გამოცდილების და იუსტიციის მუშაკთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

სამოქალაქო უფლების დარგში მოქმედ ყველა ნორმების სისტემატიზაციის მიზნით, ამ კოდექსებში შეტანილია საქართველოს ცაკის ის დადგენილებები, რომლებიც მის მიერ მიღებული იყო სესიიდან სესიამდე გასული დროის განმავლობაში.

ამ ცვლილებებში უფრო მკაფიოთ და ნათლათ არის გამოხატული საქართველოს რესპუბლიკის სამოსამართლო დაწესებულებების სტრუქტურა და ამასთანავე სისწორით განსაზღვრულია როგორც ცალკე სამოსამართლო დაწესებულებების (სახალხო სასამართლო, საოლქო სასამართლო, უზენაესი სასამართლო) ორგანიზაცია და ფუნქციები, ისე ურთიერთობა მათ შორის.

წარდგენილი პროექტის ცალკე მუხლები ეხება გამოძიების, ნოტარიატის, სასამართლოს დადგენილებათა აღსრულებლების, დამცველთა კოლეგიის და სხვა ორგანოებს.

ამ პროექტებს გარდა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით სესიაზე წარდგენილია დასამტკიცებლათ სათანადო პროექტები იმ მუხლებისა, რომლებიც ეხება სადგილ-მამულო [illegible] ახალ ფორმებს — სადგილ-მამულო სამოსამართლო კომისიების მოწყობას ადგილებზე.

ამ კომისიებმა უნდა განიხილონ ის სადგილ-მამულო საჩივრები, რომლებსაც აქამდი არჩევდენ, ერთის მხრივ, სადგილ-მამულო განყოფილებები ადგილებზე და, მეორეს მხრივ, სახალხო მოსამართლეები.

ყველა ამ კანონპროექტებს, მათთვის კანონის სანქციის მინიჭების შემდეგ, ის მნიშვნელობა ექნებათ, რომ ისინი ჩვენს სამოსამართლო დაწესებულებებს მისცემენ სწორ და ნათელ პასუხს მატერიალური და პროცესუალური უფლების მთელ რიგ საკითხებზე.

ეკონომიური ცხოვრება

7 მილიონი მანეთის თამბაქო

სოხუმის კანტორამ „ტაბაკ-სირიე"-მ 6 თვის განმავლობაში შესყიდა აფხაზეთის სოფლებში 7 მილიონი მანეთის თამბაქო.

თუნუქის პროდუქციის გაიაფება

ნედლეულობის გაიფებისა და დანართი ხარჯების შემცირების გამო, აჭარისტანის მრეწველობის და ვაჭრობის სამმართველომ თუნუქის ქარხნის ნაწარმოები საქონელი 10 პროცენტით გააიაფა.

ჩაი

აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა „არმენტორგს" მიჰყიდა 2 ათასი გირვანქა სალიბაურის 7 მან. 60 კაპეიკად.

შემფასებელმა კომისიამ დაასრულა მუშაობა აჭარისტანის ჩაის ყველა პლანტაციების შესაფასებლად.

კომისიის დასკვნით ყველა პლანტაციების ღირებულება უდრის—3.900.000 მანეთს. ყველა ჩაის პლანტაციები გადაეცა სააქციონერო საზოგადოებას „საქართველოს ჩაი"-ს

თამბაქოს კულტურის გასაუმჯობესებლად

მუშაობა სოხუმის თამბაქოს საცდელი სადგურის აღსადგენად წარმატებით მიმდინარეობს. კანტორა „ტაბაკ-სირიე"-დან გაცემული 7.475 მ. სწარმოებს დიდი სახმობი ფარდულის გადაკეთება და ყველა შენობათა შეკეთება. საცდელ სადგურზე კეთდება ცდები: საცდელად სხვადასხვა ჯიშის თამბაქოს თესლია და მეზდე სწარმოებს მათი რაციონალური მოვლა. საცდელ სადგურში სწავლობენ მეთამბაქოე - გლეხები რომელნიც ემზადებიან საინსტრუქტორო მუშაობისათვის

ნასაკირალი

(1905 წლის ეპოპეიდან)

იყო მაისი.
ბულას ძე, გელა,
„მტერი თავისი
და სხვების შველა",
როგორც ეძახდენ
იმას სოფელში,
ვიდოდა, ახლდენ.
თოფებით ხელში,
თანამოაზრე
ამხანაგები,
და სოფლად ასრე
ბრძოლის ჰანგები,
იდეა, ნორჩი,
აზრი, ახალი,
ახალ დრო-ბორჯის
ნაკარნახალი,
ქალაქებიდან
შემონაქროლი,
ვით ბარს მთებიდან
უხვად რწყავს ბროლი,
ცეცხს იკიდებდა,
იჭედებოდა,
ძალებს იკრებდა
და მტკიცდებოდა...
ეს იყო ბრძოლა
შრომის სახსნელად,
მკერდით მიწოლა
უკანასკნელად,
თავისუფლების
დასამყარებლად
და მებრძოლთ ძვლების
დასაყვავებლად,
ვინც შეეწირა
ამ გზას, ამ მიზანს,
და ბედის წკირა
უმარჯვა მიწას!..
მიწა!.. ეს ტანჯვის
და ჩაგვრის ბუდე,
ეს ძალთა ხარჯვის
არხი და ზღუდე,
იყო ქცეული
დღეს საგნათ ზრუნვის,
ფრთებ-აწეული
ის ჩარხის ბრუნვის
შეტრიალებას
წამში ლამობდა!..
მზე გრძნობდა შვებას!
ცა კამკამობდა!..

* * *

და იდგა სოფლად
შრომის დღეობა:
იღვროდა ოფლად
ველი, ხობა,
სადაც ყოველი
საქმობდა ხელი:
მუშა ცხოველი,
თუ მხვნელ-მთესველი
იყო მინდვრებში
გამოფენილი,
მკერდი სჩნდა ჩვრებში!
ოფლ-დადენილი,
და ელეოდენ
ყველანი მიწას,
სხვას არა სცნობდენ
აქ აზრს და მიზანს...
იყო დრო თესვის,
დრო ძალთა ხარჯვის,
ვისაც ეს ესმის,
ადვილათ განსჯის
ის, გლეხთა ყოფა
თუ რა ძნელია,
როცა საყოფათ
სანატრელია
მიწაც, სახნავი
და მოსათესი!..
გულის მქენჯნავი
ასეთი წესი
იყო იმ დროში,
როდესაც გელა
იმ ველ მინდორში,
არ მხვნელ-მთესველად,
არამედ, ვით ძმა,
ვით ამხანაგი,
ვიდოდა და ხმა,
სიტყვით ნაქარგი,
მისი უხსნიდა
გლეხებს ჩაგრულებს
თუ როგორ ხდიდა
კიდევ წარგულებს
მძიმე შრომაში
დრო მათ მონებათ!..
ამ შეცდომაში
მწარ მოგონებათ
მთელი წარსული
წინ ედგა ძონებს,
როდესაც სრული
ჰქონდა ბატონებს
ხალხზე მეფობა
და განმგებლობა:
თავად—გარჯობა
და სხვათ[illegible] შრომობა!..
მასავით კაცზე,
და ძველ ხალხზედაც
უძველეს ხანაზე
ანაგებს ჰყავდა
ცხოვრება, ძველი,
სანამ აღგავდა
მას მტკიცე ხელი,
ცხოვრების წინსვლის,
განვითარების,
იგივ გზა სისხლის
ნიაღვრების!..
დღეს სისხლის ფერი
დროშა დაჰყურებს
ამ გზას, სად მტერი
სისხლში აცურებს
გაახლოებისკენ
მიმავალს რიგებს,
გზას ხშავს რა მზაკვრ
მკაცრ თადარიგებს
ამ თავიდანვე
ეწვა მტერი,
მავნეზე მავნე
ეს სისხლის მსმელი!..

* * *

პირველ რიგში სდგას
აქ თვით მთავრობა,
ეყრდნობა ის ჯარს,
მასვე „ჰხრობა
ჩინოვნიკობის
ხროვა, უძღები,
წრე „შავი ძმობის",
ბერები, მღვდლები,
აზნაურები
და თავადები,
ქვეყნის „ზუბრები",
ვისიც მიწები
გადაჭიმულა
ველად-სახნავად
შრომის სტიმულად.
თუმც ის სახრავად
მემამულეთა
ხროვას უნდება,
უპყრიათ ხელთა,
ვით საკუთრება,
და გლეხებს დიდწილს
ართმევენ ძალას;
შიგ სთესვენ სიმშილს
იმკიან ძალას,
მშიერ გლეხების
ძარღვების სახით,
მათ ხელფეხების
გამსხლეტნი მახით
სჩაგვრენ, აღარ აქვთ
სხვა გასაქანი,
და ბატონთაც ჰყავთ
ყულფის საგანი:
საკრეჭად-ფარა,
საწველად ფური,
და თავსაყარად
ყოფნა მეფური!..

* * *

და ჰა, მოილტვის
ახალი ძალა:
„პატრონებს მიწის
არ მისცეთ ღალა!
მიწა-მის მუშებს
და არა „მძორებს",
უმაღლარ „ფუშებს"
და მუქთა ხორებს,
მებატონეთა
ერთ მუქა ხროვას,
თქვენს დამმონეთა,
ვინც სისხლის წოვას
ისე ეწევა
თქვენს ხარჯზე, რომა
ოფლად ენთხევა
უსაზღვრო შრომა,
და აღარ გრჩებათ
სხვა სასყიდელი:
ზევით—ცა მცნებათ
და ქვეშ—უღელი,
დედამიწაზედ
სატრევად მარად!..
მერე და რაზედ
პირუტყვად, ხარად
თქვენ ქვეშ უდგებით
ამ მუქთახორებს?!.
ვერ აუტყდებით?"
ვერ მოიშორებთ?!.
ასეთი კითხვით
მიმართავს გელა
და სიტყვა-სიტყვით
მას უსმენს ყველა!
მის მხარეზე სდგას
გლეხთა ერთობა
და გელას ეს-ღა
დარჩა გართობა,
რომ ინადიროს
ურჩ თავადებზე,
აცრემლ-ატიროს,
ვინც მის სიტყვებზე
სწევს უთანხმობას,
ადგია ძალას,
ართმევს გლეხობას
უდიერ ღალას!..
მას საღსარს აწვდის
მთავრობის ხელი
და ისიც დაძრწის,
ვითარცა გველი:
მიაქვს ამბავი
სოფლიდან—ცენტრში,
ამის ამთავი
ლონე და სენთი
თუ მიატანა
საქმეს ჯაშუშის:
გალესა დანა,
საძგერათ მუშის,
და სისხლის სმაში
გამობრძმედილმა
თუ ითამაშა,
ამ „სოფლის ბღილმა",
ორპირი როლი
სოფლელთა თვალში:
აქეთ, ვით ტოლი
სდგას თემში, ხალხში,
უწონებს ახალს
მის აზრს და საქმეს:
ერთობას ფარხმალს
ასხამს და აქებს;
იქით კი, ღამით
მიძვრება ხოხვით,
შავ მოსასხამით:
ნაბადით, ჩოხით,
ფეხდაუქედი
ჯორით, თუ ცხენით,
სიფრთხილე მეტი
მას ჰმართებს ენით,
რომ საიდუმლოთ
დარჩეს ყოველი,
რასაც ხალხს მუხთლობს
ესე ცხოველი!..
მაგრამ გუშაგათ
სდგას გზებში გელა
და რის მუშაკათ
ვინც რაა, ყველა
მან ისე იცის,
ვით ხელის გული!
არ რაა მისთვის
აქ დამალული!
სოფლის შარებსა
ის ყველგან უხის,
არ ეპარება
გაფრენაც ბუზის!
და როგორც მამლებს
შემოდგომაზე.
უსაქმო მჭამლებს
და სხვის შრომაზე
ხელგაშლილ ბუზებს
ფუტკარი ხოცავს,
ეს მოვლენაც გზებს
გელას ულოცავს,
როცა ის ღამით
აქეთ, ხან იქით,
ჯერ ტკბილ სიამით,
კვლავ მკაცრი სიტყვით,
„ენებს რომ ხარჯვენ",
მათ ჯერ „ასწორებს",
და თუ არ გატყდენ,
კვლავ სულ აშორებს
უმადურს შრომას
ამ „ღამის გმირებს"!..
ეს ღამით ძმობას
სოფლად ამცირებს...
თუმც მაინც თითო
ოროოლა ვირი,
სამაგალითო
კვლავ რჩება „გმირი"!
მაგრამ გელა და
მისი ჰამქარი
მათგანც იხსნელადა
მუდამ მზათ არი!..

* * *

—„ბატონო როსტომ,
თქვენც იცით იგი,
თუ არის რატომ
წესი და რიგი
ეკლის ადგილზე
ამოსვლა ეკლის",
რაც ბულას შვილზე
უცვლელად გვეთქმის?!
დიდ [illegible] პირთ
სოფლად ეს ქლეტა
იცის ვისგან გვჭირთ
მთავრობამ, ნეტა?!
ეს იმ ყაძახის
ბრალია ყველა!
თქვენ არ გენახვის,
ბატონო, გელა?
პირ წავარდნილი
მამაა თვისი:
ზე აგრაგნილი,
უშნო და მქისი,
სწრაფი, ჩახმახი,
როგორც რომ ბუღა,
მხოლოდ ახმახი
უფრო და ჯმუხა,
შავი, ჩოფური,
მკლავ-მაგრიანი,
ბიჭი სოფლური,
მაგრამ ფხიანი,
მუშა ბათომის
ნავთის ქარხანის,
ქალაქურ შრომის
ოფლით ნაბანი,
თან გახედნული,
კარგ ყოფის მდოში
და გაბედული,
როგორც რომ ლომი!
დღეს არც ჰყავს ტოლი
მას გურიაში,
გადამხდელს ბრძოლის
მანჯურიაში!
მოვლო ციმბირი,
იაპონია,
მისებრი გმირი
სხვა ნუ გგონია.
თან მიჰყვებიან
მას სხვები ყველა
და მას შვრებიან,
რომ იტყვის გელა!
მამის კვალს გაჰყვა
ამ რიგათ ვაჟი...
არა, ღირს ნახვა:
კაცია, კაცი!
და ისმენს როსტომ
მაზრის უფროსი.
რაც ამ „ჩლოპორტომ",
ამ „რისხვამ დროთა",
სოფლის მშიერმა
და უზნაურმა
მოუყვა ერთმა
მას აზნაურმა...
უფროსმა ჯერე
შეიკრა კრიჭა
და უთხრა მერე;
„არა ბიჭმა,
როგორ იქნა, რომ
ასე მოგლუნა?
ეჰ, ცხედავ რომ დრომ
დაგაძაბუნა
და უიმედოთ
წელში მოგხარა.
ბედს რომ მივენდოთ,
მისი მასხარა
და მაჩანჩალა
გავხდებით ყველა
ჰა, ჩემი ძალა
და შენი გული!
ვნახოთ, ვინ უფრო
დარჩეს მაგარი!..
ჯერ ჩავუსაფრო
მას სადმე ჯარი
და მაგრად ხელში
გამოვიმწყვდიო,
ამოხდეს ყელში,
თუ „რად გაიჩნდიო"!..
სთქვა უფროსმა და
ზურგი უჩვენა
წაუხდა მადა,
დაება ენა
მაჩანჩალაძეს,
მისულს სხვა აზრით,
წუთს განიცდის ძნელს,
იბრძვება ბრაზით,
დადგა ჯავრზედა
მაგრამ რას იქმს?
შეჯდა ჯორზედ და
წამოჩინდრიკდა
უკან, სახლისკენ,
ელდა ნაკრავი,
და თვის სოფლისკენ
მოდის, ვით კრავი,
ალალი მტრედი,
უშნო ბატკანი,
ნამდვილათ ყბედი,
ზიზღის საგანი!
და სოფლის თავში,
სადაც სდგას ჭალა,
სწვდა ხელით მკლავში,
ალარ აცალა
ხმა ამოეღო
მას გელამ ახლა,
და გადმოიღო
ჯორიდგან დაბლა.
აქ სხვებიც ხელში
იარაღებით
გაეწორდენ წელში
და, ნიშნის გებით,
შემოერტყენ გარს
ამ ფლიდს, საძაგელს,
რომ ჰგავს ცოცხალ მკვდარს
და ვერ ანძრევს ხელს,
უთხრეს: „გასწორდი,
მაჩანჩალაძევ!
დღეს რომ გარბოდი,
რა იმედს გვაძლევ,
რომ იქ საჩვენოთ
შენ არ იყბედე?
აწ მოვისვენოთ!
თუ კვლავ გაჰბედე
მაზრის უფროსთან
წასვლა ამბავით,
შენი დღეც მორჩა:
წაგძვრება თავი!"..
ეს გაფრთხილება,
უკანასკნელი,
მისცეს გმირებმა
და უშვეს ხელი...
ან კი ვინ იყო,
ჩანჩალაძეში
რომ გასვრილიყო?!.
იმისი ლეში,
ალბათ, მყრალია
მის სულზეც უფრო
და ვის სცალია,
მას დღე გაუქროს?!.

(შემდეგი იქნება)

ნ. ზომლეთელი.

ამიერ-კავკასიის მომარაგება პურით

(საუბარი „ხლებოპროდუქტ“-ის რწმუნებულთან ამიერ-კავკასიაში ამხ. მზიშევთან).

1925|26 წელში პურის შემოტანის გეგმა.—მომარაგებაში სახელმწიფო და კერძო ვაჭრობის მონაწილეობა.—მოსავალს კარგი პირი უჩანს.—ფასები პურზე დაიკლებს.—ადგილობრივი დამზადება.—პურის ოპერაციებისათვის ფულის მიცემა განუწყვეტლივ იწარმოებს.

სათანადო გამოანგარიშებით—განაცხადა ამხ. მალიშევმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს—პურის დანაკლისი ა.-კავკასიაში 1925|26 წელში უდრის 13.600.000 ფუთს; აქედან—საქართველოს დააკლდება 4.100.000 ფუთი, სომხეთს—2.300.000 ფუთი და აზერბეიჯანს—7.200.000 ფუთი.

აღნიშნული დანაკლისი დაფარული უნდა იქნეს პურის შემოტანით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, რისთვისაც შემოტანის საქმეში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები, ისე კერძო პირები. სახელმწიფო ორგანიზაციების საშუალებით შემოტანილი იქნება ა.-კავკასიაში 11.000.000 ფუთი პური, ხოლო დანარჩენ ნაწილს დაფარავს კერძო ინიციატივა. შემოსატანად განზრახულ 11.000.000 ფუთი პურიდან, 7.700.000 ფუთს—შემოიტანს „ხლებოპროდუქტ“-ი, ხოლო დანარჩენ 3.300.000 ფუთს—საბჭ. კავშირის სახელმწიფო ბანკი.

მთლიანი გეგმა განზრახული პურის შემოტანისა ა.-კავკასიის ფედერაციაში შესრულებული უნდა იქნეს ა|წ. ენკენისთვიდან—მ|წ. აპრილამდე. პური შემოიტანება უმთავრესად ჩრდილო-კავკასიიდან. შემოსატან გეგმის შესრულება უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს, რადგან წელს პურის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ა|კავკასიის პურით მომარაგების გეგმაში შედის აგრეთვე პურის გაცემა ა.-კავკ. მებამბეობის რაიონებზე: საქართველოს მებამბეები მიიღებენ 150.000 ფუთს, აზერბეიჯანი 1.700.000 ფუთს და სომხეთი 480.000 ფუთ პურს. სულ განზრახულია 1.800.000 ფუთი პურის დარიგება ამ მიზნით.

მოსავლის კარგი პირი და აგრეთვე არსებული და მომავალი ბაზრის მდგომარეობა ნებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ პურის ფასი გაჩერებული იქნება ერთ დონეზე, სახელდობრ გირვანქა გამომცხვარი, წმინდა ხორბლის პური ეღირება 6—7 ნახევარი კაპეიკი.

პურის შემოტანის გეგმის განხორციელებასთან ერთად „ხლებოპროდუქტი“ აწარმოებს პურის დამზადებას ადგილობრივ, ა.-კავკასიაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ გლეხობას ხორბალი ძალზე განსაზღვრული რაოდენობით მოეპოება, რაც არ იძლევა საშუალებას ა.-კავკასიაში ფართო დამამზადებელ ოპერაციების წარმოებისას, „ხლებოპროდუქტს“ განზრახული აქვს მაინც დაამზადოს ა.-კავკასიის უფრო მოსავლიან რაიონებში 2.000.000 ფუთამდე ხორბლეული, საიდანაც ნახევარზე მეტი დამზადდება საქართველოში.

დასამზადებელი ოპერაციები იწარმოებენ უმთავრესად კოოპერაციის საშუალებით. ამის შესახებ ცეკავშირთან უკვე დადებულია ხელშეკრულება და უეჭველად მოხდება შეთანხმება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთანაც.

ამჟამად „ხლებოპროდუქტი“ კოოპერაციის საშუალებით ამზადებს ქერს.

აღნიშნული ოპერაციების საწარმოებლად „ხლებოპროდუქტ“-ს მოეპოება საკმაო რაოდენობა საკუთარი თანხებისა და თუ კოოპერაცია შესძლებს დაკისრებულ მოვალეობის სისწორით ასრულებას—გლეხობა გამოგლეჯილი იქნება კულაკ-შემყიდველების ხელიდან.

— ხორბლის დამზადების საკითხის მოგვარებას—ამბობს ამხ. მალიშევი—ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, რადგან იგი გავლენას მოახდენს სასოფ.-სამეურნეო გადასახადის აკრეფის კამპანიის ჩატარებაზე.

პურის ახალი კამპანიის ჩატარებისათვის უკეთ მოსამზადებლად და ფართო ბაზრის მოპოების მიზნით „ხლებოპროდუქტი“-ს მიერ უკვე გახსნილია საკუთარი სააგენტოები ბათუმში. ამ მოკლე დროში ასეთივე სააგენტოები გაიხსნება ერევანში და განჯაში; ამასთანავე გამოკვლევის პროცესშია საკითხი ხორბლეულობის შესასყიდი პუნქტების გახსნისა: ქუთაისში, სამტრედიაში და ლენინაკანში.

მერძევეთა კოოპერატიული შეკავშირება

მხოლოდ ერთი წელიწადია, რაც წარმოკავშირი შეუდგა მერძევეთა კოოპერატიულათ შეკავშირებას.

ამ ჟამად არსებობს 42 ამხანაგობა და არტელი, რომლებიც მუშაობენ მეურნეობის ამ დარგში. ამ ამხანაგობებში გაერთიანებულია 3000 გლეხური მეურნეობა 13.000 ძროხით. ამხანაგობათა საწევრო და სავაიო კაპიტალი აღწევს 80.000 მანეთს.

მიმდინარე წელში ამ ამხანაგობათა და არტელების საშუალებით განზრახულია დამზადება: 10000 ფ. შვეიცარიული ყველის—300.000 მან. ღირებულების, თუშური ყველი—12.000 ფ.—144.000 მან. ღირებულების, კარაქი—5.000 ფ.—150,000 მან. ღირებულების და სხვა ნაწარმოების დამზადება—250,000 მან ღირებულების. სულ განზრახულია—844.000 მან. ღირებული ნაწარმოების დამზადება ერთი წლის განმავლობაში.

მომავალი წლისთვის მერძევეთა კოოპერაცია კიდევ უფრო გაიზრდება, მოღონიერდება და კოოპერატიულად შეკავშირებულ მეურნეობის. სხვა დარგებთან ერთად ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატის საბეითლო სექცია მიზნად ისახავს შინაურ პირუტყვთა და ფრინველთა ჯანმრთელობის დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ ძველად ამ საქმეზე მუშაობდა 160 კაცი და იხარჯებოდა ნახევარი მილიონი მანეთი, არც ერთი საბეითლო-სანიტარული დაწესებულება არ არსებობდა საქართველოში. ვერავითარ შედეგებს ვერ აღწევდნენ და საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეც ცუდ მდგომარეობაში იყო. 1902 წლამდე საქონლის ჭირთან ბრძოლას აწარმოებდნენ ასეთი საქონლის დახოცვით და მხოლოდ ამ წლიდან შემოიღეს საქონლის აცრა.

ომამდე საქართველოში საქონლის ჭირს ფართე ხასიათი ჰქონდა: ომის დაწყების შემდეგ ჭირი ედება მთელს კავკასიას და რუსეთსაც.

რევოლიუციის შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა და კერძოთ მენშევიკების დროს იგი სასტიკად მძვინვარებდა მთელს საქართველოში, მშველელი კი არვინ იყო. რასაც შედეგად მოჰყვა მთელი მსხვილფეხა საქონლის 40 პროცენტის განადგურება.

მხოლოდ 1921 წლიდან ჩადგა ბრძოლის საქმე ნორმალურ პირობებში. ამის შედეგი იყო სენის მოსპობა 1923 წელში. 1924 წლიდან ჭირი კვლავ გაჩნდა, მაგრამ ამავე დროს ტაბახმელის საშრატე სადგური თანდათან ფართოვდებოდა, რის გამო შესაძლებელი გახდა 40.000 სული საქონლის აცრა. დაიხოცა მხოლოდ 2 პროცენტი. 1922 წელში თბილისში ამუშავდა საბეითლო ლაბორატორია, რომელიც გარდა გამოკვლევებისა ამზადებს ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატს. 24 წელში დაარსდა ასეთივე სადგური სოფ. ოსიაურში.

23 წლიდან მაზრებშიაც მოეწყო ლაბორატორიები რიცხვით—20 და 24 წლის ოქტომბრამდე დახმარება აღმოუჩინა 16.041 ავადმყოფ საქონელს.

აგრეთვე ყოველ სასაკლაოსთან მოეწყო 23 წლიდან ვეტერინალური ზედამხედველობა—15 ადგილს, სადაც 1 ოქტომბრამდე გაისინჯა 100,000-დე საქონელი.

საქონლის ჭირთან მეტის წარმატებით ბრძოლის მიზნით მიწათ მოქმედების კომისარიატის საბეითლო განყოფილებას გამომუშავებული აქვს 5 წლიანი გეგმა.

1926 წელში გადიდებული იქნება ბეითალთა რაოდენობა 48-დე, მოეწყობა საბეითლო ამბულატორიები მუდმივ მწყემსთა ბინებთან, რომელთა რაოდენობა უნდა უდრიდეს—28-ს, სასაკლაოები მოეწყობა სოფლებშიაც, გაცხოველდება საბეითლო-საგანმანათლებლო მუშაობა—გამოიცემა მრავალი ბროშიურები, დაზარალებულ საქონელთა პატრონებს ზარალი აუნაზღაურდებათ, რაშიაც მონაწილეობას მიიღებს სახ. დაზღვევის სამმართველო, საბეითლო მუშაობაში ჩაებმებიან კოოპერატივებიც.

1927 წელში თითეულ მაზრაში იმუშავებს 5—5 ექიმი—მთელს რესპუბლიკაში—80. ამბულატორიები გადიდდებიან—80-დე და სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდება საბეითლო ფაკულტეტი.

1928 წელში, ბეითალ-ექიმთა რაოდენობა მაზრებში გადიდდება—8-კაცით სულ მთელ საქართველოში მათი რიცხვი აყვანილი იქნება 128-მდე მათი სამუშაო რაიონი განსაზღვრული იქნება 20 კვ. ვერსით ბეითალ-ექიმის ზედამხედველობის ქვეშ იქნება 15000 სული საქონელი. ლაბორატორიების რიცხვი გადიდებული იქნება 128-დე.

1929 წელში ბეითალთა რიცხვი გადიდებული იქნება—48 კაცით გამრავლდება ქსელი ლაბორატორიებისაც. პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად იწარმოებს მეცნიერული მუშაობაც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საგანმანათლებლო მუშაობას ფართო მასებში. ამ საქმისათვის წინასწარ გამოანგარიშებით საჭიროა—2.600.000 მ.

აღნიშნული გეგმა საქ. საგეგმო კომისიის მიერ პრინციპიალურად მოწონებულია.

ვაჭრობა აღმოსავლეთთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის მდივანმა ამხ. ზავრიევმა განაცხადა:

1921 წლიდან დაწყებული გაცხოველებული ვაჭრობა სპარსეთთან ეხლა უკვე აღწევს ომის წინეთ არსებულ ვაჭრობის 60 პროცენტს.

ამ ჟამად პალატის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებზე, რომლებიც ძალიან ეტანებიან ა|კ. ვაჭრებს.

კიდევ მოსალოდნელია უფრო მეტი სავაჭრო ურთიერთობა ოსმალეთთან, ბაქოს ბაზრობაზე პირველათ მიიღეს მონაწილეობა აღმოსავლეთ ვილაიეთების სააქციონერო საზოგადოებებმა.

სპეციალური კომისია იკვლევს, თუ რა შეადგენს ოსმალეთის საიმპორტო და საექსპორტო საქონელს, იქაურ ბაზრების ვითარებას და ყველა პირობებს, რაც კი საჭიროა ჩვენი გამოსვლისათვის ოსმალეთის ბაზარზე.

ოსმალეთთან დასაახლოვებლათ დიდ ფაქტორს წარმოადგენს ართვინში გამართული გამოფენა და აგრეთვე ლენინკანის მომავალი გამოფენაც.

ჩრდილოეთ სპარსეთში საბჭოთა საქონელი სჯობს სხვა ყველას. სპარსეთი ძალიან ემზადება ნიჟეგოროდის ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებათ, სადაც გასასაღებლათ გაიტანს თავის საქონელს.

ბაქოში დარჩენილი ოსმალელ ვაჭრების საქონელი გადატანილი იქნება ნიჟეგოროდის ბაზრობაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენს აღმოსავლეთთან დასაახლოვებლათ.

მეთამბაქოობა საქართველოში

მეთამბაქოობისათვის საქართველოში, როგორც ჰავის, ისე ნიადაგის მხრივ მეტად ხელსაყრელი პირობებია.

მეთამბაქოობის ხელმძღვანელობა აქამდე სხვა და სხვა ორგანიზაციათა და პირთა ხელში იყო, ეხლა უკვე მან თავი მოიყარა საქ. სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის—წარმოკავშირის ხელში. ამ დარგში მუშაობს 9 კოოპერატიული ორგანიზაცია: 4-ხის კახეთის რაიონში, 3—გურიაში, და 2—სამეგრელოში.

წელს განზრახულია თამბაქოს დასარგველად 1500 დესეტინა მიწა, მაგრამ საჭირო საშუალებათა უქონლობის გამო, თამბაქო დარგეს მხოლოდ 1440 დესტინაზე, აქედან: კახეთში 740 დესეტინა, გურიაში—500 დესეტინა და სამეგრელოში—200 დეს.

გარდა წარმოკავშირისა ბანკებს აქვს დარგული კახეთში თამბაქო 224 დესეტინაზე; ამასთანავე იქვე ამ საქმეს ეწევა აზერბეიჯანის თამბტრესტის წარმომადგენელი, რომელსაც დარგული აქვს 160 დესეტინა და გარდა ამისა კერძო შეძლებული გლეხებიც ეწევიან მას და თავის საშუალებით დარგული აქვთ 240 დესეტინა მთელს კახეთში; მაგრამ ყველა ამათ თამბაქოს დამზადების დროს დასჭირდებათ წარმოკავშირის ხელმძღვანელობა.

თამბაქოს მეურნეობისათვის წელს კარგი ამინდები დგას და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს. წელს მოსავლის შემდეგი რაოდენობით უნდა ველოდოთ:

კახეთში—100.000 ფუთს და გურია-სამეგრელოში 50.000 ფუთს.

აქამდე მეთამბაქოობას ჩვეულებრივი ძამაპაპეული წესით აწარმოებდნენ. ახლა ადგილებზე გლეხებს ეძლევა აგრონომიული დახმარება და შექმნილია კადრი სპეციალისტ დამხარისხებლებისა. უმთავრესი მიზანი ასეთი წესისა მდგომარეობს იმაშიც, რომ საქართველოს თამბაქო თავის საკუთარი, განსაკუთრებულ ნიშნით გავიდეს ბაზარზე. ამ მიზნის განსახორციელებლად წელს განზრახული იყო საჩვენებელ პლანტაციები მოწყობა, მაგრამ აქაც უსახსრობამ შეუშალა ხელი. ასეთი პლანტაციები საჭიროა საქართველოსათვის მინიმალურად ექვსი, ორ-ორი თვითეულ რაიონში.

მეთამბაქოობის უფრო გაფართოვების მიზნით საქართველოში 1924 წელში მოხდა ანალიზი და ცდა იმის გამოსარკვევად თუ-რამდენად გამოსადეგია ეს რაიონი ამ კულტურისათვის, და მართლაც ცდა-ანალიზმა დადებითი შედეგი მოიტანა.

მოთხოვნილება საქართველოს თამბაქოზე

ომამდე საქართველოში თამბაქოთი ითესებოდა 1791 დესეტინა მიწა, აქედან ადგილობრივი ქარხნები ამუშავებდნენ მოსავლის 75—80 პროც., დანარჩენი კი მიდიოდა თურქესტანში და რუსეთში.

1924 წლის მოსავლის 50 პროც. გაიტანა მარტო ლენინგრადის ქარხნებმა და დანარჩენი კი გადაამუშავეს ადგილობრივმა და აზერბეიჯანის ქარხნებმა.

ასე რომ, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი თამბაქოს მეურნეობის გაუმჯობესება-გაფართოებას, რასაც თან მოჰყვება ძველი (ეხლა ჩამოშორებული) და ახალი მუშტრების მოზიდვა—დავინახავთ, რომ იგი ბაზრით უზრუნველყოფილი იქნება.

ფულით დახმარება მეურნეობას

მეთამბაქოობისათვის მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით წელს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გადადებულია 7.8000.000 მანეთი, აქედან საქართველოს შეხვდება დაახლოვებით 2.000 მანეთი 100.000 დესეტინა მიწის (დესეტინაზე 200 მანეთი) დასამუშავებლად.

ადგილობრივი თანხების გაღება წელს ასეთი იყო: 26 ივნისს წარმოკავშირსა და „საქთამტრესტის“ შორის დადებული იქმნა ხელშეკრულობა 10.000 ფუთ თამბაქოზე, რომლის ღირებულება 40.000 მანეთი სრულიად გადაეცა გლეხობას; საქ. სასოფლ. სამ. ბანკის საშუალებით გაიცა 50.000 მანეთი, სახელმწიფო ბანკის საშუალებით გაიცა 90.000 მანეთი. ფულით დახმარება კახეთის და სამეგრელოს რაიონებში კარგად მიმდინარეობს, გურიაში ცოტა მოიკოჭლებს, მაგრამ იქაც მიღებულია შესაფერი ზომები.

ბამბის ნათესების მდგომარეობა

დათესილია გეგმით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი.—კახეთში გაზაფხულის გვალვების გამო დაიღუპა 451 დესეტინა ბამბა.—ბამბის მოსავალი საშუალო იქნება ბორჩალოს მაზრაში და დასავლეთ საქართველოში, საშუალოზე ნაკლები ყარაიას რაიონში.—საქართველოში მიმდინარე წელში შეგროვებული იქნება 209.000 ფუთი ბამბა.

საქართველოს საბამბო კომიტეტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— გაზაფხულზე დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რესპუბლიკის მასშტაბით უნდა დათესილიყო: ყარაიას რაიონში—1.200 დეს. ბამბა, ბორჩალოს რაიონში—2.000 დეს., კახეთში—500 დეს. და დასავლეთ საქართველოში—2.000 დეს.

ამ რაოდენობიდან დაითესა: ყარაიას რაიონში—1.581 ნახ. დეს. და 56 დეს. საბჭოთა მეურნეობების მიწებზე, ბორჩალოს რაიონში—2.229 ნახ. დეს. და 25 დეს. საბჭოთა მეურნეობების მიწებზე, დასავლეთ საქართველოში—1.451 დეს., 500 დეს. დამოუკიდებელი ნათესები (ე. ი. ისეთი გლეხების ნათესები, რომლებიც გაერთიანებული არ არიან კოოპერატივებში და რომლებსაც არ უსარგებლიათ სესხით წარმოკავშირიდან) და 28 დეს. საბჭოთა მეურნეობების ნათესები, კახეთში—507 დესეტინა. ამ რაოდენობიდან გაზაფხულის გვალვების გამო სრულიად დაიღუპა 451 დეს. ბამბა, რომელიც დათესილი იყო ურწყავ მიწებზე.

ბამბის თესვის კამპანიას აწარმოებდა წარმოკავშირი, რომელთანაც საბამბო კომიტეტს სათანადო ხელშეკრულება აქვს დადებული წარმოკავშირის ქვედა საფეხურის ორგანიზაცები თავის მხრივ ხელშეკრულებას სდებდენ გლეხებთან, რომლებიც შემდეგ შეუდგენ ბამბის თესვას თავის ნაკვეთებზე.

თესვის კამპანიის საწარმოებლათ გლეხებმა წარმოკავშირიდან სესხის სახით მიიღეს: აღმოსავლეთ საქართველოში—3 ფუთი სათესლე მასალა თვითეულ დესეტინაზე; საქარხნო თესლი 50 კაპეიკათ ფუთი, გადარჩეული თესლი კი 1—2 მანეთათ.

ამავე ფასებში მიეცათ თესლი გლეხებს დასავლეთ საქართველოშიც, მხოლოდ დესეტინაზე ერთი ფუთი.

თესლის გარდა გლეხებმა სესხის სახით მიიღეს: აღმოსავლეთ საქართველოში 66 მ. 25 კ. დესეტინაზე, დასავლეთ საქართველოში კი—50 მანეთი.

ხორბლის გაძვირების შემდეგ გლეხებს რომ არ შეეწყვიტათ ბამბის თესვა და მთლიანად პურის თესვაზე არ გადასულიყვნენ, გლეხებს მიეცათ აგრეთვე საზღვარგარეთიდან შემოტანილი ხორბალი 15 ფუთი დესეტინაზე 1 მ. 50 კ. ფუთი, როდესაც ეს ხორბალი მთავრობას სამ მანეთამდე უჯდებოდა.

რაც შეეხება ბამბის ნათესების მდგომარეობას ამჟამად, უნდა ითქვას, რომ კლიმატიური პირობები ხელს არ უწყობს ბამბის მოსავალს. გაზაფხული ცივი და შემდეგ გვალვიანი იყო. მაისში და ივნისში ტემპერატურა 2 გრადუსით ნაკლები იყო ნორმალურ ტემპერატურაზე.

საერთოდ ნათესების მდგომარეობა ბორჩალოს რაიონში დამაკმაყოფილებელია; იქ უნდა ველოდეთ 40 ფუთს დესეტინიდან. ყარაიას რაიონში მოსავალი საშუალოზე ნაკლები იქნება—35 ფუთი დესეტინიდან; ასეთივე მდგომარეობაა კახეთშიც.

დასავლეთ საქართველოში ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია; მოსავლიანობა უნდა გამოიხატოს 30 ფუთში დესეტინიდან. საბჭოთა მეურნეობებში მოსავალი გაცილებით მეტი იქნება; იქ უნდა ველოდეთ 60 ფუთს დესეტინიდან.

ბამბის საერთო მოსავალი კი საქართველოში უნდა გამოიხატოს 209.000 ფუთში, რაც 31 ათასი ფუთით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე (240.000 ფ.).

ბამბის შესყიდვა გლეხობისაგან დაიწყება სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან და გაგრძელდება იანვრამდე.

ჩაბარებული ბამბის გასაწმენდათ იმუშავებს სამი ქარხანა: შულავერში, ყარაიაში და ქუთაისში.

ბამბის ფასები ჯერ არ არის გამორკვეული. ის დაწესებული იქნება ახლო მომავალში.

მოსავლის პირი

(მაზრებიდან მოსული უკანასკნელ ცნობებით)

აჭარისტანში

აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით მიმდინარე წელს აჭარისტანის სათესი მოედნის სივრცე გადიდებულ იქნა თორმეტ ათასს დესეტინამდე, ე. ი. გასულ სამეურნეო წელთან შედარებით გადიდებულია ორი ათასი დესეტინით. ზემოაღნიშნულ 12 ათას დათესილ მიწის მოედნიდან სიმინდის ყანებს უკავია ცხრა მეათედი, დანარჩენი უკავია ძვირფასს სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკურ მცენარეებს და თამბაქოს. ამ უკანასკნელ მცენარით დათესილია 300 დესეტინაზე მეტი.

იმ რაიონებში, სადაც ყანების დათესვა თავის დროზე მოხდება, მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს. მოსალოდნელია საშუალო დონეზე მაღალი მოსავალი.

ქვემო იმერეთი

პურეულ მცენარეთაგან ქვემო იმერეთში ითესება მხოლოდ სიმინდი. გვალვების გამო სიმინდის თესვა გაზაფხულის დასასრულ დაგვიანდა, მიუხედავათ ამისა ყანები დაუთესელი არ დარჩენილა. სიმინდით დათესილი სივრცე შარშანდელზე ნაკლები არ არის. დაგვიანებით მაინც და მაინც ნათესებს ზარალი არ მოსვლიათ. სიმინდი კარგი ამოვიდა და ზრდაც ნორმალური ჰქონდა.

ამ ჟამად მთელს ქვემო იმერეთში პურეულ მცენარეთა მოსავალს კარგი პირი უჩანს.

საუკეთესო მდგომარეობაში არის ვენახები, რომელსაც ზომაზე მეტი ნაყოფი აქვს გამოღებული. თუ სტიქიურმა მოვლენებმა (სეტყვამ, ნიაღვარმა, ელვამ) არ დააზარალეს, მოსალოდნელია ღვინის არაჩვეულებრივი კარგი მოსავალი.

რაჭა-ლეჩხუმი

რაჭა-ლეჩხუმში პურეულ მცენარეთაგან სთესენ უმთავრესად პურსა და სიმინდს. სათესი მოედნის ერთი მესამედი რაჭაში უკავია პურს, დანარჩენი ორი წილი სიმინდს. ლეჩხუმში პურით დათესილი მოედანი შეადგენს დაახლოვებით მთელი სათესი მოედნის ნახევარს. სიმინდის ყანების მდგომარეობა, როგორც რაჭაში, ისე ლეჩხუმში საშუალოზე მაღალია, პურის მოსავალი რაჭაში საშუალოზე ნაკლები, ლეჩხუმში—საშუალო; ვენახებს რაჭაში ძალიან კარგი პირი უჩანს, მაგრამ მოსავალი შარშანდელი წლის მოსავლის ერთს მესამედს თუ მიაღწევს. მიზეზი ის არის, რომ წრევანდელ არაჩვეულებრივი ზამთრის ყინვების გამო რიონის პირად გაშენებული ვენახები მცირე გამოკლებით სულ დაიღუპა, ხოლო რიონის ნაპირზე კი არის გაშენებული რაჭის ვენახების უდიდესი ნაწილი, რომელიც იძლევა საუკეთესო ღირსების ღვინოს.

აფხაზეთი

ივლისში დასრულდა აფხაზეთის ყანებში სიმინდის თესვა. სიმინდის დათესილი მოედანი გასულ წელთან შედარებით 30 პროც.-ით (35 000 დესეტ.) არის შემცირებული სამაგიეროდ გაიზარდა თამბაქოს პლანტაციებით დაკავებული მოედანი უკანასკნელმა ხშირმა წვიმებმა ძალიან კარგათ იმოქმედეს ნათესებზე. მოსავლის პირი საშუალოზე მაღალია.

ტრამვაის ახალი ხაზები

თბილისის განაპირა უბნების საჭიროების დასაკმაყოფილებლად ტრამვაის დირექცია შეუდგა ტრამვაის ქსელის გაფართოებას.

ტრამვაის სახელოსნოებში უკვე კეთდება 20 ახალი ვაგონი. სახელოსნოები ყოველ მხრივ მოწყობილია და 20 ვაგონის შენებას წარმატებით აწარმოებს.

გარდა ამ 20 ვაგონისა მოსკოვის ქარხნებში შეკვეთილია კიდევ 20 ახალი ვაგონი, რომელიც პირობის ძალით თბილისში მიღებული იქნება მომავალი წლის აპრილში. ასე რომ 1926 წლის მეორე ნახევარში თბილისში ამ მოძრავ ვაგონთა რიცხვი მიაღწევს 120-ს მშვიდობიან დროს კი 110 არ აღემატება.

ამ დღეებში ეკატერინოსლავის მეტალურგიულ ქარხნებიდან მიღებული იქნება 120 ათასი ფუთი ახალი ლიანდაგი, რომელიც დაგებული იქნება გაცვეთილი რელსების ნაცვლად. ახალი ლიანდაგის მიღება დირექციას საშუალებას აძლევს აღადგინოს ტრამვაის ხაზი სამხედრო ჰოსპიტალიდან ძველ სასაკლაომდე, გაიყვანოს ახალი ხაზები წყნეთიდან ვაკემდე და ოლღას ქუჩიდან საბურთალომდე.

როგორც ვიცით ახალი ხაზი გაყვანილი იქნება კიდევ სომხის ბაზარზე, რომელიც შეაერთებს თავისუფლების მოედანს ორთაჭალასთან

აღებული, მაგრამ გაუცვეთელი ლიანდაგებიდან დაგებული იქნება გზები დიდუბის ეკლესიიდან გერმანელების ეკლესიამდე და კირკის ქუჩაზე, ჩოლოყაშვილის ქუჩიდან პლეხანოვის პროსპექტამდე. ჩოლოყაშვილის ქუჩიდან ზემელის აფთიაქამდე მოწყობილი იქნება ახალი მარშრუტი.

რაც შეეხება ტრამვაის მუშათა ნაყოფიერებას, იგი ძალიან გაიზარდა და მიაღწია მშვიდობიანი დროის დონეს. ნაყოფიერების ზრდამ დირექციას საშუალება მისცა გადიდებია მუშათა ხელფასი 18 პროცენტით. გარდა ამისა მოძრაობის მუშაკებისთვის დაწესებულია პრემიალური სისტემა.

ამ ჟამად თბილისში მოძრაობს 65 ვაგონი. ტრამვაის ყოველდღიური შემოსავალი უდრის 6 ათას მანეთს, რაც ტრამვაის მეურნეობას საშუალებას აძლევს არა მარტო შეინახოს თავის თავი, არამედ დაეხმაროს სხვა კომუნალურ მეურნეობასაც.

ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამი

მიხედეთ დვაბზუს კოოპერატივს

(ცეკავშირის საყურადღებოდ)

ჩვენი კოოპერატივი „სინათლე“, დაარსების დღიდანვე კარგათ მუშაობდა. სამი-ოთხი წლის წინათ, საერთო კრიზისის დროს, დვაბზუს კოოპერატივი იძულებული იყო მუშაობა შეეჩერებია. როცა ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოვინდომეთ საქმის განახლება, მივმართეთ ოზურგეთის კოოპერატიულ კავშირს დახმარებისათვის. კავშირმა უარით გამოისტუმრა მთხოვნელები.

ამის შემდეგ ჩვენ საქონლის კრედიტით დაგვეხმარა აჭარისტანის ცეკავშირი. ის იყო კოოპერატივი უნდა გაგვეხსნა, რომ გამოცხადდა თემკომის პ.-მდივანი და აკრძალა დუქნის გახსნა. მესამე კვირაა საქონელი აწყვია დვაბზუს კოოპერატივში, ვექსილები განაღდებას მოელიან ბანკში, მოსალოდნელია საქონლის გაფუჭებაც. ყველა ეს ზარალი გლეხებს დააწვება კისერზე. სასწრაფოდ უნდა იქნეს ეს საქმე გამოძიებული და დამნაშავე პირები მიეცეს პასუხის გებაში.

კიდევ განახულებ.

წყალტუბელი რუმბი და ტიკჭორა

ბევრი რამ გაუგონია კაცს წყალტუბოზე, როგორც კარგ აგარაკზე, სამკურნალო ადგილზე, მოსავლიან რაიონზე და მშვენიერ მდებარეობის დაბაზე. მაგრამ არავის აზრათაც არ მოსვლია, რომ ყოველივე ამ სიკეთესთან, წყალტუბო ცნობილია რუმბით და ტიკჭორებით.

რუმბი ან ტიკჭორა თავისთავად არაფერია. ვინ მოსთვლის საქართველოს ქალაქად და სოფლად რამდენი რუმბი და ტიკჭორები მოიპოვება. წყალტუბოს რუმბი და ტიკჭორა კი განსაკუთრებულ თვისების ღვინის ჭურჭლებია, რომლის მზგავსი ვეჭვობ რომ სადმე მოიპოვებოდეს. დასწორედ. მიტომ გახდა ეს ორი თითქოს უმანკო თვისების ღვინის ინვენტარი გაზეთის მსჯელობის და თქვენი ყურადღების საგნათ.

ჯერ ერთი—წყალტუბოს ტიკჭორა და რუმბი განირჩევა სხვა ამგვარ საგნებიდან იმ თვისებით, რომ რამდენიც არ უნდა ჩაასხა მათ ღვინო, ან არაყი, უკან ერთ წვეთსაც ვეღარ ამოიღებ. მაგარი სასმელები იკარგება მათში უგზო-უკვლოთ, როგორც უძირო ქვევრში. მერე კიდევ ღვინის ეს პატიოსანი ჭურჭლები ერთბაშათ არ ღებულობენ. აქ დაცულია ერთგვარი თანდათანობის წესი. დღიდან დღეზე, თვიდან თვემდი და მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლათ სამი ან ოთხი კვარტი დღეში—ასეთია მათი ნორმა.

ეს კიდევ იმდენი არაფერი; მაგარი ისაა, რომ წყალტუბოს რუმბი და ტიკჭორა არ ეპუება გრამატიკის საყოველთაოდ ცნობილ კანონს. რით განირჩევა სულდგმული საგანი უსულდგმულოსაგან. იმით, რომ სულდგმულს სხვის დახმარების გარეშე შეუძლია ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდეს, უსულდგმულოს ამის საშუალება არა აქვს.

წყალტუბოს რუმბი და ტიკჭორა არა თუ ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან, არამედ ნიადაგ დღე ერთი მათგანი აბანოებში დაიარება და მეორე აღმასკომის სტუმარია. სად რუმბი და ტიკჭორა და სად აბანო და აღმასკომი?! მაგრამ იქონიეთ გაოცების მოთმინება. საქმე ისაა, რომ ამ რუმბს და ტიკჭორას ცოცხალი ადამიანის სახელი ჰქვია და ცოცხალი ადამიანის თანამდებობაც კი უჭირავს.

და მერე როგორი? რუმბი—ი. შვანგირაძე, აბანოების კომენდანტი; ტიკჭორა—ა. კუჭავა აღმასკომის თავმჯდომარე. იქნებ ვინმემ ეჭვი შეიტანოს რომ ჩვენ მათ ცილი დავწამეთ და ბოროტი განზრახვით მკითხველს ეს ორი წყალწუმპელი გმირი დამამცირებელ ალეგორიებით და გზამოვლით გავაცანით. არაფერი ამის მზგავსი.

„ა. კუჭავა—ეს ტიკჭორაა ღვინის და ი. შვანგირაძე კი რუმბი. იმ დღეს დღეთ არ სთვლიან, როცა ღვინოს არ დალევენ და არ დათვრებიანო“.

—ასეთია წყალტუბოს მცხოვრებთა აზრი [illegible] საქმეზე, თავმჯდომარე, [illegible] თუ ვისთან აქვს საქმე, ყაყრატოში ჩიზათ იპწკენს და ენის მბლაკუნით ეკითხება მომსვლელს, „ხაჭაპური და ვარიები თუ მზათ არის, ან გულწითელა როგორ გრძნობს თავს ქვრშიო“.

ლოთობას თან სდევს ზნედაცემულობის სხვა მაგალითებიც. დარია შვანგირაძე, მაგალითად, სამმართველოში მიმსვლელ ქალს, თუ ის თვალში დაუჯდა, მოურიდებლათ აძლევს მასთან სქესობრივ კავშირის დაჭერის წინადადებას.

ა. კუჭავა კი არ უშვებს შემთხვევას, რომ ახლო-მახლო რაიონებში დღეობას არ დაესწროს და ღვინით მწარე გალეშილი არ დაბრუნდეს სახლში. ამ უკანასკნელათ დამთვრალი, გრძნობადაკარგული კუჭავა ცხენზე იჯდა და სქესობრივ ასოს გადმოგდებული, ნიფხავჩახდილი ჩაუარა წყალტუბოელ მოაგარაკეებს.

როგორც იქნა გაბედა ტერორის ქვეშ მყოფ ადგილობრივ ერთ გლეხთაგანმა კალამი ხელში აეღო და „წყალტუბოელ ხოლერის“ სახით გამოაჭენა ა. კუჭავას ეს ყოვლად უგვანო საქციელი გაზეთში. მაგრამ „უდანაშაულოთ დასჯილ“ კუჭავას მალე გამოუჩნდა მოსარჩლე, და მერე როგორი მოსარჩლე? ი. შვანგირაძე ორჯერ მიუხტა სოფლის კორესპონდენტს და სიკვდილით ემუქრებოდა, გლეხებს რომ ჰკითხოთ, „წყალტუბოელ ხოლერის“ მიერ გამომჟღავნებული ბოროტება ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც აქ ხდებაო.

კორესპონდენტი, რომელიც გვატყობინებს წყალწუმპელ რუმბისა და ტიკჭორას საზიზღრობას, შემდეგს გვთხოვს: „წერილი შეასწორეთ, ბრალდებები კი არ გამოტოვოთ, ვინაიდან მე ბევრი გამოვტოვე და ეს ცოტაა აქ აღნიშნულიო“.

სამწუხაროთ ვერ ვასრულებთ ამ თხოვნას. ჩვენც ბევრი გამოვტოვეთ. მაგრამ რაც დარჩა, ისიც საკმარისია იმ სისაძაგლის ფარდის ასახდელათ, რომელსაც ადგილი აქვს წყალტუბოს აბანოებში და აღმასკომში.

ბ—ლი.

აბრეშუმის პარკი დამზადების კამპანია

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო აბრეშუმის პარკის ოპერაციების შესახებ

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო აბრეშუმის პარკის დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადებას აძლევს მიიღონ ყოველგვარი ზომები აბრეშუმის პარკის ოპერაციების წესიერი ჩატარებისათვის. ამ მიზნით ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინადადება მიეცა სისტემატიურად მიაწოდოს ცნობები აბრეშუმის პარკის ოპერაციების მსვლელობის შესახებ, რომ ამ საშუალებით შესაძლებელი გახდეს იმ დაბრკოლებათა თავის დროზე აღკვეთა, რომელნიც ხელს უშლიან აბრეშუმის პარკის დასამზადებელი კამპანიის ნორმალურ მსვლელობას.

როგორ მიმდინარეობს დამზადების საქმე

კახეთი

მიმდინარე წელს შიგნით კახეთში აბრეშუმის თესლი უფრო ნაკლები დარიგდა ვიდრე გასულ წელს. მიუხედავათ ამისა მოსავალი კარგი დარების გამო, საშუალოზე მაღალი არის. ნაწილი მოსავლისა რჩება ადგილობრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ნაწილი კი გლეხებს სურთ გაასაღონ, მაგრამ გასაღება ძნელი ხდება მყიდველების ნაკლებობის გამო, ხოლო ერთიან მომხმარებელ საზოგადოებას ყველგან არ აქვს დავალებული აბრეშუმის შეძენა. საამისოდ მას არ გააჩნია არც თანხა და არც საჭირო აპარატი.

ქვემო იმერეთი

ქუთაისის ყველა რაიონებში თითქმის დამთავრებულია აბრეშუმის პარკის შეგროვება. და ამ ჟამად სწარმოებს მისი რეალიზაცია ბაზარზე. მოსავალი საშუალოზე მაღალია, სულ დაახლოებით წელს მოსალოდნელია 100 ათასი 50 ფუთი ნედლი პარკის შეგროვება. აბრეშუმის ფასი წელს უფრო მეტია დაწესებული, ვიდრე გასულ წელს. ფუთ პირველ ხარისხში აძლევენ 18 მანეთს, მეორე ხარისხში—16 მანეთს.

ხვედრ ფულს გლეხი დაუყონებლივ ღებულობს სრულად სესხად გაცემულ თესლის ფასის გამოკლებით. შესყიდვას აწარმოებს ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების ქვედა აპარატი საზ. „აბრეშუმის“ საერთო ხელმძღვანელობით და მის ხარჯზე.

საზოგადოება „აბრეშუმს“-ს განზრახვა აქვს გასცეს გრენიარებზე—2.900 ფუთი ნედლი პარკი თესლის დასამზადებლად. მომავალ წლიდან საქართველოს ექნება საკუთარი წარმოებით დამზადებული აბრეშუმის თესლი, რომელიც დააკმაყოფილებს მთელს ჩვენს საჭიროებას.

თესლის დამზადების საკითხის განსახილველად და დასამუშავებლად ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქნება გრენიორების (თესლის დამზადების მოხელე) თათბირი.

საზოგადოება „აბრეშუმი“ რამოდენიმე წელში ამუშავებს სამ აბრეშუმის სართავ ქარხანას სამტრედიასა, ხონსა და თელავში. სამტრედიის ქარხანა უკვე გადაეცა საზ. „აბრეშუმ“-ს.

აბრეშუმის პარკის მთელი მოსავლის 25 პროცენტი დართული იქნება საკუთარ ქარხნებში, რომელნიც ამუშავებული იქნება 1926 წლის 1 ივნისამდე.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარშემო

(საქ. სახ. კომ. საბჭ. დადგენილება)

ამას წლის ივლისის 6 საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ იქონია მსჯელობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და საჭიროდ სცნო გატარდეს ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

1 ა) მიღებულ იქნეს ყოველი ღონისძიება, რათა წესიერად განისაზღვროს მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კონტინგენტი მაზრებ შორის მათი მეურნეობის სიძლიერის მიხედვით;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაბეგვრის ობიექტების სრულ აღრიცხვას;

გ) მიღებულ იქნეს ზომები, რათა გადასახადის გადახდევინების დროს დაბეგვრის ობიექტები სისწორით იქნენ გადატანილი სახნავ მიწაზე.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი მოეწყოს სოფლის და თემის აღმასკომთან სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო კომისია.

3. დავალებულად იქნეს ცნობილი, რათა ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულ ერთიან სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო რესპუბლიკანური კომისიის მუშაობაში მიიღონ მონაწილეობა უწყებათა პასუხისმგებელ წარმომადგენლებმა, რისთვისაც შეყვანილ იქნენ ხსენებულ კომისიაში პერსონალურად შემდეგი ამხანაგები: ა|კ. ფინსახკომის რწმუნებული—თ. ღლონტი. ცენტრალურ სტატისტ. სამმართველოდან—ა. რუხაძე (მოადგილეთ ჩიგოგიძე). შინსახკომი,—შ. მათიკაშვილი, მიწათ-მოქმედების სახკომი—ა. გეგეჭკორი (ან მისი მოადგილე), თბილისის აღმასკომიდან—გავაშელი (მოადგილეთ დოლიძე) და მ|გ. ინსპექციიდან ამხ. მ. კვარაცხელია.

4. დაევალოს ხსენებულ კომისიას შეადგინოს პროექტი დებულებისა სოფლის და თემის სასოფ-სამეურნეო საგადასახადო კომისიის მუშაობის შესახებ, აგრეთვე არჩევნების წესი და მათი შემადგენლობა და მასთან გადაამუშაოს მთელი რიგი საკითხებისა, რომელთანაც დაკავშირებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარმატებით ჩატარება მიმდინარე წელში და წარუდგინოს სათანადო ღონისძიებათა პროექტი სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

საქართ. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია დაიწყო ჯერ კიდევ ომის წინა ხანებში. მაშინ სასოფლო სამეურნეო იარაღების შემოტანას საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან აწარმოებდენ კერძო ფირმები, რომლებიც ამ იარაღებს 6—12 თვით ნისიათ აძლევდენ სასოფლო ორგანიზაციებს.

სოფლის საკრედიტო ამხანაგობები თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდენ სამეურნეო იარაღების შეძენა-გავრცელების საქმეში. ყოველწლიურად ვრცელდებოდა 1.500 ფოლადის გუთანი, 100 სათიბი მანქანა, 50 სამკალი, 100 ცხენის ფოცხი და სხ.

მსოფლიო ომის დაწყებიდან დაიხურა ყველა საზღვრები. ქარხნები გადააკეთეს ომის საჭიროებისათვის და ის მცირე რიცხვი იარაღ-მანქანებისა, რომლებიც შემოტანილი იყო რუსეთში, სწრაფათ გაიყიდა. სოფლათ დარიგებული იარაღი თანდათან გაცვდა, სოფლის მეურნეობა დარჩა უიარაღოთ და იძულებული შეიქნა დაბრუნებოდა მამა-პაპეულ ხის იარაღს.

მენშევიკურმა მთავრობამ სცადა გადაედგა ნაბიჯი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისაკენ, მაგრამ ჩეხო-სლოვაკიიდან შემოტანილმა იარაღებმა, სარგებლობის მაგივრათ, ზიანი მოუტანა გლეხებს.

გასაბჭოების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანას შეუდგა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში შემოტანას ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი. 1924 წლიდან კი იარაღების შემოტანას უფრო გეგმაშეწონილი ხასიათი მიეცა.

ამჟამად მიწათმოქმედების კომისარიატის საწყობში არის შემდეგი იარაღები: გუთნები „ეკერტი“-ს ფირმის—700 ც., „საკკი“-ს ფირმის—290 ც. მაკრატლები—1200 ც., დანები—600 ც., ცელები და სალესავები—17.500 ც. ფარცხები—100 ც., თესლის სარკვევი მანქანა—45 ც., სათესები—24 ც., და სხ. იარაღები. დაახლოვებით ამდენივე იარაღია დასავლეთ საქართველოში.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ჰქონდა აგრეთვე 10 ტრაქტორი, რომლებიც უკვე განაწილებულია მაზრებს შორის.

ზემოაღნიშნული იარაღები ნაწილდება საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით, რომლებსაც იარაღები ეძლევათ ნისიათ სამი წლის ვადით; პირველ ხანებში საკრედიტო ამხანაგობები იხდიან იარაღების ღირებულების 25 პროც., დანარჩენი ნაწილი კი შეაქვთ სხვადასხვა დროს.

ამ იარაღების სათანადოთ გამოსაყენებლათ და გასავრცელებლათ მიწათმოქმედების კომისარიატთან არსებობს ტრაქტორისტების კურსები, სადაც სოფლის მეურნენი და ოსტატები (მჭედლები) სწავლობენ იარაღ-მანქანების აგების და ხმარების შეკეთების და სათადარიგო ნაწილების მომზადების თეორიას და პრაქტიკას. ამასთანავე განზრახულია კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან გაიხსნას იარაღ-მანქანების სანიმუშო და საკომისიო საწყობი, სარემონტო-საჩვენებელი სახელოსნო და იარაღების საცდელი სადგური.

მუშათა ცხოვრება

შრომის ხელფასს დროზე არ გვაძლევენ

(შრომის ინსპექციის და კავშირის საყურადღებოდ)

რკ. გზ. მთავ. საწყობში მუშა-მოსამსახურეებს მუდამ უხდებათ თავიანთი ხვედრი ჯამაგირის აღება სამუშაოს დღის დამთავრების შემდეგ, რასაც უნდა ღებულობდენ მუშაობის დროს. ამაზე ამას წინათ იყო წერილი გაზ. „კომუნისტ“-ში უბკავშირის და სამმართველოს საყურადღებოდ, მაგრამ არავის შეუწუხებია თავი და საქმე უფრო გაუარესდა. გასულ თვეს, ივნისში, მუშებს ჯამაგირი უნდა მიეღოთ 15-დან 20-დე, მიიღეს კი 22 რიცხვებში და ისიც უწორ-მასწოროდ ზოგმა მიიღო სწორად თავის ნამუშევარი, ზოგმა მეტი და ზოგმა კი ნაკლები. მიზეზი ამისა იყო სიების არა სწორად შედგენა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში, მაგრამ ეს დააშოშმინეს მომავალში გამოსწორების დაპირებით;

4 ივლისს მუშა-მოსამსახურეებს უნდა მიეღოთ ჯამაგირები. მაგრამ ფული მოიტანეს მუშაობის შემდეგ, სრულ ორ საათზე; ფულის დარიგებამ კი გასტანა ორ საათზე მეტი და დაღლილ-დაქანცულ მუშებს მოუხდათ უსარგებლო ლოდინი თავის ჯამაგირის აღებაში.

რაშია საქმე?

შრომის ინსპექციავ და უბკავშირო, გაეცანით აქაურ საქმეებს და გამოასწორეთ ეს ნაკლი.

მუშკორი დონ-ჟუანი.

ფორმალიზმი თუ ადამიანობა

(ჯანმრთელობის კომისარიატის საყურადღებოდ)

5 ივლისს, ღამის 11 საათზე, მალაკნის ქ. № 44 მოხდა ხანძარი. მუშაობდა სამი ცეცხლისმქრობელი რაზმი. მუშაობის დროს დაშავდა ორი რაზმელი. ერთს იქავე აღმოეჩინა დახმარება, მეორე კი, რომელიც ძალიან სერიოზულად დაშავდა სახურავიდან მეორე სართულში ჩამოვარდნის დროს, დაუყოვნებლივ წაიყვანეს პირველ სახ. საავადმყოფოში. აქ დამტვრეულ რაზმელებს არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს რაღაცა ფორმალობის მომიზეზებით და გაგზავნეს ქრამიანცის საავადმყოფოში.

ნუ თუ პირველ საავადმყოფოს ადმინისტრაციას არ შეუძლია ასეთ უბედურ და მოულოდნელ შემთხვევაში გვერდი აუხვიოს ფორმალიზმს და შეასრულოს თავისი მოქალაქეობრივი და ადამიანური მოვალეობა გაჭირვებულის წინაშე?

ვინმე მეხანძრე.

მიიღეთ ზომები.

(სად. გორის უფროსის საყურადღებოდ).

სადგურ გორში არის ორი წყალსადენი თავის ბაკებით, სადაც გროვდება წყალი. ეს წყალი გადის მილებში, რომლიდანაც სარგებლობენ რკინის გზის მუშები თავიანთ ოჯახებით. ბაკები სავსეა სიბინძურით: ჭია-ღუა-ბაყაყებით. ამას შედეგად მოჰყვება მძიმე ავადმყოფობა.

საჭიროა სახურავის (ლუქების) შეკეთება და გამაგრება.

მუშკორი შავსოფლელი.

ცოტა რამ შეგირდების შესახებ

(პროფკავშირთა საბჭოს და შინამრეწველ. საჭ. საყურადღებოდ)

შინამრეწველ ხელოსანთა კავშირი ამ ჟამად მოქმედებს ახალი წესდების მიხედვით. ყოველ ხელოსანს აქვს სურვილი აიყვანოს შეგირდი და გამოზარდოს, მაგრამ კიდევ რაღაც აშინებს. ეს შიში იმაში გამოიხატება, რომ შეგირდს პროფკავშირი აიყვანს აღრიცხვაზე და როცა ის ხელობას შეისწავლის, მისი გაშვება არ შეიძლება. ამიტომ ხელოსანს სურს თავისი მოკეთე ახალგაზრდა აიყვანოს შეგირდად, მაგრამ ზოგიერთი ადგილკომი მას უფლებას არ აძლევს, რადგან კავშირში ბევრი ახალგაზრდებია უმუშევარნი.

ამგვარად, ხელოსანი ცდილობს „თავისიანი“ გამოზარდოს, კავშირი კი ცდილობს თავისი უმუშევარი ახალგაზრდები გაასაღოს.

ამის შემდეგ ხელოსანი იძულებულია ერთიც მიატოვოს და მეორეც, და რასაკვირველია გადაწყვეტილი აქვს მარტო იმუშაოს უშეგირდოთ.

ასეთ საქმეს შედეგათ მოჰყვება ის, რომ ხელოსნები ბერდებიან და ახალთაობამ არაფერი არ იცის. ამნაირად გადაგვარების გზაზე დგანან ხელოსნები. ამის გამოსასწორებლად შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის გამგეობას მართებს დიდი ყურადღება და სათანადო ზომების მიღება.

ბუზუზა.

გაგვიხსენით აქაც სამკითხველო.

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

მე-8 სამილიციო უბანში ალექსანდროპოლის ქუჩაზე ხშირად იყრიან თავს ბიჭ-ბუჭები, კოჭაობენ და ფულს თამაშობენ.

არ შეიძლება აქაც გაგვიხსნათ ერთი სამკითხველო, რომ ამით მაინც დავაინტერესოთ ეს ბიჭ-ბუჭები და მოვსპოთ ძირიან-ფესვიანად მათში ჩანერგილი ავარობა.

მუშკორი—ვარდი

გამოუგზავნელი წერილებიდან

„ხანუმა“-ს როლს უსუფლიოროდ ასრულებს

(მე-8-ე კომისარ. საყურადღებოდ).

ფეოდოსიევის ქ. სახ. № 3-ში მეწვრილმანე მოვაჭრე ილ. გოტაშვილი ჩუმად ვაჭრობს არაყითა და ღვინით. ამის გარდა მას „ზეპირად შეუსწავლია „ხანუმა“-ს როლი და ბევრ სისაძაგლეს სჩადის. დროა ასეთი ელემენტები მოსცილდეს საბჭოთა ხელისუფლებას.

მნახველი.

ასეთი უყურადღებობა დაუშვებელია

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

მე-11-ე კომისარიატში ახვერდოვის მამულში არხი გასწრეს, წყლისსადენი მილები ჩააწყეს და მიწა კი არ მიაყარეს, რამაც იქაური მცხოვრებლები საფრთხეში ჩააგდო. ზოგის ბავშვს იქ ჩავარდნით ფეხი მოსტყდა, ზოგისას ხელი და სხვა. საჭიროა სასწრაფო ყურადღება.

მუშა როჭკა-უხილავი.

ეს საქმე მოაწესრიგეთ

(სახ. განათლ. კომ. საყურადღებოდ)

ქ. ც. მუშ-ფაკის სტიპენდიანტ მსმენელთა მდგომარეობამ უკიდურესობამდე მიაღწია. მათ ჰქონდათ ნისიად გამოტანილი ტანისამოსი, ამ ნისიას უქვითავენ და იმდენი ფული აღარ რჩებათ, რომ პური მაინც იყიდონ. პურიც და სადილიც გაუძვირეს. ტანისამოსს ჰყიდიან, რომ მშიერნი არ დარჩნენ.

სიმართლე—ვანო მ—ელი.

გვიხსენით ამ ქალის ბრჭყალებისაგან

(წყალსად. განყ. საყურადღებოდ)

მე-2-ე რაიონში ტარიელოვის შეს. № 4-ში არის წყალსადენი. ამ სახლის პატრონი ფოფოდია ს. შარაშიძე ტყავს აძრობს მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც იქიდან ზიდავდენ წყალს.

საჭიროა წესიერი ნიხრი დაეწესოს, რომ მის გაუმაძღრობას ბოლო მოეღოს.

ი—პ—რი.

ჩვენც გვინდა ნებართვა

(რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ).

ჩვენ თბილისის საყუდის, რონოდის გამზეთველებს, გამცილებლებს და გამსუფთავებლებს, ღამით გვიხდება სიარული სამსახურიდგან სახლში, და გვინდა გასავალი გზის თავისუფლათ გვლის ნებართვა.

რკინის გზის პროფკავშირმა, და შრომის კომისარიატმა უნდა იზრუნოს ამის შესახებ, რომ ჩვენ ასეთი ნებართვა მოგვცეს.

დეპოს მუშ.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **ტრანსპორტის საქმის გაუმჯობესების** მიზნით რკ. გზ. სამმართველომ გაიღო 1.300 მან. გაცივებულ ტრანსპორტის გასაუმჯობესებლად.

— **თანხის გაღება.** ა. კ. რკ. გზ. სამმართველომ გაიღო 17.000 მან. სკინძ—განყოფილების მოსაწყობად რკ. გზის სამკინძავისათვის.

— **კლუბის ასაგებად.** ა | კ. რკ. გზ. სამმართველომ გაიღო 80.000 მ. ხაშურის კლუბის ასაგებად.

— **რკ. გზ. საავადმყოფოს შესაკეთებლად.** ა | კ. რკ. გზ. სამმართველომ გაიღო 8.700 მანეთი თბ. რკ. გზ. საავადმყოფოს შესაკეთებლად.

— **მეცნიერული დათვალიერება.** ა | კ. რკ. გზ. სამმართველომ მიანდო სტუდენტ-პრაქტიკანტებს მოაწყონ თბილისის უბნის რკ. გზ. წარმოების მეცნიერული დათვალიერება.

სოფელი

როდის მოეღება ბოლო ნახუცრიშვილის თარეშს?

გარე კახეთის სოფელ ხაშმში ცხოვრობს ყოფილი ყაჩაღი ლუკა ნახუცრიშვილი. მან არა ერთი ბოროტება ჩაიდინა, მაგრამ ამ ბოროტებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში ის შეუვარდა სახლში ამავე სოფლის გლეხის ცოლს და უნდოდა გაუპატიურება ამ ქალისა. შეშინებულმა ქალმა შექმნა ყვირილი, რომ ვინმე მიშველებოდა.

„ჩქარა მიშველეთ, თოფი აქვს ლუკა ნახუცრიშვილს და ბავშვი არ მომიკლას, სახლში შემომივარდაო“. ამ დროს ლუკა ნახუცრიშვილმა თავს უშველა.

წარსულ კვირას სოფელ ხაშმში მოვარდა დიდი წვიმების გამო ნიაღვრები. გლეხი შავკაციშვილი მივიდა ნიაღვართან, რომ გაეკვალა მისთვის გზა. ამ დროს მოვიდნენ ვანო ყირმელაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, გორგიჯანიშვილი და გიორგი მარინდაშვილი, რომლებმაც შავკაციშვილი ჩააგდეს წყალში, დაწვნენ ზედა და ხუთი ათი წუთის განმავლობაში წყლიდგან თავი არ ამოაღებინეს. რომ ამ ამბავს არ შეყროდა ამავე სოფლის მცხოვრები გაბო შინჯიკაშვილი, ადვილი შესაძლებელი იყო ეს გლეხი დაეხრჩოთ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველა დამნაშავეები დაატუსაღა, მაგრამ გაიგო თუ არა ლუკა ნახუცრიშვილმა რომ ეს დატუსაღება მოხდა, მივარდა შავკაციშვილს საცემლათ. რადგან შავკაციშვილი სახლში არ დაუხვდა, მამა მისისათვის უცემია. სუყველაფერს ამ შემთხვევებს არ მიქცევია დღემდის ყურადღება.

იშანი.

სოფელი კუნძულზე

(შამგონა ზუგდიდის მაზ.)

ეს სოფელი თითქმის ერთად-ერთი სოფელია მთელს საქართველოში რომელიც კუნძულს წარმოადგენს. ის მოქცეულია მდ. ინგურის შენაკადებს შორის. ჩვენი სოფელი მეფის დროს შედიოდა კოკის საზოგადოებაში რომლის სამმართველო ს. შამგონიდან დაშორებული იყო 7-8 ვერსით, წყალდიდობის დროს ჩვენი სოფელი მთელი კვირაობით და თვეობით მოწყვეტილია გარეშე ქვეყანას.

მცხოვრებთა რიცხვი 250 კომლს უდრის, არის სახერხი ქარხანა, მოსავალიც მდიდარი იცის. ნიკოლოზის ჩამოვარდნისთანავე აღძრა აქაურ გლეხობამ ცალკე თემად გამოყოფის შუამდგომლობა. მაგრამ ჯერაც არაფერი ისმის. წელს მოხდა მხოლოდ ამ სოფლის კახათის თემთან შეერთება, რომელიც უხერხული გამოდგა, რადგან, კახათის თემაღმასკომი სიშორის და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ვერ სწვდება ამ სოფელს და ბევრი რამ გაუკეთებელი რჩება.

მშრომელი გლეხობა მოითხოვს აქ თემაღმასკომის გახსნას, მხოლოდ მის თხოვნას გამგონე არ აღმოუჩნდა. თუ მოსახერხებელი იყო ლედგებიოს თემად გადაკეთება, რომელიც არც კუნძულია და არც დაშორებულია სხვა სოფლებიდან და სადაც მცხოვრებთა რიცხვიც უმნიშვნელოა, რატომ უნდა იყვეს ეს შეუძლებელი ს. შამგონისათვის?

ე. წყაროშია.

ხელისუფლება თვით არღვევს წესრიგს

(ახტალის კურორტი)

ადგილობრივ, კურორტის ავათმყოფთა ერთ-ერთ ბინაზე არის მოდგმული სამიკიტნო.

ავადმყოფები, რა თქმა უნდა ფეხსაც არ დგამენ ამ სამიკიტნოში, სამაგიეროთ გურჯაანის სათემო სარაიონო თუ სადგურის მოსამსახურეები ერთ დღესაც არ აცდენენ, რომ საქეიფო დუქანს არ ესტუმრონ.

განუწყვეტლივ გაისმის სიმღერა: „ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი“. მოქეიფეთ მიკიტანი შუაში უზის. ჩაის ჭიქებს გააქვს წკრიალ-წკრიალი.

6 ივლისს მოქეიფეთა კამპანია ისე გამხიარულდა, რომ აიკლო ხმაურობით ყველაფერი. შეწუხებულ მძიმე ავადმყოფებს საშუალება არ ქონდათ ამდგარიყვნენ თავის საწოლიდგან და მოცილებოდნენ მთვრალების ყვირილს.

როდესაც ვიკითხეთ, თუ ვინაა ასეთი ქეიფისათვის მოცლილი თქო, გვიპასუხეს: ადგილობრივი აღმასკომი, ფოსტა და სხვანი.

საჭიროა, ვის მოვალეობასაც ეს შეადგენს, მიაქციოს ყურადღება აღნიშნულ კურორტზედ სასადილოს გახსნას, და ამით მოუსპოს საშუალება მიკიტანს, ერთი მხრივ ავათმყოფების დაუზოგველ ყვლეფის და მეორე მხრივ აგარაკზე საჭირო მყუდროებიანობის დარღვევის.

ავათმყოფი ათ—ახი.

წერილებიდან

ს. ართანი, (თიანეთის რ.). თიანეთის კოოპერატივის გამგეობა წარსულ მარტში შეგვპირდა კოოპერატივის გახსნას. გახარებულმა გლეხებმა მაშინვე გამოსძებნეს შესაფერი შენობა, აარჩიეს კიდეც კოოპერატივის გამგე და მოახდინეს ახალი წევრების ჩაწერა 60 კაცამდე. ორი თვეა რაც, გავიდა პირობის ვადა. თიანეთიდან კი ჭაპანიც არ ისმის. ნუ თუ საყვედურის ღირსი არაა თიანეთის კოოპერატივის გამგეობა, რომ ამ ხნის განმავლობაში არც „ჰოს“ გვითვლის და არც „არას“.

ს. კარალეთი, (გორ. მ.). ჩვენი სოფლის გლეხმა მინკა ხარიხევაშვილმა ამას წინად სანოვაგე წაიღო ურმით გორში გასასყიდათ. მოგებული ფულით იქ ზორბათ უქეიფნია, ისე რომ ღვინის დალევა ზომაზე მეტიც მოსვლია. გრძნობა დაკარგულ ხარიხევაშვილი, როგორც იქნა შემსხდარა თავის ურემზე და უკანვე გამომგზავრებულა. გზაში ურემზე დასძინებია. ხარები თვით მოსულან სახლში და მძინარე პატრონიც მიუყვანიათ. მაგრამ, ვაი ასეთ ძილს. როცა მეზობლები მისცვივდენ მძინარე მინკას და ვერ შესძლეს მისი გაღვიძება, დარწმუნდენ, რომ მინკა ხარიხევაშვილს სამუდამოთ დაუძინია. შეიძლება ამის შემდეგ მაინც ისწავლონ ჭკუა ზოგიერთმა ღვინის მოყვარულმა გლეხებმა.

კარალეთის მოხელე.

ს. საჯევახო, (გურია). აქ არის ვაზის სანერგე, რომელიც მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში იმყოფება. ამ ბოლო ხანს სანერგე საგრძნობლათ გაუმჯობესდა და ის საუცხოვო სახელმწიფო მამულს წარმოადგენს. მაგრამ ძალიან უშლის საქმეს ხელს უყურადღებობა, რომელსაც იჩენს მამულისადმი ღვინის ტრესტი. მუშებს თავის დროზე ჯამაგირი არ ეძლევათ. რამდენჯერმე საგანგებოთ გავაგზავნეთ კაცი თბილისში ფულის ასაღებათ, მაგრამ მას სულ დაპირებებით ისტუმრებდენ. თუ ეს კიდევ ასე გაგრძელდა, მამულს დაღუპვა მოელის.

მიწის მუშა ილია.

ქიათურა. ამ ბოლო ხანს ძალიან გაიზარდა ქუჩაში ღვინით ვაჭრობა, ახლო-მახლო სოფლებიდან ურმებით შემოაქვთ ღვინოები და ჰყიდიან ადგილობრივ მუშებზე ბოთლობით და ჭიქებით. ქუჩებში არის აურ-ზაური და მთვრალების ლანძღვა-გინება. ქიათურის ადმინისტრაციას კარგა ხანია მართებს ამის წინააღმდეგ ზომების მიღება.

უცნობი.

ს. ფშაველი. ამას წინათ გვეწვია შრატით ბეითლები, რომელთაც ექ. ლაშხაური მეთაურობდა. მაგრამ რაკი ექიმებმა შეატყვეს, რომ ფშაველებისაგან ძველებურ ჩინოვნიკურ პატივისცემას ვერ მიიღებდენ, ქოთითა და ჩხუბით იმუშავეს. ბოლოს იკადრეს საკუთარ ჯიბიდან ფულის გაღება და 1 მანეთად დაავალეს შიკრიკს სამი ვარიის, ერბოს და სხვა სანოვაგის ყიდვა. როცა შიკრიკი ფულით უკან დაბრუნდა და მოახსენა ბეითლებს, რომ ამ ფასად ყველაფერი ეს ვერ ვიშოვეო, ექიმ ლაშხაურმა დაიწყო ყბედობა: „ეს ხალხი ნადვილი ვირებია, თორემ ჩემისთანა კაცს პატივს ვინ არა სცემსო“. ხან კიდევ იმუქრებოდა: „ავალ თელავში და ყველაფერს მოვახსენებ იქაურებსაო“. საერთოდ ლაშხაურს ორი დღის განმავლობაში თავი ძველი ბოქაულივით ეჭირა. აშკარაა, რომ ასეთი ვაჟბატონები არ გამოგვადგება ჩვენ საბჭოთა აღმშენებლობაში.

დამსწრე მეთვალყურე.

ს. ხუფსა (გურია). გაბრიელ ჩხარტიშვილის ეზოში არის ჭა. მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა ეს ჭა თავის ხარჯით ამოაკეთა. ეხლა, გაბრიელის ორი მანდილოსანი, ცოლი და ქალიშვილი, ყოველ საღამოობით გამობრძანდებიან ჭის პირათ და თუ შეამჩნიეს, რომ წყალი ვინმე გარეშეს მიაქვს, ერთ დავიდარაბას ასტეხენ. ჭა მართალია ჩხარტიშვილის ეზოშია, მაგრამ მის მოწყობაში გაღებულია ხალხის ფულიც. ვინ მისცა ჩხარტიშვილის მანდილოსნებს წყლის მცხოვრებლებზე აღკვეთის უფლება?

ვინც უყურა.

ს. საგურამო, (დუშ. მ.) ჩვენს თემში სკოლების დიდი ნაკლებობაა. ამიტომ ბავშვებს ზამთარში და ზაფხულში მეტად უჭირთ სასწავლებელში სიარული, რადგან გზები ატალახებულია და წყლებია გამდგარი. ხალხი ძალიან მოწადინებულია ისწავლოს. სახალხო განათლების კომისარიატი, იმედია, უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩვენი თემის გლეხობას.

ე. პ—შ—ლი.

სოფლის ქრონიკა

— **ამჟამად აბასთუმანის კურორტის** სამმართველოს მიერ გაქირავებულია ყველა ოთახები, ასე რომ თავისუფალი ოთახები სრულიად არ იშოვება.

— **აბასთუმანის ბაზარზე** სურსათ-სანოვაგეზე შემდეგი ფასებია: ხორცი—25 კ., პური—10 კ., კვერცხი—3 ნახ. კ., კარაქი—80 კ., რძე—ბორჯომის ბოთლი—20 კ., თაფლი—80 კ., ხილი—15—20 კ.

— **ბორჯომიდან აბასთუმნამდის** გზა ავტომობილით ღირს: კერძო პირთათვის—8 მან., პროფკავშირის წევრისათვის —7 მ., გარდა ამისა ყველა მცხოვრები ფუთ ბარგზე 75 კ. იხდიან.

— **ამ დღეებში აბასთუმნის** კურორტის სამმართველო დადგამს მეორე ტურბინას, რის შემდეგ ელექტრონის განათება მიეცემათ კერძო მოაგარაკეთაც.

— **არხის გაყვანა.** სოფ. დიდგარეჯვრის (გორის მაზრა) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს თავის ხარჯით გაიყვანონ სარწყავი არხი მდ. შერთულიდან.

— **ფოსტა სოფლად.** გორის სამაზრო აღმასკომმა მიმართა ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს სოფ. ქვემო-ჭალიდან ფ.-ტ. კანტორა გადაიტანოს სოფ. კასპში, ხოლო იქ კი გახსნას ფოსტის სააგენტო.

— **ლიტერატურა სოფელს.** გორის აღმასკომმა გადასდო 281 მანეთი ქოხ-სამკითხველოებისათვის ლიტერატურის შესაძენად.

— **სესხი კომუნას.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გამოიკვლიოს გლეხთა კომუნის „წინსვლა“-ს საქმიანობა და აღმოუჩინოს მას დახმარება სესხის მიცემით.

იურიდიული რჩევა-დარიგება

ძმამ ვენახი ქურდულად გამიყიდა, რა წესით დავიბრუნო

კითხვა

მე ვარ მუშა, ვმსახურობ მთავარ სახელოსნოს მღებავ განყოფილებაში მღებავის თანაშემწედ ჯამაგირს ვღებულობ მე-4 ხარისხით 30 მანეთამდის. მყავს შესანახი ხუთი სული. ძმამ გამიყიდა ჩემი საკუთარი ვენახი, რომელიც მერგო მამულის გაყოფის დროს. ეს გაყოფა მოხდა 1921 წელში და კანონიერ ფარგლებში. ჩემს ვენახს ვინახავდი და ვამუშავებდი მე ჩემი საკუთარი შრომით. როგორც თბილისში მცხოვრებმა გვიან შევიტყვე ვენახის გაყიდვის შესახებ.

გთხოვთ განმარტებას, თუ რა წესით უნდა დავიბრუნო ჩემი ვენახი, ან ვის მივმართო ამის შესახებ.

ვარ რკინის გზის პროფკავშირის წევრი (წიგნაკი № 431929).

მუშა ლუარსაბ ალ. დიაკონიძე.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 24-ისა, თუ მიწის მოსარგებლის (ამ შემთხვევაში თქვენი) საადგილმამულო უფლება დარღვეულ იქნა ან მისი მეურნეობის საქმეში ვინმე (ამ შემთხვევაში თქვენი ძმა) უკანონოდ ჩაერია, სახალხო მოსამართლე მიწის მოსარგებლის თხოვნით ვალდებულია ერთ თვის განმავლობაში დღიდან უფლების დარღვევისა, საქმის არსებითად განხილვამდე, ფაქტიურად აღადგინოს დარღვეული მიწის სარგებლობა.

თქვენ პირადად გირჩევთ სათანადო განცხადებით მიმართოთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს და თქვენს ძმას მოსთხოვოთ პასუხი სისხლის სამართლის კოდექსის ძალით, როგორც სხვისი ქონების მიმთვისებელს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **„ბავშვების მეგობართა“ საზოგადოება** იუწყება, რომ ოთხშაბათს, 15 ივლისს, დღის 4 საათზე ბაღ „სტელლაში“ (სოლოლაკის ქუჩაზე) შესდგება საზოგადოების მე-4 რაიონის რწმუნებულთა და წევრთა გაფართოებული სხდომა. საზოგადოების მე-4 რაიონის რწმუნებულთა და წევრთა დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლათ.

— **ქალთა შორის მუშაობის განყოფილება** იტყობინება, რომ სამშაბათს, 14 ამა ივლისს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალორგანიზატორების და დიასახლისების გაერთიანებული სადელეგატო კრება.

ყველა ქალორგანიზატორებისა, დიასახლისებისა და დელეგატ-ქალთა დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლათ.

განცხადებები

დიტო და ალექსანდრე ლომთაძეები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფასი

დათიკოს

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს დილის 10 საათზე; დასაფლავება ვერის, ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1 1479

მიშა ჩაჩუა, მიშა კვატაშიძე, სევერიანე ედიბერიძე, ვ. ნუცუბიძე, დ. ყიასაშვილი, ლ. ფირცხალავა, ალ. კალანდაძე და არტ. ჩაჩუა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 7 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მეგობარი

დავით (დათიკო) ლომთაძე

ცხედრის გამოსვენება დღეს, დილის 10 საათზე განოვის ქ. № 3. დაკრძალვა ვერაზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე.

№ 1932—3—3

ბიძა ივანე ლომთაძე, ბიცოლა ევა ლომთაძისა, გულდაჩაგრული ბიძაშვილი ვალენტინა დვალისა, ბიძაშვილი მიხეილ ლომთაძე, ბიძაშვილი ვასილ ცხვირავაშვილი, მიხეილ ორმოცაძე, ალ. მაისაშვილი, კოლია კერესელიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობმეგობრებს, რომ 7 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობას შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

დავით (დათიკო) ლომთაძე

ცხედრის გამოსვენება დღეს, დილის 10 საათზე, განოვის ქ. № 3. დაკრძალვა ვერაზე ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 1949

მელიტონ გიორგის ძე ისაკაძე, დარიკო ისაკაძისა შვილები: ვანო ეკატერინე და ვალოდია, ბიძები: მალხაზ და ილარიონ, ბიცოლები და ბიძაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას პირველ საათზე დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება 40 დღის სამოქალაქო პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი სტუდენტ

ვიქტორ მელიტონის ძე ისაკაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. № 1943—1—1

გულდათუთქული შვილები: მარგარიტა და ნადეჟდა რევაზის ასულნი და დიმიტრი რევაზის ძე, რძალი ემმა ლიუდვიგის ასული, სიძეები: ზინობი ბართლომეს ძე ჩაპიძე და პოლიევქტო ანტონის ძე კალანდაძე, შვილისშვილები: ცეცილია, რეზიკო და ელისო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 12 ივლისს, შუადღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის პანაშვიდი მათი საყვარელი

რევაზ დიმიტრის ძე ამირეჯიბის

1—1 1480

კინო ორშაბათ, 13 ივლისიდან კინო

ეთერი ეთერი

M-m

სან-ჟენის შვილი

მთავარ როლში ულამაზესი

ესპერია სანტოს

1—1 ნ. 1481

კინო „ეთერი“ კინო

მაქს ლინდერი

ახალ სურათში

ეთერი ეთერი

ნ. 1457 2—2

ქრონიკა

— **ჯიშიან ხეების მოჭრის აკრძალვა.** საქ. მიწად-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ აკრძალა რესპუბლიკის მიწა-წყალზე იშვიათ ჯიშის ხეების: ბზის, კაკლის, ურთხმელის, კვისა და წაბლის მოჭრა.

— **საზღვრების გაცლება.** საქ. მიწად-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გამოყო ცალკე კომისია, რომელსაც დაევალა შორაპნისა და რაჭის მაზრების ტყეების შორის საზღვრების გამორკვევა.

— **საქ. ცაკის დადგენილებით** სატყეო განყოფილებამ სოფ. ხიზაბავრას (ახალქალაქის მაზრა) უმიწაწყლო გლეხებს ჭობარეთის მიდამოებში მისცა 300 დესეტინა სათიბი ადგილი.

— **საზოგადო სამუშაოზე.** საქ. შრ. კომისარიატის ცნობით 11 ივლისს საზოგადო სამუშაოებზე თბილისში მუშაობდა 600 უმუშევარი, ბათომში—220, ქუთაისში—80 და სამტრედიაში—55.

— **იარაღების შეძენა.** საქ. შრ. კომისარიატმა ქალაქის აღმასკომს მისცა სესხათ 3.000 მ. სამუშაო იარაღების შესაძენად, იმ უმუშევართათვის, რომლებიც მუშაობენ საზოგადო სამუშაოებზე.

— **შრომის კომისარიატი სოხუმში** აწყობს საზოგადო სამუშაოს.

— **მოზარდთა სახლი.** 10 ივლისს თბილისში გაიხსნა უმუშევარ მოზარდთა სახლი, რომელთანაც მოწყობილია კალათების საქსოვი, ფეხსაცმლებისა და სადურგლო სახელოსნოები.

— **გამოფენა.** საქ. მიწ.-მოქ. ცხენთა საჯიშოების განყოფილება ქ. ახალსენაკში 12 ივლისს აწყობს სახელმწიფო და ადგილობრივ ცხენთა გამოფენას და დოღს.

— **ჭირის წინააღმდეგ.** საქ. მიწ.-მოქ. კომ. საბეითლო განყოფილების ცნობით ივნისში თბილისსა, ბორჩალოსა და თელავის მაზრებში ჭირის საწინააღმდეგოთ ასცრა 5780 სული საქონელი.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** თბ. დამზღვევ კასამ ივნისში გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად მისცა 26,000 მან.

— **სანატორიუმების საჭიროებისათვის** თბ. დამზღვევ კასამ გასულ თვეში დახარჯა 20.000 მან.

— **პენსია.** ივნისის განმავლობაში დამზღვევ კასამ პენსიონერებისათვის დახმარების გასაწევად გაიღო 18.486 მან.

— **გრძელვადიანი სესხი მეთამბაქოებს.** მიწათმოქმედების კომისარიატის ნედლი მასალის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა საქ. ცკ. უმ. საბჭოს წინაშე მეთამბაქოებზე უკვე გაცემულ სესხის ვადის 3 წლით გაგრძელების შესახებ.

— **თბილისის ბირჟის კომიტეტმა** წყალდიდობისაგან დაზარალებულ სომხეთის მცხოვრებთა დასახმარებლად გადასდო 1000 მან.

— **სკოლის დასამთავრებლად.** თბ. საფონდო-საბირჟო კომიტეტმა დაადგინა გადასდოს 1900 მან. სოფ. საწულუკიძეოში დაწყებულ სკოლების შენობათა დასამთავრებლად.

— **საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ** გაგზავნა ტეხნიკოსი სოფ. ასკანში (გურია) წყალსადენის გაყვანის საქმის გამოსაკვლევად.

— **პასუხისმგებელ მუშაკთა დასასვენებლად.** გორის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა კურორტთა სამმართველოს წინაშე, ბორჯომში რამოდენიმე ოთახის დათმობის შესახებ მაზრის პასუხისმგებელ მუშაკთა დასასვენებლად.

— **ახალი დარაბები.** ქალაქის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების ინიციატივით ამჟამად დაჩქარებით სწარმოებს რუსთაველის პროსპექტზე ახალი დარაბების მოწყობა.

შემთხვევები

— **ქურდობა.** 10 ივლისს, დღით კოოპერატიულ ამხ. „კახეთია“ მოიპარეს 130 მან. სხვადასხვა ნივთები.

— **ორი გვამი.** 10 ივლისს დღით სოღანლუღში მდინარის პირას იპოვეს ორი გვამი. გვამი ისე არიან გახრწნილი, რომ შეუძლებელია გამოცნობა მათი ვინაობისა და სქესის.

— **ფულის გატაცება.** 10 ივლისს ღამით ნიკოლოზის ქ. № 177 ს. ახჩიანის ბინიდან უცნობებმა მოიტაცეს 455 მანეთი.

საბჭოთა სასამართლო

ფულის გაფლანგვა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გაარჩია მოქ. გიქ. ურუშაძის საქმე.

აღნიშნული ურუშაძე მსახურობდა თბილისის დეპოს მე-14-ე საგადასახადო უბნის მოლარის თანამდებობაზე. ერთ დღეს საქართველოს შრომის პასუხისმგებელ არტელის გამგეობას მოსდის ცნობა, რომ ფული დააკლდა აღნიშნულ უბნის სალაროს. ინიშნება რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა 1116 მანეთის დანაკლისი. ურუშაძემ თავი იმართლა იმით, რომ ეს თანხა მას გაცემული აქვს მუშა-მოსამსახურეებზე ჯამაგირის ანგარიშში და პირობა დასდო, რომ ფულს დააბრუნებდა. ურუშაძის შესახებ ხელმეორედ მოსდის ცნობა არტელის გამგეობას, რომ მან კარტში წააგო ერთ ღამეს 300 მანეთი. გამგეობამ ხელმეორედ მოახდინა რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა უკვე არა ათასი, არამედ ოთხი ათას მანეთზე მეტი დანაკლისი.

ურუშაძე შეიპყრეს და გადასცეს სასამართლოს, რომელმაც ბრალდება დამტკიცებულად სცნო და ბრალდებულს მიუსაჯა 5 წლით გამსახლში მოთავსება. ამნისტიის შეფარდებით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით, მსჯავრდადებულს დარჩა სასჯელის მოხდის ვადათ 2 წელი, 1 თვე და 18 დღე.

ხელოვნება

დედოფლის შეთქმულება

10 ივლისს როსტოვის აკად. დასის მიერ ოპერის თეატრში წარმოდგენილ იქნა ალ. ტოლსტოის „დედოფლის შეთქმულობა“.

ჩვენ რევოლუციურ ხანაში ეს წარმოდგენა ერთობ საყურადღებოა ისტორიულის და ცხოვრების თვალსაზრისით. აქ ცოცხალ სურათებათ არის გათამაშებული რუსეთის იმპერიის უკანასკნელი დღეები. აქ თქვენ პირის-პირ უცქერით იმ გახრწნილსა, გამოთაყვანებულსა და ბეც—მპყრობელებს, რომლებსაც მიმამდის ვერ იცნობდით, მაგრამ იმათი დაავადმყოფებული და ბოროტი ნებისყოფა მუდამ უკუღმართად სწყვეტდა მთელი ხალხის ბედ-იღბალს. ვხედავდით მათი ხელით და მათი უგუნურობით გამომდინარე აუწერელ უსამართლობას და უკუღმართობას, მაგრამ არ გვქონდა წარმოდგენა იმათ სახეზე, ხმაზე, პიროვნებაზე...

„დედოფლის შეთქმულობაში“ კი ჩვენ თვალწინ ტრიალებენ ეს მთელი ქვეყნის მაჯლაჯუნები: აი რასპუტინი—ეს „მუჟიკურ“ სიბნელიდან მოვარდნილი სტიქია, ხარბი და გაუმაძღარი მიწის შვილი, ბრმა ნებისყოფით და თავხედობით ყველას ხელში მპყრობელი, მაგრამ ამავე დროს ისევ „პროსტაკი“, ლაღი და მხეცი, როგორც ახლად ტყიდან გამოვარდნილი.

აგერ დედოფალი მარია ფედოროვნა—გამოთაყვანებული ქალი, რომელიც სულ იმის, ცდაშია, რომ თავისი ლოცვებითა და ფლიდი-გახრწნილი ხელქვეითების წყალობით როგორმე შეინარჩუნოს თავისი მპყრობელობა.

აგერ თვით ნიკოლოზი—ჩერჩეტი, უნებისყოფო და ფუქსავატი, რომელიც იოტის ოდნადაც ვერ ითვალისწინებს კარზე მომდგარ უბედურობას.

აქვე არიან პურიშკევიჩი, გენერ. ალექსეევი, ვირუბოვა, თავ. უსუპოვი, პროტოპოპოვი, დიდი მთავარი დიმიტრი და სხვანი.

რასპუტინის როლი საუცხოვოთ შეასრულა—ბალახავსკიმ. კარგი იყო კოზლოვსკაია—დედოფლის როლში თავისი გერმანული კილოთი და სნეული ხასიათებით.

ნიკოლოზის როლიც წესიერად შეასრულა ჩალიმ.

კუდრიავცევი—ხმითა და ლაპარაკით ვერ ჰგავდა პურიშკევიჩს.

სხვა ყველანი კარგები იყვნენ თავთავიანთ როლებში.

ეს პიესა მთლიანათ—უფრო ცოცხალი სცენარია და ატარებს ქრონიკის ხასიათს, ვიდრე მხატვრულად დამთავრებულ ნაწარმოებისას. მაგრამ ის მაინც დიდათ საინტერესოა, როგორც ცოცხალი სურათი იმ ეპოქისა, რომლის ჭაპანსაც ყველა ვიტანდით და რომელიც სამუდამოთ გადაიჩეხა წარსულის უფსკრულში.

ლელი.

წითელი თეატრის მოგზაურობა კახეთში.

პროლეტკულტის წითელმა თეატრმა თავის საზამთრო სეზონის ბრწყინვალედ დასრულების შემდეგ გადასწყვიტა თავისი მუშაობა გადაეტანა სოფლად და ამით სინამდვილეში განეხორციელებინა ლოზუნგი: პირით სოფლისკენ! დასმა ამოირჩია ჩვენი ქვეყნის ერთი უმდიდრესი კუთხე, მშვენიერი კახეთი. პიესებიც მეტად შესაფერისი შეურჩევია: გ. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“ და ლოპედევეგას „ცხვრის წყარო“ თავის შინაარსით გასაგები და მეტად ახლოსაა ჩვენი გლეხების ცხოვრებასთან. დასი გაემგზავრა 19 ივნისს.

ანაგაში.

პირველი წარმოდგენები გამართა სოფელ ანაგაში. როგორც „ჯანყი გურიაში“, ისე „ცხვრის წყარომ“ გლეხებში არაჩვეულებრივი აღფრთოვანება გამოიწვია. თეატრის დარბაზში ტევა აღარ იყო. გლეხები წარმოდგენის გათავების შემდეგ იხვეწებოდნენ, რომ დასი დარჩენილიყო და კიდევ რამდენიმე წარმოდგენა გაემართათ, მაგრამ მარშრუტით დანიშნულ წარმოდგენების გადადება აღარ შეიძლებოდა და დასი უნდა წასულიყო სიღნაღში, სადაც უკვე გამოცხადებული იყო წარმოდგენები „ცხვრის წყაროსი“ და „ჯანყი გურიაში“.

სიღნაღში.

სიღნაღში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. დღემდე სიღნაღს არა აქვს თეატრის დიდი შენობა. დასს მოუხდა პატარა კლუბის სცენაზე თამაში, რომლის დარბაზი იტევს ორასამდე კაცს. პირველ წარმოდგენის დღეს კლუბის შენობას [illegible] ხალხი მოაწყდა, რომ რასაკვირველია ყველა მსურველთ ვერ დაიტევდა. ამიტომ ვინც მოხვდა—მოხვდა თეატრში, ვინც არა და მოედანზე გაჩერდა აუარებელი ხალხი და წარმოდგენას ისე უსმენდა. წარმოდგენების გათავების შემდეგ ადგილობრივმა აღმასკომმა დასს სთხოვა დარჩენილიყო კიდევ რამდენიმე ხანს.

გურჯაანში.

გურჯაანშიც იგივე განმეორდა, რაც სიღნაღში და ანაგაში. გურჯაანის შემდეგ წარმოდგენები დაიდგა ველისციხეში. აქაც გლეხებში წარმოდგენებმა დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია. წარმოდგენაში გლეხები მოდიოდნენ პირდაპირ მინდვრის სამუშაოდან ნამგლებით და ცელებით. როგორც „ჯანყი გურიაში“ ისე „ცხვრის წყარო“-მ გლეხებში დიდი შთაბეჭდილება გამოიწვია და ამბობდნენ: „აქ რა ვინახეთ! სად იყავით აქამდე? აქ სხვებმა რატომ არ გვიჩვენეს ასეთი პიესებიო“. წამოსვლისას დასს გლეხებმა გაუმართეს ბანკეტი ან ჩვეულებრივად რომ ვსთქვათ კახური ნადიმი, რომელზედაც ზოგიერთმა გლეხებმა საკუთარი ლექსებიც კი უძღვნეს წითელ არტისტებს. დასის უკანასკნელი მარშრუტი იყო თელავი.

თელავში.

წარმოდგენები ახლად აშენებულ თეატრში გაიმართა და თეატრის სცენამ საშუალება მისცა დასს ფრთა გაეშალა და წარმოდგენები ტეხნიკური მხრივ კარგა მოეწყოთ, რადგან დასი ყოველ დადგმას ადგილობრივ სცენის პირობებს უფარდებდა. თელავშიაც გამოცხადებული წარმოდგენები ანშლაგებით წავიდა. თეატრის დარბაზი მუდამ გაჭედილი იყო ხალხით და წარმოდგენებმა როგორც სხვაგან, ისე თელავში დიდი ენტუზიაზმი გამოიწვიეს. განსაკუთრებით თელაველებს მოეწონათ „ცხვრის წყაროს“ შესრულება. დასი დაბრუნდა თბილისში 7 ივლისს.

სიმართლე.

— **სახალხო კონცერტი.** ოთხშაბათს, 15 ივლისს, „ახალ კლუბში“ (ყოფილი ქართული კლუბი) ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა-კონცერტი სახალხო მომღერლების დების თარხნიშვილებისა.

— **გან. მუშაკთა საზაფხულო კლუბი** (პლეხ. პრ. № 65) წარმოდგენა ქართ. ენაზე: „წითელი ნაპერწკალი“. საკონცერტო განყოფილება საუკეთესო ძალების მონაწილეობით. ბაღში უკრავს სასულე ორკესტრი.

ორშაბათს, 13 ივლისს, საღ. 7 ს. მწერალი გუჭტოშვილი (ბობოხიძე) წაიკითხავს ლექციას: „გენეტიური მეთოდის შესახებ“ (სიუჟეტი „ვეფხის ტყაოსანი“-დან).

— **წითელი არმიისა და ფლოტის ბაღი.** კვირას ბაღში კინო-სურათი „ვენეციელი დონ-ჟუანი“.

— **„დედოფლის შეთქმულება“.** დღეს ოპერის თეატრში როსტოვის აკადემიური დრამის მიერ უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება „დედოფლის შეთქმულება“.

— **სიმფონიური კონცერტი.** კლუბ „მებეჭდავში“ დღეს სტოლერმანის ხელმძღვანელობით გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი.

— **სასულე ორკესტრი.** მებეჭდავთა კავშირმა გადასწყვიტა შეიძინოს სასულე ორკესტრი.

— **საღამო-სეირნობა.** დღეს, 12 ივლისს, ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა.

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის
უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

მიხა ჩოდრიშვილის
სახელობის
შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების
კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—20

ვლადიმერ ბოკუჩავას და ალ. თოფურიძეს
კანტორა „მნათობი"

წინადადებას აძლევს დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ თბილისში კანტორის საქმეებისა გამო.

ნის. № 1467—2—2 კანტორა.

გამოვიდა პ. ლანდიას

„ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო"

ინჟ. ვ. კაკაბაძის რედაქციით

საქართვ. ტეხნ. საზოგ. გამოცემა, ფასი 2 მან. იყიდება თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ., № 70, ტელ. 10—43) და ამხ. „სორაპანის" წიგნის მაღაზიაში გიორგის ქუჩა № 5. დარაბა 1113. იქვე იყიდება ტეხნიკური საზოგადოების სხვა გამოცემანიც.

ნის. 1478. 1—1

თბილისის საქონლისა და საფონდო ბირჟასთან
დაარსებულია

ცნობების მიმწოდებელი ბიურო
რკინის-გზით და წყლით ტვირთების გადაზიდვის შესახებ

ბიურო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1. რჩევა და კონსულტაცია სარკინისგზო უფლების ყველა საკითხებზე.
2. ცნობების მიცემა რკინის გზით და გემებით მგზავრობის ღირებულების შესახებ ყველაზე მოხერხებულ მარშრუტის არჩევით.
3. ცნობების მიცემა ბარგის და ტვირთების გადაზიდვის ღირებულების შესახებ, კლიენტებისათვის ყველაზე ხელსაყრელ მიმართულების და ტვირთების სწორი სატარიფო სახელწოდების დასახელებით, ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ.
4. საბარგო ფურცლების (накладных) და აქტების მიღება შესამოწმებლათ, გადაყოლილ თანხის გამოსარკვევად, ტვირთების არა თავის დროზე გადაზიდვისათვის ხარჯების და ტვირთის ან ბარგის ნაწილობრივ დაკლების, გაფუჭების და დაკარგვის ასანაზღაურებლად ბიურო ადგენს ანგარიშებს და განცხადებებს პრეტენზიების წარსადგენათ.

ბიურო ღიაა დღის 12 ნახ. საათიდან 3 საათამდე ყოველ-დღე ბირჟაში მეცადინეობის დღეებში.

სოლოლაკის ქ. № 7. ტელეფონი № 4—60. ნ. 1458. 3—2

ვისაც სურს მიიღოს უფასოთ, რეგულიარულათ რ. ს. ფ. ს. რ.-ის

სახ. გამომცემლობის
სავაჭრო და პერიოდულ სექტორების ბიულეტენები გამოსაცემ

წიგნების და ჟურნალების
შესახებ

უნდა მიაწოდოს თავისი მისამართი

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწ. გამომცემლობის
ამიერ-კავკასიის განყოფილებას

(რუსთველის 34, ელსმენი 31—28) ან და წიგნის მაღაზიაში (რუსთველის 16, ელსმენი—19—02)

დაკვეთა შეიძლება ტელეფონითაც

ნის. № 1477—2—1

---

15 ივლისს დილის 9 საათზე
წარმოკავშირის ბინაზე (კომინტერნის ქუჩა № 8)

დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გორის მაზრაში ორი ხიდის შესანახი საწყობის ასაგებათ

განცხადებები ამ სამუშაოს აღების შესახებ დახურულ კონვერტებში მიიღება წარმოკავშირში ყოველდღე 12—2 საათამდე.

იქვე მეხიდეობის სექციაში შეიძლება დაწვრილებითი პირობების გაგება

2—2 ნ. 1468 წარმოკავშირის გამგეობა.

ტირაჟი— 21.674

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული
განყოფილება

ამით აცხადებს ქალ. თბილისის მონადირეთა კავშირის ყველა იმ წევრების საყურადღებოდ, რომლებმაც დღემდე არ გაატარეს სანადირო თოფები რეგისტრაციაში და არ მიიღეს შესაფერი ნებართვები უკანასკნელთა შენახვაზე და ხმარებაზე, რომ თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებისა, სანადირო თოფების რეგისტრაციის ვადა უკანასკნელად გაგრძელებულ იქმნა

კიდევ ორი კვირის ვადით

დღიდგან ამა განცხადების პრესაში გამოქვეყნებისა

რეგისტრაცია სწარმოებს ყოველდღიურად ხსენებულ ადმინისტრატიულ განყოფილების ადმინისტრატიულ და სისხლის სამართლის მაგიდაში (ლადო დუმბაძის ქ. № 7 ოთ. № 2) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. სამშაბათობით და შაბათობით საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ის მონადირეთა კავშირის წევრები, რომლებიც იმყოფებიან თბილისის მაზრაში ვალდებულნი არიან გაატარონ რეგისტრაციაში სანადირო თოფები აღნიშნულ ვადის განმავლობაში შესაფერ სამილიციო უბნის სამმართველოში საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

ამასთანავე ადმინისტრატიული განყოფილება უკანასკნელად აფრთხილებს, რომ ის მონადირეთა კავშირის წევრები, რომლებიც მოხსენებულ ვადის განმავლობაში არ გაატარებენ სანადირო თოფებს რეგისტრაციაში თანახმად ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 14 მიცემული იქნებიან პასუხისმგებაში ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის 226 მუხლის ძალით.

თბილისის აღმასკომის ადმინ. განყოფ.
უფროსის მაგ. შ. კილურაძე
სისხლის სამართ. და ადმაგიდის უფროსი ამაშუკელი

ნ. 1471 2—2

შორაპნის მაზრის აღმასკომის
ადგილობრივ მეურნეობის
განყოფილება

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ვინც მოისურვებს ქალ. ჭიათურაში ააგოს

ორსართულიანი შენობა

არა ნაკლებ ოცი (20) ოთახისა ორივე სართულში, რომელშიც მეპატრონემ უნდა მოაწყოს სასტუმრო

მათ დაეთმობა უსასყიდლოთ შენობის დასადგომი ადგილი და საჭირო მოსატეხი ქვა და აგრეთვე განთავისუფლებული იქნებიან შენობის გადასახადისაგან პირველი 10 წლის განმავლობაში

მსურველს შეუძლიან დაწვრილებითი ცნობების მიღება და პირობების შესახებ მოლაპარაკება ქალ. ჭიათურაში კომუნალურ მეურნეობის განყოფილებაში

შორ. მაზრის ადგილობრივი მეურნეობის
განყოფილების გამგე (ხელის მოწერა).

1947 3—1

პარტიულ და საბჭოთა სკოლების სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, მუშათა ორგანიზაციების და კლუბ-სამკითხველოების და

ყველასა და ყველას საყურადღებოთ

საქართველოს პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიამ

მიიღო დიდძალი ახალი
საქონელი

და მომავალშიც ასეთს ყოველთვის თავის დროზე მიიღებს

მიღებულია როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის შემდეგი საქონელი:

ქაღალდი პელაგინი 18 მან.
საზღვარგარეთის კნოპკა კოლოფი 70 კაპ.
რუსეთის საკონსეციო ფაბრიკის ქაღალდი 6 მან.
ლენტი „პელიკანი" საზღვარგარეთის 6 მან.
იგივე რუსეთის საკონ. ფაბრიკის 2 მან. 20 კაპ.
გატოვილნიკები 15 მანეთიდან ზევით.
კანტორის საანგარიშო ჩოთქები 3 მ. 25 კაპ. 11 მ. 20 კაპ.

მიღებულია აგრეთვე დიდძალი

ალბომის, ყდის, მაგიდის გადასაფარებელი და სხვა ქაღალდები. კალკა სხვადასხვა ნომრები, საუკეთესო ხარისხის პორტფელები, გადასაღები (Копировальн.) წიგნები, კალმები, ევრიკისა და სხვების ყველა „ლეონარდის" ქარხნისა, სამელნეები საკავშირო ნიშნითა და სხვა

ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები

საქონელი იყიდება ყველაზე როგორც წვრილად, ისე ბითუმად

საგრძნობლად დაკლებულ ფასებში

წიგნის მაღაზიას უშუალო კავშირი აქვს დაკავებული საკანცელარიო ნივთების დამამზადებელ ტრესტებთან და რუსეთის ყველა დიდ გამომცემლობასთან

ყოველ დღე ვღებულობთ ჩქარი ფოსტით ახალ-ახალ ლიტერატურას

ფასები ყოველგვარ კონკურენციის გარეშეა

საქონლის დაკვეთა შეიძლება ფოსტითაც, საქონლის ღირებულების ერთი მეოთხედის წინასწარ გადმოგზავნით.

საქონელი მოითხოვეთ შემდეგ ჩვენ მაღაზიებში:

მაღაზია № 1 ცენტრალური, რუსთველის პრ. № 22.
" № 2 ვაგზლისა და გოგოლის ქუჩ. კუთხე.
" № 3 ვოლოდარსკის ქ. № 9 გლეხთა სასახლის ქვეშ.
" № 4 პლეხანოვის პრ. № 101
" № 5 კომინტერნის (ყოფ. სასახლის) № 4.

განყოფილება სიღნაღში.

ნის. № 1454—5—2 პატივისცემით გამგეობა.

საბჭ. რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატის [illegible]

მუსიკალური ტრესტის
თბილისის განყოფილება
(„МУЗПРЕД")

ჰყიდის ყველა საუკეთესო ფირმების
როიალებს და პიანინოს საფასურის ნაწილ-ნაწილად გადახდით

ახლებს--850 მანეთიდან, ნახმარს--350 მანეთიდან

აქირავებს როიალებს და პიანინოს 8 მანეთიდან თვეში

გიტარები—12 მანეთიდან, მანდალინები—9 მანეთიდან, ბალალაიკები—5 მანეთ.
გარმონები—12 მანეთიდან, პიონერების ბარაბანები 16 მანეთიდან

გრამოფონის ფირფიტებს და სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებს

მუშათა ორგანიზაციებს და კოლექტივებს წვრილ-წვრილად გადახდით

საუკეთესო შემოწმებული სიმები

ნოტები მრავალგვარი 10 კაპეიკიდან.

იღებს შესაკეთებლად როიალებს, პიანინოს, სკრიპკებს, ვიოლენჩელებს, გიტარებს, მანდალინებს და სხვა სიმებიან ინსტრუმენტებს



როიალების და პიანინოს გადატანა-ჩალაგება და გაგზავნა

ქალაქ გარედან მიღებული შეკვეთა სრულდება სისწორით და თავის დროზე

კომინტერნის ქუჩა (ყოფ. სასახლის) ტელეფონი 14—58

ნის. 1474--2—1

თბილისის აღმასკომის თანამშრომელთა კლუბთან
გაიხსნა სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩ. კუთხე გაიხსნა

ბალი-რესტორანი

სამზარეულო ევროპიული და აზიური საუკეთესო კულინარის ზედამხედველობით

უაღრესად დაცულია სისუფთავე

გაიცემა საუკეთესო სადილები სახლშიაც დღის 2 საათიდან—ორი თავისაგან 50 კაპეიკად, 3 თავისაგან—70 კაპ. ვახშამი ღამის 3 საათამდე, ფასები პორციების ყველასათვის მისაწვდომია. ღვინოები საუკეთესო ფირმების 50 კაპეიკიდან ზევით.

ნ. № 1472—4—2

შოფერების პირველმა ამხანაგობამ
მოაწყო ავტომობილების რეგულიარული მიმოსვლა

სწრაფად მავალ მსუბუქ ავტომობილებით

თბილისი-კავკავი: ავტომობილები გადის: თბილისიდან სამშაბათობით და პარასკეობით დილის 8 საათზე. კავკავიდან—ხუთშაბათობით და კვირაობით—დილის 8 საათზე.

ამხანაგობამ განაახლა მიმოსვლა აგრეთვე: **მანგლისის, კოჯორის, კიკეთის** და სხვა მიმართულებით.

მგზავრებს მიაკითხავენ სახლში. მიყვანა გარანტიით. ნახევარი ფუთი ბარგის გადატანა—უფასოდ.

მთავარი კანტორა: თბილისი, თავისუფლების მოედანი № 1 („კაფე არმაზი").

განყოფილებები: კავკავში—სასტუმრო „გრანდოტელ". მანგლისში—სასტუმრო „ფურორ"-ს ქვეშ. კოჯორში—აფთიაქთან.

ნ. 1475 4—1.

საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი
ა.-წ. 18 ივლისს დღის 12 საათზე ნიშნავს

შერეულ ვაჭრობას
თბილისის საავადმყოფოებისათვის

500 კუბ. საჟ. შეშის მისაწოდებლად. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველები ადგენენ საწინდარს 2.500 მანეთს ფულათ ან ქონებით გარდა იმ დაწესებულებათა, რომელნიც კანონით თავისუფალი არიან საწინდარის შეტანისაგან.

მიწოდების კონდიციების მიღება შეიძლება

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის
საფინანსო განყოფილებაში

საპიორის ქ. № 30, დილის 9 საათიდან 2 საათამდე.

ნის. 1460. 3--3

„წერა-კითხვის"

სრულიად საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება

1926 წლისათვის სცემს დასურათებულ

კედლის კალენდარს და სასოფლო-სამეურნეო კალენდარს

შეკვეთა ამ თავითვე შეიძლება „წერკუმსი"-ს წიგნის მაღაზიაში თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 22.

თავმჯდომარის მოადგილე: ცინცაძე.
მდივანი: გოგიტიძე.

ნის. 1453. 3—2

სამშაბათს, 14 ივლისს, დღის 2 საათზე

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ბინაზე (ევანგულოვის ქ. № 2) სახელმწიფო საჯიშე საჯინიბოს განყოფილებაში

გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

მუხროვანის ცხენების ქარხნის გოხლების შესაქეთებლად

ვაჭრობის პირობებთან გაცნობა შეიძლება სახელმწიფო ცხენების მომშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე მეცადინეობის საათებში.

ნის. 1468. 2—2

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ ჯედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელთაც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობა საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—2

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ბლინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე საშ. სქესო ორგანოს ყველა განყოფილებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—3

ექიმი გ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—83 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

25—8

ექიმი გ. გ. მეჰრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გახული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—3

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილისა, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

25—4

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კიროჩკის ქუჩის კუთხიდან.

25—3

ექიმი ბ. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

25—4

ექიმი ვ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებათა [illegible] კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ № 38.

25—9

ექიმი ბ. გოლდშტეინი

იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე. ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეც

სიფილისი, კანის და ვენერიულ

ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდ —11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ კორპ. უკან.

25—19

ექიმი ზ. მ. ფხალაძე

ქალისა და ვენერიული სნეულ. სი-

სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. სა ქალების 6—7 ს. სღ. მოსკოვის ქ. № 4

25—8

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა [illegible] ლოგიური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5— საათ. ბარატინის ქუჩა № 18 (ალექსან დროვის ბაღის პირდაპირ).

25—4

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს.
[illegible]: ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კან. ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

25—11

წ ა ღ ვ ე რ ი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მონა

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკი № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—10 1793

მ ა ნ გ ლ ი ს ი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. 25—20

ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

25—21

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—8

დაჰკარგე საღრიცხვო ნუსხა № 1556 ვლადიმერ მგალობლიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1951 1—1

დაჰკარგე მეტრიკული მოწმობა № 981 პეტრე ქაჯაიას სახელზე. ჩ. გ. 1948 1—1

დაჰკარგე ვინაობის მოწმობა ბარსელ მიხეილის ძე [illegible] სახელზე. ჩ. გ. 1946 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა პოლია ქემრუძოვას სახელზე. ჩ. გ. 1950 1—1

დაჰკარგე იონა დავითის ძე თოდუამ 1. პირადობის მოწმობა ([illegible]), 2. განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის წიგნაკი, 3. რკ. გზის სასურსათო უფასო სამგზავრო ბილეთი (8 კუპონი „туда-обратно"), 4 რემედასის წევრობის წიგნაკი, 5. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წევრობის წიგნაკი და 6. სახეკომის მიერ მოცემული მივლინების ქაღალდი. ჩ. გ. 1952 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 888 სოლომონ ალექსის ძე კუკურულუიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1951 1—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, სამ. წულუკიძის ქ. № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა